# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№017(12696) 23 იანვარი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზიდანი+ვენგერი=რეალი



### ისევ ფლორენტინოს გეგმებზე

მოლაპარაკებები დაწყებულია, ზიზუ პერესს პირველივე დღეს გაჰყვება, არსენი თანახმაა, მაგრამ დეტალების გარკვევა სჭირდება >> 6








## ვენუსი გავარდა

ავსტრალიის ლიაზე პირველი სენსაცია ვიხილეთ >> 16

## ზიკო და ყიფო: ორი ვარსკვლავი





ესპანური პრესა: ორი დიდი გუნდის და ორი დიდი ფეხბურთელის დაუვიწყარი სანახაობა ვიხილეთო... >> 5



## ჭანტურია გაამართლეს

>> 2

ფედერაციამ ფეხბურთელის მოთხოვნები დააკმაყოფილა

ჭანტურიას საქმე

# რომ იცოდეთ, რა მაგრად მომეშვა

## ფედერაციამ ჭანტურია გაამართლა

ფეხბურთის ფედერაციის მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერების კომიტეტში გუშინ **გია ჭანტურიას** და მისი კლუბის, "ზესტაფონის" დავა განიხილეს. როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე გუნდიდან ფაქტობრივად 28 ოქტომბერს, ბორჯომში, ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ თამაშის ფრედ (1:1) დასრულების შემდეგ გაათავისუფლეს. მას კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან** კონფლიქტი მოუვიდა, რაც გახდა კიდეც მისი გათავისუფლების მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებდა თავად ფეხბურთელი და ფეხბურთის ფედერაციამაც მისი პოზიცია ჩათვალა სამართლიანად.

ფაქტია, რომ სწორედ ამის შემდეგ აღარ უხდიდნენ ფეხბურთელს ხელფასს და არც ვარჯიშებს აკარებდნენ. ფეხბურთელმა მოიგო პირველი დავა, სადაც ფედერაციამ "ზესტაფონს" მოთამაშის სასარგებლოდ, ორი თვის ხელფასის გადახდა დაუწესა. კლუბმა გადაწყვეტილება არ შეასრულა და ამიტომაც, ჭანტურიამ ფედერაციაში ხელახალი სარჩელი შეიტანა და თავისუფალი აგენტის სტატუსი და კონტრაქტის დასრულებამდე დარჩენილი 14,5 თვის დავალიანების გასტუმრება მოითხოვა.

გუშინ ფედერაციამ მისი სარჩელი "ზესტაფონის" წარმომადგენლების თანდასწრებით განიხილა და გია ჭანტურიას მოთხოვნები დააკმაყოფილა.

ამის შესახებ თავად ფეხბურთელი გვესაუბრა:

– მიხარია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ სამართლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილა. მსურს მადლობა ვუთხრა ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტის წევრებს, რომლებმაც სამართლიანობის პრინციპები დაიცვეს და აბსოლუტურად უბრალოდ დაჩაგრული ფეხბურთელი დამიცვეს. არადა, ჩემდა გასაოცრად, კლუბის წარმომადგენლებმა აქეთ მოინდომეს ჩემი დადანაშაულება. "ზესტაფონს" ვიცე-პრეზიდენტი დავით აბაშიძე და ერთ-ერთი მწვრთნელი მალხაზ ღონღაძე წარმოადგენდნენ. საინტერესო ინტერპრეტაცია წარმოადგინეს, "ბორჯომთან" მატჩის შემდეგ, ჭანტურიამ კოკაიას უთხრა რომ მონა არ ვარ და ფეხბურთელების აბუჩება მოინდომაო. ეს ჩემთვის სიახლე იყო, ფედერაციამაც არ მიიღო ეს აბსურდული ბრალდება და გამამართლა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რატომ წამოაყენეს ეს ბრალდება ახლა, თუკი მართლა დამნაშავე ვიყავი? არანაირი ამბოხისკენ ბიჭებს არ მოვუწოდებდი, ეს თითიდან გამოწოვილი ბრალდება იყო.

**– საბოლოოდ, რა გადაწყვეტილება მიიღეს?**

– ჩემი მოთხოვნები დააკმაყოფილეს და „ზესტაფონს" კონტრაქტის დასრულებამდე გასასტუმრებელი 14,5 თვის ხელფასი, დაახლოებით 30 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. უნდა განეხილათ სათავო თანხის, ე.წ წამახალისებლის დარჩენილი ნაწილის ანუ 10 ათასი დოლარის გადახდის საკითხიც. თუმცა, კლუბს ჩემთან დადებული კონტრაქტის ამ პუნქტის ფურცელი ფედერაციაში არ წარუდგენია და ამის გამო საკითხის ვერ განიხილეს. რაც მთავარია, ამიერიდან კონტრაქტი გაუქმებულია და თავისუფალი აგენტის სტატუსი მივიღე. ახლა ვნახოთ, როგორ შეასრულებენ ამ გადაწყვეტილებას.

**– ეტყობა, გეეჭვება რომ თანხას გადაიხდიან.**

– მეეჭვება, ზედიზედ მეორედ არ შეასრულონ ფედერაციის გადაწყვეტილება. სხვათა შორის, თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, რადგან ტრანსფერების კომიტეტში წესიერი ხალხი მუშაობს.



**– ახლა უკვე შეგიძლია "სიონთან" ივარჯიშო.**

– სხდომის დასრულების შემდეგ პირველი სწორედ ეს ვიკითხე და მითხრეს, რომ უკვე თავისუფალი ვარ და სადაც მსურს, იქ ვითამაშებ. სხვათაშორის, დაბრუნება "ზესტაფონმაც" შემომთავაზა, ოღონდ, პირობებს არ იკითხავთ? ჩემი ნებით ხელფასის განახევრებას უნდა დავთანხმებოდი და ამას გარდა, ჯერ დუბლებში მეთამაშა და თუ დავიმსახურებდი, ძირითადში მერე გადაგიყვანთო. ამ "სიკეთესთან" ერთად, ხუთი ათასლარიანი ჯარიმაც გამიმზადეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ამას კარგ წინადადებასავით მთავაზობდნენ. ეს იყო დაცინვა, რაღაც გამოვექეცი და უკან დავბრუნდებოდი?! რომ იცოდეთ, წამოსვლით, რა მაგრად მომეშვა გულზე!

... ჩვენი მხრივ კი, დავძენთ, რომ ფედერაციამ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და შეიძლება ითქვას, სამართალი დააპურა.

**მერაბ მამულაშვილი**

ირლანდია-საქართველო

# ირლანდიაში ფინელები გვიმსაჯებენ

მოგეხსენებათ, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ჩვენი ნაკრები ირლანდიასთან 11 თებერვლის გასვლითი მატჩით განაახლებს. **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი **ექტორ კუპერის** კრებულს დუბლინში, „კორკ პარკზე" დაუხვდება. ეს მატჩი თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება. შეხვედრის მსაჯთა ვინაობა უკვე გაირკვა: არბიტრი **იუნი ჰუუტია** იქნება, ასისტენტები **იუკე-პეკა კოსკელა** და **მიკო ალაკარე**. მეოთხე მსაჯის ფუნქციას **ტონი ასუმა** შეასრულებს (ყველა ფინეთიდან). უეფადან მსაჯთა დამკვირვებელი ნორვეგიელი **იონ სკიერვოლდია**, ხოლო დელეგატი შვეიცარიელი **გუიდო კორნელა** იქნება.

**დავით ცაბაძე**

დინამო

# ტომიჩი დინამოელი ანთალიაში გახდება

## არგენტინელის ბედი თურქეთში გაირკვევა

დღეს თბილისის "დინამო" შეკრების მოსაწყობად გაემგზავრა. თურქეთის ქალაქ ანთალიაში დაბინავებამდე „დინამო" 24 იანვარს ბათუმში, ადგილობრივ "დინამოსთან" ამხანაგურად ითამაშებს. მატჩი 15.00 საათზე დაიწყება. მეორე დღეს კი, საქართველოს ჩემპიონი ანთალიაში ტრაბზონის აეროპორტიდან გადაფრინდება. დინამოელები შარშანდელის მსგავსად, სიდეს მახლობლად, სასტუმრო "საილენს ბიჩში" დაბინავდებიან. ორჯერად ვარჯიშებთან ერთად დაგეგმილია 4 ამხანაგური შეხვედრა:

"ამკარი" (რუსეთი) - 28 იანვარი
"მეტალურგსი" (ლატვია) - 30 იანვარი
"ჟეტისუ" (ყაზახეთი) - 3 იანვარი
"ტავრია" (უკრაინა) - 5 იანვარი

"დინამო" დაემშვიდობა სერბ **ფუად სალიჰოვიჩსა** და კამერუნელი **ჟევ მეგოტის**. სამაგიეროდ, თბილისელთა მთავარ მწვრთნელ **რაინერ ცობელს** ჩერნოგორიელი **დანილო ტომიჩი** მოეწონა და "დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, სავარაუდოდ, კონტრაქტს ანთალიაში მოეწერება ხელი. რაც შეეხება, არგენტინელ **მარკოს ჩარასს**, რომელიც არა მსოფლიო ჩემპიონი, არამედ, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია, მისი საკითხი თურქეთის შეკრების შემდეგ გადაწყდება.

საქართველოს ჩემპიონი ანთალიაში 24 ფეხბურთელით გაემგზავრება.

მეკარეები: დიდიე ოვონო, გიორგი ლორია.

მცველები: **შოთა კაშია, გურამ მინდორაშვილი, გულვერდ თომაშვილი, გურამ კაშია, მილოშ კრშკო, მარკოს ჩარასი, ლევან კაკუბავა.**

ნახევარმცველები: **ლევან ხმალაძე, გიორგი ნერგაძე, დავით დიღმელაშვილი, ვაჟა ნემსაძე, ალექსანდრე კოშკაძე, დანილო ტომიჩი, გიორგი მერებაშვილი, ოლეგ გველესიანი, შოთა ლომია, ნიკოლოზ ჯიშკარიანი.**

თავდამსხმელები: **დონალდ ჯიუსი, ილია სპასოევიჩი, მათე ვაწაძე, ჯორჯ აკირემი, ზვიად ქანთარია.**

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა

# ალბანელებს გადაუარეს

გუშინ ჩვენი უმაღლესი ლიგის ბინადარი "გაგრა" თურქეთის საკურორტო ქალაქ სიდეში ალბანურ "აპოლონიას" შეხვდა. პირველი ტაიმში "გაგრა" 0:2-ს აგებდა. თუმც **ვლადიმერ ხაჩიძის** განვრთნილებმა მებრძოლი სულისკვეთება გამოავლინეს და დიდი ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს ქართველებმა ანგარიში შესვენებამდე გაათანაბრეს. მეორე ტაიმის დასაწყისში **გიორგი გაბედავას** ძლიერი დარტყმული ბურთი ალბანელთა მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი "გაგრის" დებიუტანტმა **ბაჩანა ცხადაძემ** შანსი ხელიდან არ გაუშვა - 1:2. წონასწორობა **ლექსო აბაშიძემ** ულამაზესი გოლით აღადგინა. 18 წლის თავდამსხმელი რამდენიმე მეტოქეს გასცდა და კარის წინ მარტო დარჩენილმა, ანგარიში გაათანაბრა - 2:2.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც **ჯემალ ქაჯაიამ** მარჯვენა ფრთაზე ჩინებულად ითამაშა, ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა და **გიორგი ცხადაიამ** "გაგრა" დააწინაურა - 3:2. მეოთხე გოლი **ლევან შარიქაძის** დამსახურებაა. მან მეკარესთან პირისპირ **თამაზ ჩარგეიშვილი** დატოვა - 4:2.

"გაგრაში" უკრაინელი ლეგიონერი ისინჯება. ის ცენტრალური მცველის პოზიციაზე კი გამოცადეს, მაგრამ შეტევაშიც მშვენიერი თვისებები გამოავლინა. "აპოლონიის" კარში მეხუთე გოლი სწორედ მან გაიტანა - ჩინებულად შეასრულა საჯარიმო 5:2.

გუშინ "გაგრას" თამაში მახაჭყალის "ანჟისთან" ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ დაღესტნელებმა თამაშზე უარი წინადღეს თქვეს. ქართული კლუბის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მეტოქე საჩქაროდ ანთალიაშივე მოეძებნა. 25 იანვარს "გაგრა" პოლონურ "ზაგლებეს" შეხვდება, 28 იანვარს - ყაზახურ "კაისარს".

და ბოლოს, შეკრებაზე გადაწყდა, რომ "გაგრის" კაპიტნის სამკლავურს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **რევაზ თევდორაძე** მოირგებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი სამგზადისი

# სამტრედიით იწყებენ

ცხინვალის „სპარტაკი" მოსამზადებელ შეკრებას ქობულეთში განაგრძობს. **სერგო გაბელაიას** გუნდში ცვლილებები არ არის. სპარტაკელები ჩვეულებრივ 23 ფეხბურთელით აგრძელებენ ვარჯიშებს. გაბელაიას გუნდი პირველ საკონტროლო შეხვედრას ორშაბათს, 26 იანვარს გამართავს. თუმცა არა ზღვისპირეთში. ცხინვალის სპარტაკი" სამტრედიას ეწვევა და ადგილობრივ გუნდს გაეჯიბრება. იმასაც შეგახსენებთ, რომ „სამტრედია" პირველ ლიგაში ლიდერთა შორისაა.

სპარტაკელები მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას 27 იანვარს ქობულეთში, შეკრებაზე იქ მყოფ ბოლნისის „სიონთან" ჩაატარებენ, 29 იანვარს კი ფოთის „კოლხეთს" გაეჯიბრებიან.

**დავით ცაბაძე**

არშემდგარი ტრანსფერი

# ვაშაკიძის შლაგბაუმი: მესამე გუნდი აკრძალულია!

საერთო ეკონომიკურმა კრიზისმა ლამის ყველა კლუბზე იმოქმედა და მათ შორის, ბუნებრივია, "სიონზეც". კლუბის სპონსორი "მადნეულია", რომელიც მსოფლიო ბაზარზე მადნეულის ფასის მნიშვნელოვანი დაცემის გამო, დახურვის და თანამშრომლების შემცირების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. "მადნეულის" პრობლემები გუნდზეც აისახა – "სიონი" უცხოეთის ნაცვლად, საქართველოს შავიზღვისპირეთში ემზადება.

მიუხედავად ამისა, ბოლნისის „სიონმა" ზამთრის სატრანსფერო სეზონი ნაყოფიერად გამოიყენა და ბევრი საინტერესო ფეხბურთელით გაძლიერდა.

უცნაური მხოლოდ ეს იყო: ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** "ბორჯომის" ლიდერის, **ლაშა ვაშაკიძის** გადაბირება მოახერხა და ამით კმაყოფილი დარჩა. ლაშამ პირველი ეტაპი მაღალ დონეზე ჩაატარა, მიუხედავად იმისა, რომ აუტსაიდერ "ბორჯომში" გამოდიოდა. ნიჭიერი ფეხბურთელი სუსტ გუნდშიც გამოჩნდა - ვაშაკიძეს ბევრმა კლუბმა დაადგა თვალი. ფეხბურთელმა არჩევანი ბოლნისელთა სასარგებლოდ გააკეთა და გუნდთან ერთად მომზადებაც დაიწყო. თუმცა, "სიონმა" ქობულეთის შეკრება დაიწყო, 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი კი აღარ ჩანდა.

როგორც შევიტყვეთ, საქმე ეხება საკმაოდ კურიოზულ ვითარებას, რომელიც თავად ფეხბურთელს სიმწრით აცინებს.

*"ბოლნისის "სიონში" რომ მიმიწვიეს, ძალიან გამიხარდა. მე ხომ ამ კლუბიდან სეზონის დასაწყისში გამომიშვეს. მაშინ ტრავმისგან ახალი განკურნებული, ფორმაშიც არ ვიყავი. სწორედ ამიტომ გამიხარდა კორღალიძემ რომ მიმიწვია. სტიმული გამიჩნდა. დავბრუნდი, ორმხრივი შეხვედრაც ჩავატარე და ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ. კორღალიძემ მითხრა, რომ ალეკო კოშკაძის შემცვლელი უნდა ვყოფილიყავი.*

*თუმცა, ორიოდე დღეში კორღალიძემ მითხრა, რომ პრობლემა შეიქმნა. თავიდან არც დავფიქრებულვარ, რომ ამ სეზონში უკვე მესამე კლუბში გადავდიოდი. სეზონი ახალციხის "მესხეთში" დავიწყე და ეროვნულ თასზე ფოთის "კოლხეთის" წინააღმდეგაც ვითამაშე. თუმცა, სულ ეს იყო, ამ კლუბში ერთზე მეტი შეხვედრა არც ჩამიტარებია. მერე ახალციხელებმა "ბორჯომში" გამანათხოვრეს, "სიონი" კი მესამე კლუბი იყო, ფეხბურთელს კი სეზონში სამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება ეკრძალება და დავრჩი ძალიან ცუდ მდგომარეობაში. დროებით უცხოეთში რომელიმე კლუბში ჩარიცხვაზე ვფიქრობდი, მაგრამ ესეც უაზრობა იყო. მე კი არა, თურმე, "მილანს" სურდა ასეთი ფეხბურთელის დამატება და მისმა ავტორიტეტმაც არ გაჭრა და ფიფა გამონაკლისს ჩემზე დაუშვებდა?*

*ტრავმის გამო ძალიან დიდი დრო გამიცდა და "სიონიდან" რომ გამომიშვეს, მაშინ რას წარმოვიდგენდი, ზამთარში ასეთი ყურადღებას თუ მომაქცევდნენ. თორემ რომელიმე გუნდზე უარს ვიტყოდი. სხვათა შორის, ჩემს დღეშია "ბორჯომის" კიდევ ერთი ფეხბურთელი ბეჟანიძე, რომელსაც ახლა თურქეთში იწვევდნენ და წასვლის წინ შეიტყო, რომ მესამე კლუბში გადადიოდა და ტრანსფერი ჩაეშალა",* - გვითხრა ვაშაკიძემ.

ფეხბურთელმა ისიც გაგვიმხილა, რომ მის გადაყვანას "ზესტაფონიც" ცდილობდა.

"წელს საინტერესო ვარიანტები გამოჩნდა. ბორჯომში "ზესტაფონთან" ფრედ 1:1 რომ ვითამაშეთ, გუნდის მაშინდელი მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** დამელაპარაკა და გადასვლა შემომთავაზა. ეს იყო ბოლნისამდე ყველაზე რეალური და სასურველი წინადადება. იყო სხვა შეთავაზებებიც. ახლა ეს ყველაფერი უნდა დაივიწყო. სიმწრისგან მეცინება, მაგრამ სხვა რა გზაა – მაისამდე ან "მესხეთში" უნდა დავბრუნდე, ან "ბორჯომში". დღემდე ახალციხეს ვეკუთვნი, "ბორჯომში" იჯარით ვთამაშობდი", - აცხადებს ლაშა ვაშაკიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერები. გერმანია

**გერმანიაში სეზონი 27 იანვარს სათასო მატჩებით განახლდება. ეს ყველაფერი ქართველების გარეშე არ ჩაივლის. გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ ფრაიბურგელ დავით თარგამაძეს დ ექსფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილს.**



ალექსანდრე იაშვილი:

# ვეენი გავიაროთ და თასზეც ვიფიქრებთ

იაშვილის "კარლსრუე" მიმდინარე ბუნდესლიგაში გასავარდნ ზონასთან ახლოს, მე-15 ადგილზეა. პირველ წრეში იაშვილი არა ერთხელ გამოირჩა კარგი თამაშით, თუმცა ბოლო მატჩებში "კარლსრუეს" დამრიგებელი ედმუნდ ბეკერი მას რატომღაც შემოსწყრა. "ლელოსთან" წინა ინტერვიუში იაშვილმა გაგვიმხილა, რომ ამის თაობაზე ბეკერი მას დაელაპარაკა და დაარწმუნა, რომ მისთვის ფასეული მოთამაშე იყო. რა მოხდება მეორე წრეში, წინასწარ ძნელი სათქმელია. იაშვილი მონდომებულია, იმედიანადაა. "კარლსრუეს" უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს – თუ წარუმატებლობებს გააგრძელებს, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება არ ასცდება.

**- როგორ მოემზადეთ სეზონის განახლებისთვის?**

- ათი დღით თურქეთში, ბელექში ვიყავით, მერე შინ დავბრუნდით. ამ ხნის განმავლობაში სულ ოთხი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ. ახლა "ნიურნბერგთან" ვითამაშებთ მორიგ შეხვედრას, მერე კი სეზონიც განახლდება. 27 იანვარს მეორე ბუნდესლიგის "ვეენს" გავეჯიბრებით თასის მერვედფინალში. შინ ვთამაშობთ და თუ ვისბადენელებს დავამარცხებთ, თასის მოგებაზე ფიქრი შესაძლებელი გახდება.

**- ბუნდესლიგაში ცხრილის ქვედა ნაწილში ხართ. ასეთ დროს თასის მოგებაზე ფიქრობთ?**

- გერმანიაში თასს თავისი სპეციფიკა აქვს, აქ გამარჯვებული ერთი მატჩით ვლინდება. ერთი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება კი ნებისმიერ ნორმალურ გუნდს შეუძლია, თუნდაც ძალიან ძლიერ მეტოქესთან. ცხადია, იმასაც მნიშვნელობა აქვს, კენჭისყრა რომელ მეტოქეს გვარგუნებს.

**- შეკრებაზე საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩი?**

- ყველა საკონტროლო შეხვედრაში ვითამაშე თითო ტაიმი, მთლიანობაში კარგი შეკრება გამოვიდა. სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპთან შედარებით დატვირთვები ნაკლები იყო, თუმცა საერთო ჯამში ამჯერადაც საკმაოდ დიდი ჯაფა გავწიეთ. ნამდვილად არ დაგვისვენია.

**- ედმუნდ ბეკერი მარცხენა გარემარბად გათამაშებს. საშუასეზონო მოსამზადებელ ეტაპზე ალბათ გამოიკვეთა, ამ პოზიციაზე ვინ იქნება შენი მთავარი კონკურენტი?**

- ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ ამ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას – მე და ბრაზილიელი და სილვა. როცა და სილვა "შტუტგარტიდან" მოვიდა ჩვენთან, ნახევარდაცვის ცენტრში თამაშობდა, ახლა კი ამ პოზიციაზე ჯოვანი ფედერიკო იყიდეს. ამხანაგურ შეხვედრებში მარცხენა გარემარბად მოთამაშე და სილვა თვითონ იყო უკმაყოფილო საკუთარი თამაშით, ეს საჩემო პოზიცია არ არისო.

**- გარემარბობა არც ალექსანდრე იაშვილისთვისა ზედგამოჭრილი...**

- მასეა, მაგრამ და სილვასთვის უფრო მოუხერხებელია ამ პოზიციაზე თამაში.

**- მოსამზადებელმა ეტაპმა დაგაიმედა, რომ "კარლსრუე" არ გავარდება?**

- იმედის მართლა გვაქვს. გუნდის მომზადების დონე და კონტინგენტი ბუნდესლიგის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ დავიწყებთ მეორე წრეს – პირველ მატჩი სტუმრად გვიწევს "ბოხუმთან"...

დავით თარგამაძე:

# იდრისუ ლიდერია, მაგრამ იაშვილს ვერ ჯობია

**19 წლის დავით თარგამაძემ მეორე ბუნდესლიგის გათამაშებაში სულ ორჯერ ითამაშა – "ფრაიბურგის" თავკაცმა რობინ დუტმა ჩვენებური ორივეჯერ შეცვლაზე ათამაშა. ცხადია, თარგამაძეს ყველაფერი წინ აქვს. მის ასაკში მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი მოწინავე გუნდის ფეხბურთელი რომ არის, ცოტა ნამდვილად არ არის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლავე არ უნდა იბრძოლოს ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისთვის. თარგმაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნევრია და მისი გერმანული კარიერა კიდევ ამითაცაა ჩვენთვის საინტერესო. შეიძლება ითქვას, თარგამაძე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფეხბურთელიც კი არის საქართველოსთვის – კარგი მონაცემები და წინსვლისთვის ჩინებული გარემო – ასეთი შერწყმის ფუფუნება ყველა ჩვენებურს როდი აქვს...**

- შეკრებაზე ათი დღით ვიყავით ესპანურ მალაგაში. იქ ორი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ – "დორტმუნდთან" და "ჰერტასთან". დორტმუნდელებთან პირველი ტაიმი ვითამაშე, ბერლინელებთან კი შეცვლაზე შევედი. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ძლიერად ვითამაშე, თუმცა ურიგოდაც არ გამოვსულვარ. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ "შტუტგარტს" ვეთამაშეთ – ბოლო ოცი წუთი მწვრთნელმა შეცვლაზე შემიშვა.

**- რობინ დუტმა პირველ წრეში ორჯერ გათამაშა – შეგიძლია დაგვპირდე, რომ მეორე წრეში გაცილებით უფრო ხშირად მოგიწევს თამაში?**

- დუტი მელაპარაკა, მითხრა, თამაში მოგიწევსო. ყველაფერი ნორმალურად მიდის, შევებულების შემდეგ ოცი დღეა, რაც ვვარჯიშობთ და ვატყობ, რომ კარგად ვარ მომზადებული. მეორე წრეში ორ თამაშზე მეტს ალბათ ვითამაშებ.

**- დუტს რა პოზიციაზე სჭირდები?**

- მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად.

**- საქმეს ალბათ ისიც გაგიადვილებს, რომ ფრაიბურგში ქართველებს კარგი თვალით უყურებენ და იქაურ გუნდში ადაპტაცია პრობლემა არ უნდა იყოს.**

- ჩვენებმა "ფრაიბურგში" ისეთი სახელი დატოვეს, რომ ქართველებისადმი აქ მართლაც სულ სხვა დამოკიდებულებაა.

**- ძირითადში მოსახვედრად შენი უშუალო კონკურენტი ვინ არის?**

- "ფრაიბურგში" ახლა სამი 1989 წელს დაბადებული ფეხბურთელი ვართ და სამივეს შეგვიძლია ამ პოზიციაზე თამაში. მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად "ფრაიბურგში" რეგულარულად სულ სხვა, 30 წლის იონათან იაგერი თამაშობს.

**- მეორე ბუნდესლიგაში მესამე ადგილზე ხართ და ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძვით. 27 იანვარს თასზე "მაინცს" ხვდებით, რომელიც მეორე ბუნდესლიგის ლიდერია...**

- პირველ წრეში "მაინცთან" შინ 0:1 წავაგეთ, ყველაფერი ჩვენმა შეცდომამ განაპირობა. ახლა კი წესით ჩვენ უნდა მოვიგოთ, თამაში ფრაიბურგშია.

**- ყველაზე უფრო რას ითხოვენ შენგან, რომელ კომპონენტში უნდა მოუმატოო?**

- ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ტაქტიკურად სწორად ითამაშო და მწვრთნელიც პირველ რიგში ამას ითხოვს. ალბათ, ყველაფერი მაინც გამოცდილებიდან მოდის, ამიტომაცაა, მწვრთნელები ახალგაზრდებზე უფრო გამოცდილ მოთამაშეებს რომ ენობიან.

**- ახლა ვინ არის "ფრაიბურგის" ლიდერი?**

- შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მუჰამადუ იდრისუა, თუმცა ეს თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილს ნამდვილად ვერ ჯობია.

დავით თავართქილაძე



დავით თარგამაძე

ინტერვიუ

დავით სირაძე

# შესაძლოა, ნალჩიკში დავბრუნდე

**დავით სირაძე, შესაძლოა, ისევ ნალჩიკის 'სპარტაკში" დაბრუნდეს. საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი იმედგაცრუებულია. 26 წლის ფეხბურთელმა დეკემბერში რუსეთის პრემიერლიგელი "სპარტაკი" დაიმედებულმა დატოვა. მას რამდენიმე ვარიანტს ჰპირდებოდნენ – რუსეთის ჩემპიონი ყაზანის "რუბინი", "მოსკვა", რამენსკოეს "სატურნი" და მოსკოვის ცსკა, პროვინციული და ღარიბი ნალჩიკის "სპარტაკის" შემდეგ, ეს, რა თქმა უნდა, ზღაპარში გადასვლას უდრიდა.**

**დათო წინადადებას იმედით ელოდა საკითხის გადაწყვეტას – ჯერ დეკემბრის შუა რიცხვებამდე, შემდეგ ძველით ახალ წლებამდე**

- იყო საინტერესო დაპირებები და როგორც ვამჩნევ, არაფერი გამოდის. ვიფიქრე, რუსეთში პირველივე სეზონი ურიგოდ არ ჩამიტარებია, რამდენიმე გოლი გავიტანე და რაც მთავარია, ვგრძნობდი, რომ უკეთესად თამაშიც შემეძლო. სამწუხაროდ, დღემდე არაფერი ისმის და სიმართლე გითხრათ, უკვე იმედი მეწურება, რომ შემოთავაზებები რეალურია.

**- მართალია, რომ შეიძლება ისევ ნალჩიკში დაბრუნდე?**

- არაა გამორიცხული, მაგრამ ეს ბოლო ვარიანტია. კიდევ მაქვს იმედი, რომ ორ-სამ დღეში რაიმე გაირკვევა.

**- ანუ, "სპარტაკის" წინადადება ისევ ძალაშია?**

- დიახ, ასეა. თუ არაფერი გამოვიდა, სხვა რა გზაა?

**- მახსოვს, სავარაუდო კლუბებში მეორე ბუნდესლიგის ვარიანტებიც დაასახელეთ.**

- ჯერ რუსული ვარიანტების გარკვევას ველოდები და შემდეგ ვნახოთ.

**- გუნდთან ერთად მოუმზადებელს, ახალ კლუბში არ გაგიჭირდება?**

- უგუნდოდ კი ვარ, მაგრამ თბილისის "ლოკომოტივს" ვთხოვე და მათთან ერთად ვვარჯიშობ. ფორმის შენარჩუნებას ვცდილობ. სხვათა შორის, შარშან ნალჩიკელებს მეორე შეკრებაზე, 12 თებერვალს შევუერთდი და სულაც არ გამჭირვებია. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მაშინ "სპარტაკში" "პადერბორნის" შეკრების შემდეგ ჩავირიცხე და მოუმზადებელი ნაღდად არ ვყოფილვარ.

**- საქართველოს ნაკრებს 11 თებერვალს ირლანდიასთან გასვლითი შეხვედრა ელის. ასეთ მდგომარეობაში იმედი გაქვს, რომ კუპერის გამოგიძახებს?**

- 11 თებერვლამდე უგუნდოდ ნაღდად არ ვიქნები. ამაში დარწმუნებული ვარ.

მერაბ მამულაშვილი

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა



პირველი მნიშვნელოვანი ჯილდო მალხაზ ასათიანმა ბავშვობაში მოიგო: კოკა-კოლას თასი ეროვნულ სტადიონზე ასწია

# და-ვი-თარ-სეთ!

აფსუსია, აბა, რა არის – მალხაზ ასათიანი მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლებში ვარჯიშობს და ჯერაც გაურკვეველია, სად გააგრძელებს თამაშს.

ასათიანი ქუთაისში გაიზარდა და როცა მშობლიური "ტორპედოს" ფეხბურთელი გახდა, მყის იქცა ლიხსიქითა ვარსკვლავად. ხალხი სტადიონზე მისი თამაშის სანახავად დადიოდა, თუ ასათიანს შეცვლიდნენ, ქუთაისის ბათქაშჩამოცვენილ სტადიონს ქომაგი ეცლებოდა.

ასათიანი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ყოველთვის აკლდა ქარიზმა. ნიჭი და ქარიზმა თითქოს ერთი და იგივეა, ნიჭი ხომ მადლია, მაგრამ ასათიანს ყოველთვის აკლდა რაღაც და ახლა ალბათ ამიტომაც არის "ლოკომოტივის" დუბლებში – ფეხბურთელ ასათიანს არ აქვს ექსტრემალური შარმი, მაგრამ რა არ გაუკეთებია ქართულ თუ რუსულ მოედნებზე...

საქართველომ ასათიანის გოლით რუსეთს მოუგო და ეს არ იყო დამთხვევა – მაშინ ასათიანის ჯერი იყო და ასეთი მნიშვნელობის გოლიც მას უნდა გაეტანა. მატჩის შემდეგ რუსმა ჟურნალისტებმა ივო შუშაკს ჰკითხეს, იური სიომინი ასათიანს დაცვაში ათამაშებს და თქვენ როგორღა მიხვდით, რომ გამთამაშებელი ასათიანი უფრო სასარგებლო იქნებოდა გუნდისთვისო. შუშაკმა ზვიადი თავდაჯერებულობით უპასუხა – ასათიანის შესაძლებლობები მე უფრო კარგად ვიციო.

ასათიანს ყოველთვის აკლდა ზვიადი თავდაჯერებულობა, მაშინაც კი, როცა ის წარმატებით თამაშობდა. რუს ჟურნალისტებში კი კაი ოხერი ტიპებიც გამოირევიან. ერთმა ასათიანს პოეზიაზე, ლადო ასათიანზე და შოთა რუსთაველზე ჩამოუგდო სიტყვა და ჩვენებურს "ვეფხისტყაოსანზე" ასეთი რამ ათქმევინა – шкура тигренка - და ეს ქვესათაურადაც კი გამოიყენა საგაზეთო ინტერვიუში.

ქარიზმა – არავინ იცის, როგორ მოიგონეს ეს სიტყვა ძველმა ბერძნებმა, არავინ იცის, როგორ დააღწიოს თავი ასათიანმა რუსეთსა და უკრაინას, სადაც ალბათ ძალიან კარგად გრძნობს თავს.

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამამ კი გაურკვევლი ვადით მოგვჭამა ჭირი. თქვენ გგონიათ, რომ ყველაფერში დამნაშავე აგვისტოს ომი და საერთო ფინანსური კრიზისია? ცხადია, არც უმაგისობაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მიზეზი არ ილევა ამ პროგრამის ვერგანხორციელებისთვის.

ამას წინათ ხელისუფლების ერთ-ერთმა ყველაზე მწვავე ოპონენტმა ისეთ ქალს დაუკოცნა ხელები, რომელიც თავისი ტუტრუცანობით ვინ იცის, რას აღარ ეთამაშება. თვითონ ხელისუფლება კი სპორტისა და კულტურის მინისტრად ყოფილ მხედრიონელს ნიშნავს. და-ვი-თარ-სეთ!

არის კარგი ამბებიც. კახა კალაძეს ოპერაცია არ დასჭირდა და ალბათ 11 თებერვალს ირლანდიასთან მატჩშიც დაეხმარება ეროვნულ ნაკრებს. ექტორ კუპერი ირლანდიაში გამგზავრებამდე მორიგ, 2009 წლის პირველ "სამშაბათობას" გამართავს. რამდენიმე ნორმალური ქართული გუნდი ნორმალურად ემზადება სეზონის განახლებისთვის, ზოგ გაჭირვებულს კი იმედი გაუჩნდა, რომ ამ სეზონს მაინც ჩაამთავრებს.

საშუასეზონო პერიოდი ბოლოსკენ მიდის. ასეთ დროს კი ილუზია მატულობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. კარგი ამინდებიც დაიჭირა. ასათიანზე ფიქრი კი მოსვენებას მაინც არ იძლევა. ის სჭირდება საქართველოს, ის ჯერ მხოლოდ 27 წლისაა. ხანდახან ფეხბურთელიც ემსგავსება ქანქარას, რომელსაც ხელის ნაკვრა სჭირდება.

ხასიათის გამოკეთებას კი ბევრი რამე შველის, ლეგალური თუ არალეგალური სუბსტანციები, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი – დაღლა თავისითაც გაივლის, უბრალოდ, დრო უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი — ინტერვიუ სერგი ორბელაძესთან



სერგი ორბელაძე (ბურთით)

# უეფას თასზე მოხვედრა შეგვიძლია

## რატომ დატოვა ორბელაძემ დაჩია

ერთ დროს თბილისის „დინამოსა“ და ახალგაზრდული ნაკრების მცველი სერგი ორბელაძე ბოლოს მოლდოვურ „დაჩიაში“ ასპარეზობდა. თუმცა, ამ ორიოდე კვირის წინ ბოლნისის „სიონში“ გამოჩნდა. ორბელაძე ოთარ კორღალიძის გუნდს ქობულეთშიც წაჰყვა მოსამზადებელ შეკრებაზე და ბოლნისელთა გუნდში მისი თამაში, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილია.

საინტერესოა, რატომ დატოვა ორბელაძემ „დაჩია“. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე სერგის გუშინ დავუკავშირდით.

**- ბოლოს „დაჩიაში“ ირიცხებოდი, მაგრამ როგორც გავიგეთ „სიონში“ აპირებ კარიერის გაგრძელებას...**

- დიახ, ასეა. თითქმის ორი კვირაა, რაც ბოლნისელთა გუნდში ვვარჯიშობ. გადავწყვიტე, ეროვნულ ჩემპიონატში დავბრუნდე...

**- ჩვენი პირველობიდან ფეხბურთელები უცხოურ კლუბებში გარბიან და შენი გადაწყვეტილება რით ავხსნათ?**

- „დაჩიასთან“ კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გავწყვიტე. ვფიქრობ, ასე სჯობდა... მჯერა, სწორად მოვიქეცი. მით უმეტეს ეროვნული ნაკრების თავკაცი ექტორ კუპერი რეგულარულად ესწრება ჩვენი ჩემპიონატის თამაშებს და რამდენიმე ფეხბურთელს ნაკრებშიც უხმო. გარდა ამისა „სამშაბათობებსაც“ ატარებს...“დაჩიაში“, სანამ ლეგიონერებს პრობლემები შეგვექმნებოდა, სტაბილურად ვთამაშობდი. მერეც მინევდა თამაში, მაგრამ სასტარტოში სხვა ფეხბურთელები უფრო მეტ პრეტენზიას აცხადებდნენ...

**- პრობლემებში რას გულისხმობ?**

- სამუშაო სავიზო პრობლემას, რომელიც კლუბის ხელმძღვანელებს უნდა მოეგვარებინათ, მაგრამ ასე არ მოხდა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ლეგიონერებს თამაშის უფლება არ გვქონდა... მართალი გითხრათ, აღარ გვინდა ამაზე საუბარი. ახლა „სიონში“ ვვარჯიშობ და ამ გუნდის წარმატებებისთვის ვიბრძოლებ.

**- ბოლნისელთა გუნდში რამდენ ხანს დარჩები?**

- ამ სეზონს ჩავამთავრებ და მერე გადავწყვეტ, კონტრაქტს გავაგრძელებ თუ სხვა გუნდში გადავალ.

**- „სიონის“ გარდა სხვა ვარიანტები თუ გქონდა?**

- საუბრის დონეზე სხვადასხვა გუნდი ახსენეს, მაგრამ კონკრეტული არაფერი ყოფილა. „სიონის“ ხელმძღვანელებმა რეალური წინადადება შემომთავაზეს და უარიც არ მითქვამს.

**- ბოლნისელთა გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. შემადგენლობა რამდენად მოგწონს?**

- კონტინგენტს თვალი რომ გადავავლოთ, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული შემადგენლობა სწორედ „სიონშია“ თავმოყრილი. ჩვენ მაღალი ადგილებისთვის შეგვიძლია ბრძოლა და ვფიქრობ, ასეც იქნება.

**- მაინც რომელ ადგილებს უმიზნებ?**

- მესამეზე მყოფ რუსთავის „ოლიმპს“ ერთი ქულით ჩამოვრჩებით. თავისუფლად შეგვიძლია მესამე ადგილისთვის ვიბრძოლოთ. ის კი არა და, მეორეადგილოსანი „დინამო“ 7 ქულით გვისწრებს და სეზონის ბოლომდე ამ სხვაობის აღმოფხვრაც შეიძლება.

**- „სიონში“ უკანა ხაზში დიდი კონკურენციაა და სასტარტოში დასამკვიდრებლად საკმაო გარჯა მოგიწევს...**

- გეთანხმებით, კონკურენციას არასდროს გავურბოდი, პირიქით, მივესალმები. მცველები ბევრი ვართ, მაგრამ ის ითამაშებს, ვინც ამა თუ იმ კონკრეტული მატჩისთვის უკეთეს ფორმაში იქნება. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე გარჯას არავის დაუკარგავს.

**- „დაჩიაში“ დაცვაში სხვადასხვა პოზიციაზე გამწესებდნენ...**

- შუაშიც მათამაშებდნენ და ფლანგებზეც. სადაც გუნდისთვის საჭირო ვიქნები, მზად ვარ, იმ პოზიციაზე ვითამაშო. ისე კი, არჩევანი ჩემზე რომ იყოს, დაცვის ცენტრში უფრო სასარგებლო ვიქნები.

**- ზემოთ უთამაშებლობა ახსენე და შენს ახლანდელ კონდიციებზე რას გვეტყვი?**

- გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და მონდომებული ვარ. ორიოდე კვირაც და ბევრად უკეთ ვიქნები. ქობულეთში მოსამზადებელ შეკრებაზე რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ . იქ ყველას მოგვიწევს თამაში და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. ვფიქრობ, სეზონის განახლებას უკვე კარგ ფორმაში შევხვდები.

**დავით ცაბაძე**

## ხუციშვილის პირველი სერბული გოლი

22 იანვარს სერბეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა გუნდმა, ნოვი სადის „ვოევოდინამ“ მოსამზადებელ ეტაპზე შეხვედრა ჩაატარა. სერბების მეტოქე უნგრეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი „კეჩკემეტი“ გახლდათ – „ვოევოდინამ“ დამაჯერებლად 4:0 გაიმარჯვა.

გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა **მიხეილ ხუციშვილმა**. თბილისის „დინამოს“ ყოფილმა შემტევმა ნახევარმცველმა უნგრელების კარში პირველი ბურთი გაიტანა – ქართველმა თავი მეშვიდე წუთზე გამოიჩინა.

**მერაბ მამულაშვილი**

გამორჩეულები

# საუკეთესო ოცეულში ქართული ხუთეულია

## მჭედლიძე, ყენია, მაკარიძე, შეყილაძე და გრიგალავა

უკრაინულმა ვებგვერდმა „პროფუტბოლმა“ საინტერესო ოცეული დაასახელა. პოსტსაბჭოთა სივრცეში 21-წლამდე ასაკის 20 საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი. ამ ოცეულში ხუთი ქართული გვარია. თითოეულ ფეხბურთელზე „პროფუტბოლმა“ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

ჩამონათვალში პირველი ქართველი **ლევან მჭედლიძეა**, რომელიც მესამე ნომრადაა დასახელებული:

*„იტალიური „პალერმო“ გასულ ზაფხულს ახალგაზრდა, ფორვარდს ეძებდა და 18 წლის ლევან მჭედლიძე დაიმატა. მანამდე კი მჭედლიძე „ემპოლიში“ და ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა. ლევანმა მიმდინარე სეზონი სიცილიურ კლუბში დაიწყო და მალევე სერიოზული განაცხადი გააკეთა - „იუვენტუსის“ კარში გამარჯვების გოლი გაიტანა და არა მარტო იტალიაში, არამედ ევროპაში ყურადღების ცენტრში მოექცა. იტალიური პრესა კი მისადმი „იუვენტუსის“ ინტერესზე ალაპარაკდა. თუმცა ჯერჯერობით ამ საკითხს მეტი მასშტაბები არ შეუძენია“*, - წერს „პროფუტბოლი“.

ჩამონათვალში მომდევნო, მე-6 ნომრად საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე **ლევან ყენიაა**.

*„თბილისის „ლოკომოტივის“ აღზრდილი ლევან ყენია გერმანულ „შალკეში“ მოხვედრას საქართველოს ნაკრების ყოფილ თავკაც კლაუს ტოპმიოლერს უნდა უმადლოდეს. სწორედ ტოპმიოლერმა შეამჩნია და ეროვნულში უხმო ყენიას, მერე კი „შალკეს“ სკაუტებს ამ ახალგაზრდა ვირტუოზზე დაკვირვება შესთავაზა. ლევანი თავდაპირველად „შალკეს“ ახალგაზრდულ გუნდში აიყვანეს, მალევე გაამართლა იმედები და მთავარ გუნდში გადაყვანაც დაიმსახურა. უფრო მეტიც, ბევრი მიიჩნევს, რომ ის უკვე წელს, 2009 წელს, „შალკეს“ მთავარ გუნდში დამკვიდრებას შეძლებს. 18 წლის ლევან ყენიას გერმანიის მიღმა, სხვა ქვეყნებშიც იცნობენ და კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ“.*

ჩამონათვალში კიდევ ორი საფეხური გამოვტოვოთ და მე-9 მეკარე **გიორგი მაკარიძეა**, რომელსაც დეკემბრის მიწურულს ფრანგულმა „ლე მანმა“ კონტრაქტი გაუფორმა.

*„18 წლის გიორგი მაკარიძე ოცეულში ერთადერთი მეკარეა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. გასულ წლებში მისადმი „მიუნხენ 1860“-ისა და „ჩელსის“ ინტერესის შესახებაც დაიწერა, მაგრამ ამ მხრივ საქმე არ წარმართულა. 2008 წლის მიწურულს გიორგი „ყველაზე ქართულ გუნდში“, ფრანგულ „ლე მანში“ წავიდა ტესტირებაზე და ოთხწლიანი კონტრაქტიც მალე გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „ლე მანის“ დუბლებში დღემდე ორი ქართველი, ამირან სანაია და ვახტანგ ფანცხავა ირიცხება“.*

მომდევნო ქართველი ტალანტი 17 წლის **ირაკლი შეყილაძეა**, რომელიც მე-13 საფეხურზეა.

*„ემპოლიმ“ ლევან მჭედლიძის შემდეგ კიდევ ერთი ქართველი ვუნდერკინდი ირაკლი შეყილაძე დაიმატა. ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მეგოლედ აღიარებულ შეყილაძეს „ემპოლიში“ ჯერ არ გაუბრწყინია, მაგრამ მასში ეჭვი არავის ეპარება. ყველა თვლის, რომ ეს დროის საქმეა. როგორც ამბობენ, შეყილაძეს მალე სხვა კლუბში გაანათხოვრებენ, სადაც მას მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება. ეს კი ვუნდერკინდის მომავალს დიდად წაადგება“.*

ოცეულს ორი, ქართული და რუსული პასპორტის მქონე **გია გრიგალავა** ასრულებს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ამსტერდამის „აიაქსში“ გადიოდე ტესტირებას. ჰოლანდიურ გრანდს გრიგალავასთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ მისი დამატება „როსტოვსა“ და რუსული პრემიერლიგის რამდენიმე კლუბს სურს.

*„19 წლის გია გრიგალავას ყურადღება თვით „აიაქსმაც“ მიიპყრო. ჰოლანდიელები უკვე დარწმუნდნენ, რომ რუსეთის პირველ დივიზიონშიც შეიძლება კარგი ფეხბურთელის მოძებნა. გრიგალავა „აიაქსში“ ჯერ ვერ მოხვდა, მაგრამ რუსული პრემიერლიგის კლუბში ჩაირიცხება და ეგებ მალე ამსტერდამელებზე უკეთეს გუნდშიც კი ვიხილოთ“.*

**დავით ცაბაძე**

რას წერენ ჩვენზე

# ტრამპლინი რუსეთში თუ ლენინი მავზოლეუმში?

## მოგვიტანა თუ არა სარგებლობა თანამეგობრობის თასის გათამაშებამ?

თანამეგობრობის თასის გათამაშებასთან დაკავშირებით ჩვენში პოზიცია თითქმის ერთმნიშვნელოვანია - ეს ტურნირი უკვე არარაობაა. ბევრს ეს გათამაშება მავზოლეუმში დასვენებულ ლენინს აგონებს. გარკვეული ნაწილი კი ფიქრობს, რომ დსთ-ის თასი მომავალ წლებშიც უნდა გათამაშდეს. ამ ტურნირში მონაწილეობაზე საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე თქვა უარი. ჩემპიონის ეს გადაწყვეტილება ცალსახად შეფასდა, რუსეთში პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ჩემპიონთა სარეზერვო გუნდებთან თამაშს უცხოურ შეკრებაზე ბევრად უკეთეს გუნდებთან პაექრობა სჯობს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია აგვისტოში განხორციელებული რუსული აგრესიაც.

თუმცა რუსულ ვებგვერდ „სოკერზე“ გამოქვეყნებული მასალა, რომლის სათაურია „ტრამპლინი რუსეთში“, ჩვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

ალბათ ყველას გვახსოვს თანამეგობრობის თასის ადრეული გათამაშებები. 7-8 წლის განმავლობაში ეს ტურნირი ასე თუ ისე სასარგებლო იყო, მათ შორის ქართული კლუბებისა და ჩვენი ნაკრებისათვის. თანამეგობრობის ტურნირი არაერთმა კლუბმა და ქვეყანამ თავისთვის მეტნაკლებად გამოიყენა. „სოკერმა“ ამ გათამაშების შემდეგ განხორციელებული ცნობილი ტრანსფერების სია გამოაქვეყნა, რომელშიც სამი ქართული გვარია. თითოეულ გამორჩეულ ტრანსფერზე საიტმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. ვნახოთ, რომელი ქართველების ტრანსფერი მოხვდა გამორჩეულთა სიაში...

ჩამონათვალში პირველი **მიხეილ ყაველაშვილია**, რომელიც 1995 წელს, თანამეგობრობის თასზე ასპარეზობის შემდეგ თბილისის „დინამოდან“ ვლადიკავკაზის „სპარტაკ ალანიაში“ („ალანიას“ მაშინ ეს სახელი ერქვა - ავტ.) გადავიდა.

*„იმ პერიოდში „სპარტაკ ალანიის“ თავკაც ვალერი გაზაევისთვის მიხეილ ყაველაშვილი ჩინებული შენაძენი გამოდგა. ყაველაშვილი “ალანიის“ ბომბარდირი იყო. ვლადიკავკაზელთა გუნდის წარმატებებში ლომის წვლილი შეიტანა და „სპარტაკ ალანიიდან“ ინგლისის პრემიერლიგაში, „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა“*, - წერს „სოკერი“.

მომდევნო ქართველი ამ სიაში **მალხაზ ასათიანია**, რომელიც 2003 წელს საქართველოს იმდროინდელ ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოდან“, დსთ-ის ტურნირის შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ აიყვანა. მომდევნო 2004 წელს კი თანამეგობრობის თასი ჩვენმა ოქროსმედალოსანმა თბილისის „დინამომ“ მოიგო. დინამოელ **ვიტალი დარასელიას** დამატება არა ერთ რუსულ კლუბს სურდა, მაგრამ „ალანიამ“ იმარჯვა, ვიტალიმაც ვლადიკავკაზი არჩია.

ამ ორ ქართველზე „სოკერი“ ასე წერს:

*„2003 და 2004 წელს საუკეთესო ქართული გუნდების, ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ გამორჩეული ფეხბურთელების კარიერა სხვადასხვაგვარად აეწყო. ხშირი ტრავმების მიუხედავად, პოსტსაბჭოთა სივრცეში მალხაზ ასათიანი დღემდე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსალად. ვიტალი დარასელიას კლასი არ დაეწუნება, მაგრამ მან „ალანია“ პრემიერლიგაში ვერ დატოვა და თავადაც სათანადოდ ვერ აიწყო კარიერა“.*

ერთი სიტყვით, დსთ-ის ტურნირის შედეგად სამი ქართველი რუსულ კლუბებში გადავიდა. სამწუხაროდ, სპექტრი დიდი არაა, მხოლოდ ორი კლუბია „ალანია“ და „ლოკომოტივი.“ ასე რომ, თავადაც განსაჯეთ, მოგვიტანა თუ არა სარგებელი თანამეგობრობის თასის გათამაშებამ.

**დავით ცაბაძე**

სალეგიონერო ამბები

## ქეცბაია მაინც კმაყოფილია

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა“ კვიპროსის თასის მერვედფინალში 2:1 დაამარცხა ლარნაკის „აპოლონი“. პოლონელი **სოსინის** და ბრაზილიელი **სავიოს** წყალობით დაწინაურებულმა ფამაგუსტელებმა ბოლოსკენ გაუშვეს გოლი და შემდეგ ეტაპზე გასულის ვინაობა საკითხავი გახადეს. **კლიმენტი წიტაიშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყო. მე-12 წუთზე მას საგოლე მომენტი გაუცუდდა, თუმცა ოთხ წუთში ქართველმა სოსინს გაატანინა. შესვენებაზე ქეცბაიამ თამაშიდან თანამემამულე მოხსნა. სტუმართა რიგებში არ უთამაშია **ლევან მაღრაძეს**. ამ წყვილში ყველაფერი შემდეგ ოთხშაბათს გაირკვევა, საპასუხო მატჩში. ქართველი მწვრთნელი მისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა, მიუხედავად ბოლო წუთებზე პენალტით გაშვებული გოლისა. **ლევან ქებაძის** „ახნასს“ კი თავი ქუდში აქვს, მას მერე, რაც სტუმრად „ასიასი“ 5:1 გაანადგურა.

## სად დაიკარგა დემეტრაძე?

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ბაქომ“ მეორე სპარინგმატჩი გამართა და ამჯერად წააგო. „ბაქოს“ მეტოქე თურქეთის სუპერლიგაში მოთამაშე „ჰაჩეთეფე“ იყო. თურქებმა მეორე ტაიმში ორი უპასუხო გოლი გაიტანეს აზერბაიჯანელთა გოლკიპერის შეცდომების გამო. **გიორგი ადამიამ**, რომელიც ჯერ კიდევ „ნეფთჩის“ ეკუთვნის, 55-ე წუთიდან ითამაშა. **ამირან მუჯირმა** მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა. აი, **გიორგი დემეტრაძე** კი არსად ჩანს. 24 იანვარს „ბაქო“ „ვადუცს“ ეთამაშება. ბაქოში პირველი სპარინგი მოიგო **ბადრი კვარაცხელიას** „სტანდარდმა“, რომელმაც 4:1 დაამარცხა „მულანი“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზიკო და ყიფო: ორი ვარსკვლავი

...**ალფრედო დი სტეფანო** და **ფერენც პუშკაში, იოჰან კრუიფი** და **მიშელ პლატინი** - მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელებმა თავის, მართლაც, ბრწყინვალე კარიერა ისე დაასრულეს, მსოფლიოს ჩემპიონები ვერ გახდნენ. ამ ბრწყინვალე ოთხეულს არაფრით ჩამოუვარდებოდა ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, „თეთრ პელედ" წოდებული **არტურ ანტუნეშ კოიმბრა**, ანუ - **ზიკო!** ჰო, ზიკო, მართლაც, ლეგენდა გახლდათ და არა მხოლოდ ბრაზილიურ ფეხბურთში; უამრავ ტიტულს ფლობდა და წლების განმავლობაში მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა. კლასიკური გამთამაშებელი იყო - მოედნის ჩინებული ხედვით, ზღაპრული პასებით, ფილიგრანული ტექნიკითა და ბრწყინვალე გოლიადორული თვისებებით. იმის მიუხედავად, რომ თავის ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში გამოკვეთილი ცენტრფორვარდი არასდროს ყოფილა, ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა შორის, ალბათ, მხოლოდ, **პელესა** და **რომარიოს** თუ ჩამორჩება. თავად განსაჯეთ: სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე 1180 ჩატარებულ მატჩში 826 გოლი აქვს გატანილი! სანაკრებო თემაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი საკლუბო კარიერაზე ვისაუბროთ და, რალა თქმა უნდა, მშობლიური „ფლამენგო" გავიხსენოთ. „ფლამენგოს" ისტორიაში ნომერ პირველი ფეხბურთელი - იყო, არის და მუდამ ზიკო დარჩება - 20 წლის(!) განმავლობაში 508 გოლი რომ გაიტანა ამ გუნდის მაისურით.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანის დასაწყისში მსოფლიო საკლუბო ფეხბურთში ორი ყველასგან გამორჩეული გუნდი იყო; ევროპაში „ლივერპულს" არ ჰყავდა კონკურენტი, სამხრეთ ამერიკაში კი - „ფლამენგოს". სწორედ ზიკოს ზღაპრული თამაშის წყალობით ახერხებდა „ფლამენგო" ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასების მიჯრით მოგებას. ამიტომაც არავის გაუკვირდა, 1981 და 1983 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ზიკო რომ დასახელდა! 30-ს გადაცილებულმა ევროპაშიც დაამტკიცა თავისი ოსტატობა - ორი წელიწადი სერია „A"-ში (იმ დროისთვის მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში) ითამაშა; თანაც მოკრძალებული „უდინეზე" აირჩია და ერთხელ იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, მეორედ კი - ბომბარდირი! თანაც, ეს იმ დროს ხდება, სერია „A"-ში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები რომ გამოდიოდნენ: პლატინი, **მარადონა, რუმენიგე, ფალკაო, ბრეიდი, ბონეკი**... მერე, ისევ „ფლამენგოში" დაბრუნდა; ფეხბურთელის კარიერა კი იაპონიაში დაასრულა, როცა ოთხი წელიწადი „კაშიმა ანთლერსის" ღირსებას იცავდა. სწორედ ზიკოს ფაქტორს უკავშირდება იაპონიაში ფეხბურთის აღმავლობა - 40 წელს მიღწეული ვარსკვლავის თამაშებზე სტადიონები ბოლომდე ივსებოდა. სამწუხაროდ, სანაკრებო დონეზე მისი მიღწევები ნაკლებად შთამბეჭდავია. უფრო ზუსტად,





„ერთადერთი" ნაკლი აქვს - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა. არადა, სამჯერ ითამაშა ფინალურ ეტაპზე და, წესითა და რიგით, ორჯერ, როგორც იტყვიან, მისი ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო!

პირველად 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოჩნდა; მაგრამ მაშინდელ ბრაზილიის ნაკრებს გაურკვეველი კვალიფიკაციის მწვრთნელი **(კუტინიო)** ჰყავდა და იმ გუნდშიც, თითქოს, ყველა ჩვეულებრივი ფეხბურთელი თამაშობდა. ზიკოზე მთელი მსოფლიო საუბრობდა, მაგრამ არგენტინის სტადიონებზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. აი, ოთხი წლის მერე კი ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატს ნომერ პირველი ფავორიტის რანგში ესტუმრა. საყოველთაო აღიარებით, ასეთი ძლიერი გუნდი ამ ქვეყანას მხოლოდ 1970 წელს ჰყავდა. ბრაზილიელებს ჩინებული მწვრთნელი - **ტელე სანტანა** ჰყავდათ, ვინც შემტევ და ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებდა უპირატესობას. ყველაზე ძლიერი რგოლი კი ნახევარდაცვა იყო, სადაც ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ: ზიკო, ფალკაო, **სოკრატესი** და **ტონინიო ცერეზო**; არანაკლებ ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ მარცხენა მცველი **ჟუნიორი** და თავდამსხმელი **ედერი**. მოკლედ, ბევრის აზრით, ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატს უინტერესოდ უნდა ჩაევლო - ასეთი ზღაპრული გუნდისთვის წინააღმდეგობა ვის უნდა გაეწია. თუმცა პირველსავე მატჩში გამოჩნდა, რომ სანტანას გუნდში ორი პოზიცია მეტისმეტად სუსტად გამოიყურებოდა: მეკარე **ვალდირ პერესმა** საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შეხვედრაში 40 მეტრიდან (!) დარტყმული ბურთი... ფეხებშუა გაუშვა; ცენტრფორვარდი **სერჟინიო** კი, ლამის ათასპროცენტიან მომენტებს ისე ანიავებდა, სახეზე ღიმილი არ სცილდებოდა. ის შეხვედრა ბრაზილიამ მოიგო, ოღონდ, დიდი გაჭირვებით: მატჩის მიწურულს სოკრატესმა და ედერმა ორი ზღაპრული გოლი გაუტანეს, მართლაც, ჩინებულ მეკარეს **რენატ დასაევს**. მოკლედ, პირველსავე მატჩში გამართლდა ტელე სანტანას მეტისმეტად თამამი განცხადება, ჩემპიონატის წინ რომ გააკეთა: ბრაზილია ყველა შეხვედრაში მეტოქეზე ერთით მეტ გოლს გაიტანსო! და აი, ჩვენი წერილის მთავარ თემასაც მივადექით: ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყების წინ ზიკოს სსრკ-ის ნაკრებზე აზრის გამოთქმა სთხოვეს. ჰოდა, იცით, რა იკითხა იმ დროისთვის მსოფლიოს ნომერ პირველმა ფეხბურთელმა? რა და - მეტოქის გუნდში... **დავით ყიფიანი** რატომ არ არისო? ჰო, ზიკომ უკვე იცოდა, რომ ევროპაში მისი დონის ვარსკვლავი თამაშობდა (არ ვაზვიადებთ - გ. ტ.); მოედანზეც შეხვედრილი იყო და საკუთარი თვალითაც ნანახი ჰქონდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო თბილისის „დინამოს" ათ ნომერს. სამწუხაროდ, დავით ყიფიანს 1982 წლის ზაფხულისთვის კარიერა უკვე დასრულებული ჰქონდა; თუმცა ზიკოს ეს საიდან უნდა სცოდნოდა და ალბათ, დიდი ინტერესით ელოდა, მართლაც, ღირსეულ მეტოქესთან მეორედ დაპირისპირებას. პირველი კი ორი წლის წინ იყო შემდგარი და მსოფლიო ფეხბურთის იმ დროისათვის საუკეთესო ფეხბურთელს ვერაფრით დაევიწყებინა მასსავით კლასიკური „ათი ნომრის" ზღაპრული თამაში. ანდა, როგორ უნდა დაევიწყებინა, როცა იმ მატჩის დაწყებამდე საყოველთაო კერპის რანგში მივიდა, შეხვედრის დასრულების მერე კი ტრიბუნებიდან... „ყიფიანი!", „ყიფიანი!" ისმოდა?!.

**ფლამენგო-დინამო 2:2 (პენალტებით 6:5)**

30.08.1980 წელი. კადისი. საერთაშორისო ტურნირი

0:1 შენგელია (18), 1:1 ნუნიესი (20), 2:1 ჟულიო ცეზარი (82), 2:2 კაკილაშვილი (88)

ფლამენგო: რაული, კარლოს ალბერტო, რონტინელი, მარინიო, ჟუნიორი (ჟულიო ცეზარი), ანდრადე, ტიტა (ჟილსონი), პაულო ცეზარი, ნუნიესი, ზიკო, ადილიო

დინამო: გაბელია, კოსტავა, ჭილაია, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მინაშვილი (კაკილაშვილი), ჟვანია, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

ყველაფერი კი 1980 წლის 30 აგვისტოს მოხდა, როცა ესპანეთის ქალაქ კადისში ტრადიციული „ოთხთა ტურნირი" ტარდებოდა. კენჭისყრით პირველი ნახევარფინალური წყვილი „ფლამენგომ" და „დინამომ" შეადგინა; პროვინციული კადისელებისთვის ზიკოს ჩამოსვლა მოვლენაზე მეტი გახლდათ - ანდალუზიელები, მართლაც, არანორმალური ყიჟინითა და ოვაციებით შეეგებნენ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის გამოჩენას. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ბრაზილიელი ბურთს რომ მიიღებდა - სტადიონი ტაშისგან, ლამის ინგრეოდა! მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია შეიცვალა: მოედანს სხვა მბრძანებელი ჰყავდა - დავით ყიფიანი! ესპანეთში კი ფეხბურთი იციან და აფასებენ; ამიტომაც, მატჩი რომ დასრულდა და მერე პენალტების სერიაც, ფეხზე ამდგარი სტადიონი ტაშს უკვე ქართველ ვარსკვლავს უკრავდა!.. მეორე დღეს კი ესპანური პრესა ასე გამოეხმაურა „ფლამენგოსა" და „დინამოს" შეხვედრას: გუშინ ორი დიდი გუნდის და ორი დიდი ფეხბურთელის დაუვიწყარი სანახაობა ვიხილეთო...

...1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე მატჩში ბრაზილიამ შოტლანდიას მოუგო (ზიკომ ზღაპრული გოლი გაიტანა), მერე - ახალ ზელანდიას (აქ უკვე „დუბლი" შეასრულა); ნახევარფინალურ ჯგუფში კი „საუკუნის მეტოქე" - არგენტინა რომ დაამარცხა, ბრაზილიის ჩემპიონობაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ზიკომ იმ მატჩშიც გაიტანა გოლი, ერთი გოლი კი მისი პასით გავიდა. თუმცა, პასსაც ხომ გააჩნია - თანაგუნდელი ჟუნიორი მეკარესთან პირისპირ ისე გაიყვანა, დიაგონალურად გაგზავნილმა ბურთმა მეტოქის სამ ფეხბურთელს გაუარ-გამოუარა! მოკლედ, ნათლად გამოიხატა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისა და საუკეთესო ბომბარდირის ნომერ პირველი კანდიდატი. მთავარი იყო, ბრაზილიელებს არ წაეგოთ იტალიელებთან მატჩი; არადა, ამ უკანასკნელებმა, ყველასთვის მოულოდნელად, არგენტინას მოუგეს. თუმცა ეს გარკვეულწილად იტალიის ნაკრების მართლაც ჯალათი მცველის **კლაუდიო ჯენტილეს** დამსახურება იყო, ვინც ყველა დასაშვები და დაუშვებელი ხერხით ცდილობდა დიეგო მარადონას განეიტრალებას. ამ ხერხმა გაჭრა, თუმცა ბრაზილიელები მაინც თავდაჯერებულები გამოვიდნენ მოედანზე - ბოლოსდაბოლოს, მათ ხომ ფრეც აძლევდათ ხელს. მაგრამ ცბიერმა ტაქტიკოსმა **ენცო ბეარზოტიმ** თავის კოლეგას სიურპრიზი შესთავაზა და იტალიელთაგან ყველა რომ დაცვაში „ჩაჯდომას" ელოდა, მეტოქეს თამაში „გაუხსნა". საბოლოოდ, სანტანას „აქსიომამ" არ გაჭრა - ბრაზილიელებმა მეტოქეზე ერთით მეტი კი არა, ნაკლები გოლი გაიტანეს და ჩემპიონატსაც დაემშვიდობნენ. ზიკო? ზიკო იმ დღეს ჯენტილეს მსხვერპლი იყო - პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით! იტალიელი მცველი 90 წუთის განმავლობაში დაუნდობლად „ჩეხავდა" მეტოქეს და ბოლოს... მაისურზე ნომერიც შემოაფხრიწა...

...ოთხი წლის მერე, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილია კვლავაც ნომერ პირველ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მეოთხედფინალში საფრანგეთთან პენალტების სერიაში დამარცხდა. არადა, დიდი შანსი იყო, რომ ბრაზილიას შეხვედრა ძირითად დროშივე მოეგო, მაგრამ მეორე ტაიმში მოედანზე რამდენიმე წამის წინ შემოსულმა ზიკომ... პენალტი ვერ გაიტანა!

საფეხბურთო კარიერის დასრულების მერე ზიკო, ერთი პერიოდი, ბრაზილიის სპორტის მინისტრად მოგვევლინა; მერე მწვრთნელობა დაიწყო და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების კოორდინატორი გახლდათ. განსაკუთრებულ წარმატებას კი იაპონიის ნაკრებსა და „ფენერბახჩეში" მიაღწია. ზიკოს თურქეთში ფანები აღმერთებდნენ და „მეფე არტურიც" შეარქვეს: „ფენერბახჩე" ქვეყნის ჩემპიონი გახადა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიც დააძლევინა. მერე, კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა და გარკვეული პერიოდი მსოფლიოს ბევრი ცნობილი გუნდისა თუ ნაკრების სასურველ მწვრთნელთა შორის „ერთპიროვნული ლიდერიც" იყო. მოკლედ, ვინ არ იწვევდა, მაგრამ 2008 წლის შემოდგომაზე მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო, როცა... უზბეკური „ბუნიოდკორის" მწვრთნელობას დათანხმდა! უმრავლესობის აზრით, ზიკო არნახულ ანაზღაურებას დახარბდა და სამწვრთნელო ნიჭი ფულში გაცვალა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მოსაზრება მცდარი ყოფილა: ამა წლის იანვრის დასაწყისში ზიკომ რუსეთის ცსკა ჩაიბარა! ჰო, რუსულ ფეხბურთში იმხელა ფული ტრიალებს, რომ უკვე ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიღოთ ზიკოს იქ ჩასვლა. **გუუს ჰიდინკი, დიკ ადვოკაატი, მიქაელ ლაუდრუპი, არტურ ჟორჟე, სლავოლუბ მუსლინი, იურგენ რიობერი** - საიდან აღარ ჩამოჰყავთ მწვრთნელები. სანამ რუსეთის ჩემპიონატი დაიწყება, ზიკოს მანამდე მოუწევს თავის სამწვრთნელო შესაძლებლობების დამტკიცება - 18 თებერვალს უეფას თასზე ცსკა ინგლისურ „ასტონ ვილას" უნდა შეხვდეს. არმიელები თავის ახალ მწვრთნელთან ერთად შეკრებაზე ამჟამად ისრაელში იმყოფებიან. ჰოდა, ამ რამდენიმე დღის წინ პოპულარულმა და მრავალტირაჟიანმა „სპორტ-ექსპრესმა" ისრაელში სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა და გაზეთში ზიკოსთან ვრცელი ინტერვიუც გამოქვეყნდა. ჟურნალისტი, ლეგენდარულ ბრაზილიელს, რალა თქმა უნდა, რუსულ ფეხბურთზე ეკითხება; ზიკოც პასუხობს და იხსენებს, რომ სსრკ-ის ნაკრებთან ფეხბურთელობის დროს სამჯერ ითამაშა; რომ იმ ნაკრებთან თამაში ყოველთვის ძნელი იყო, რადგან მეტოქე უპირატესობას ძალისმიერ ფეხბურთს ანიჭებდა. თანაც, თავს კარგად იცავდნენ და გოლის გატანაც ძნელი იყოო. აი, ამის მერე კი, ზიკო, როგორც ფეხბურთელობის დროს, საუბარშიც ინიციატივას საკუთარ თავზე „იღებს" და ჩვენ რუს კოლეგასეუბნება: *„ძალიან კარგად მახსოვს ამხანაგური მატჩი თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ. იმ გუნდში ხომ დავით ყიფიანი თამაშობდა, ვისზეც ბევრი რამ მქონდა გაგონილი. მართლაც, ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო!.."*

...როგორ ფიქრობთ - მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის ამ სიტყვებს კიდევ რაიმე კომენტარი სჭირდება?!

**გია ტუხაშვილი**




**ინდივიდუალური მომზადება კარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, აუტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# ფლორენტინოს ვენგერი და ზიდანი მოჰყავს

## მოლაპარაკებები დაწყებულია, ზიზუ პერესს პირველივე დღეს გაჰყვება, არსენი თანახმაა, მაგრამ დეტალების გარკვევა სჭირდება

დღეს ისევ „რეალსა" და ამ გუნდის გარშემო მომდინარე მოვლენებზე გვიწევს საუბარი. შესაძლოა, ვინმეს გული გავუწყალეთ, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს. სამეფო კლუბში იმდენად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს, რომ მათ გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლით. უკვე მოგახსენეთ, რომ ესპანური გრანდის პრეზიდენტის სავარძელში დაბრუნებისთვის მებრძოლი **ფლორენტინო პერესი** „სანტიაგო ბერნაბეუზე" **კაკას** ჩაყვანას აპირებს. გარდა ამისა, არიგო საკის მიერ გავრცელებული ინფორმაციაც მოგახსენეთ. იტალიელი საფეხბურთო მოღვაწე აცხადებს, რომ ფლორენტინო **კრისტიანო რონალდოსა** და **ლეო მესის** გადასაბირებლადაც იბრძოლებს. დაგვეთანხმებით, სენიორ პერესმა მსოფლიოს სამ საუკეთესო ფეხბურთელს დაუმიზნა, მაგრამ გუნდი მხოლოდ მაღალი დონის ფეხბურთელებით არ კეთდება. ამ საქმისთვის ასევე მაღალი კვალიფიკაციის მქონე მწვრთნელია საჭირო. ერთი შეხედვით, **ხუანდე რამოსი** ხელწამოსაკრავი სპეციალისტი არ არის, მაგრამ ფოლერენტინოს სულ სხვა დონისა და გაქანების მწვრთნელი სჭირდება. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსვლის შემთხვევაში, ხუანდე რამოსის პოსტზე არც მეტი, არც ნაკლები **არსენ ვენგერს** დანიშნავს. სენიორ ფლორენტინოსთან დაახლოებული ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ „არსენალის" თავკაცთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თავდაპირველად ფრანგი სპეციალისტი ესონელის შეთავაზებას სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ პერესთან გავლილი კონსულტაციების შემდეგ პოზიცია შეიცვალა და განაცხადა, თუ არჩევნებში გაიმარჯვებს და საინტერესო კონტრაქტს შემომთავაზებთ, წინააღმდეგი სულაც არ ვიქნებიო. როგორც ირკვევა, ვენგერი საინტერესო კონტრაქტში მხოლოდ ხელფასს არ გულისხმობს. ბატონი არსენისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელობამ გუნდის შემადგენლობა მისი შეხედულებისამებრ დააკომპლექტონ. ფლორენტინო პერესს ძალიან კარგად ესმის, რომ ტრანსფერების განხორციელებისას მწვრთნელის პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მას ერთი მოთხოვნა აქვს, იმ შემთხვევაში, თუ ვენგერი „რეალში" მუშაობას დათანხმდება, პრეზიდენტის პრიორიტეტულ ტრანსფერებს წინააღმდეგობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუწიოს. პრინციპში, „არსენალის" დამრიგებელს, კაკას, კრისტიანო რონალდოს, ან მესის შესაძენად ბრძოლს წამოწყების საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონდეს? ასეთ ფეხბურთელებთან მუშაობაზე ალბათ, პლანეტის ნებისმიერი მწვრთნელი იოცნებებდა.

ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა **არსენ ვენგერის** სახელმა და გვარმა სამეფო კლუბის კონტექსტში გაიჟღერა. სხვადასხვა მიზეზის გამო მისი გადაბირების წინა ორი მცდელობა უშედეგოთ დასრულდა, მაგრამ ესპანელი ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ამჯერად ვენგერი „სანტიაგო ბერნაბეუზე" მუშაობას ვერ გაექცევა. ესპანეთში მისი გადასვლის შანსებს ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობასთან არსებული დაძაბული ურთიერთობა მნიშვნელოვნად ზრდის. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ფრანგი სპეციალისტის უკმაყოფილების მიზეზი მისი იმ თხოვნის დაუკმაყოფილებლობაა, რომელიც შემადგენლობის გადახალისებასა და გაძლიერებას უკავშირდება. ვენგერი დირექტორატის კეთილ ნებას დღემდე უშედეგოთ ელის. არადა, იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება.

საინტერესოა, რომ მოსიე არსენის „რეალში" შესაძლო გადასვლის თემა ინგლისურმა მედიამაც აიტაცა. მაგალითად, „დეილი სთარში" ეწერა, რომ ვენგერი ლონდონიდან წასასვლელად მზადებას შეუდგა და ახალ კლუბში მუშაობის გაიოლების მიზნით, „არსენალის" რამდენიმე ფეხბურთელთან მოლაპარაკება დაიწყო. თუ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადავალ, ხომ არ წამომყვებოდითო. ბრიტანული გაზეთი გვარწმუნებს, რომ ვენგერი პირველ რიგში **სესკ ფაბრეგასის** წაყვანას შეეცდება. სესკი კატალონიელია და არაერთხელ უთქვამს, რომ „ბარსელონაში" თამაში მისი ოცნებაა, თუმცა „არსენალის" ნახევარმცველს სამეფო კლუბზეც ხშირად უთქვამს საქებარი სიტყვები. მოკლედ, თუ ესპანურ და ინგლისურ პრესას დავუჯერებთ, ფლორენტინო პერესს ვენგერის გადაბირების ჩინებული შანსი აქვს.

### ზინედინ ზიდანი: ფლორენტინო ბოლო ათწლეულების ყველაზე წარმატებული პრეზიდენტია

გუშინ მადრიდის „რეალის" გულშემატკივრებმა კიდევ ერთი უაღრესად სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს. იმ შემთხვევაში, თუ ფლორენტინო პერესი სოსიოების უმრავლესობის ნდობას მოიპოვებს და ხელისუფლებაში მოვა, **ზინედინ ზიდანი** სამეფო კლუბში დაბრუნდება. ბუნებრივია, ზიზუ ისევ ფეხბურთის თამაშს ვერ დაიწყებს, თუმცა მას „რეალისთვის" სარგებლის მოტანა სხვანაირადაც შეუძლია. პერესის გამარჯვების შემთხვევაში, ის რომელიმე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იმუშავებს. ლეგენდარულ ნახევარმცველს არასოდეს დაუმალავს, რომ „რეალში" დაბრუნება სურს, თუმცა ზიზუ ყოველთვის აცხადებდა, რომ საყვარელ კლუბში ნებისმიერ ფასად არ დაბრუნდებოდა. მისთვის მთავარი და გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, გარემო და ატმოსფეროა. ზინედინისთვის ყველაზე მისაღები პრეზიდენტი ფლორენტინო პერესია. გაირკვა, რომ ამ კაცს წინასწარი მოლაპარაკება ზიზუსთანაც გაუმართავს. ფრანგი გენიოსი პერესს მყისვე დათანხმდა და უთხრა, თუ დაბრუნდები ყველა საქმეს მივატოვებ და მეც შენთან ერთად წამოვალო. „დიარიო ასის" კორესპონდენტი **ხესუს სანჩო** მრავალი წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად, ზიდანს მაინც დაუკავშირდა და მისი მოსაზრება მოისმინა: *„ხესუსი ჩემი ძველი ნაცნობი რომ არ იყოს, ამ თემაზე არ ვილაპარაკებდი. არ მინდა, წინასწარ რამეზე ვისაუბრო, თუმცა რადგან რამდენიმე დღეა მირეკავ და ძალიან გაგაწვალე, გეტყვი, რომ ფლორენტინოს გამარჯვების შემთხვევაში, ჩემოდნებს ჩავალაგებ და იმ დღესვე მადრიდში ჩამოვალ. საფრანგეთში ძალიან ბევრი პროექტი მაქვს, ალჟირშიც ბევრ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ ამ ყველაფერს ჩემს თანაშემწეებს გადავაბარებ და „რეალში" დავბრუნდები. ძალიან მიხარია, რომ სენიორ პერესმა პრეზიდენტის თანამდებობისთვის ბრძოლა გადაწყვიტა. დრომ დაგვანახა, რომ ის სამეფო კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტი იყო. მისი წასვლის შემდეგ გუნდს უამრავი პრობლემა დაუგროვდა. არ ვამბობ, რომ კალდერონის ხელისუფლება უმაქნისი და არაკვალიფიციური იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ფლორენტინო ბოლო ათწლეულების ყველაზე წარმატებული და ეფექტური პრეზიდენტი იყო. დარწმუნებული ვარ, მისი დაბრუნების შემთხვევაში, გუნდი ძველ დიდებას დაიბრუნებს და სავარაუდოდ პირველივე წელს ჩემპიონთა თასს მეათედ მოიპოვებს. ძალიან მინდა, რომ სამეფო კლუბში ყველაფერი დალაგდეს და ისევ უმაღლეს მწვერვალებზე ავიდეთ. მოკლედ, ფლორენტინო პერესს სერიოზული გეგმები აქვს. ახლა ყველაფერი სოსიოებზეა დამოკიდებული. თუ ისინი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და მას პრეზიდენტად აირჩევენ. მოგებული დარჩებიან."*

ხესუს სანჩომ საუბრის მიწურულს ზიდანს ჰკითხა, პრეზიდენტობის კანდიდატი კერძოდ რა თანამდებობას გთავაზობსო. ფრანგმა ვარსკვლავმა ჟურნალისტს ასეთი პასუხი გასცა: *„ჯერ-ჯერობით კონკრეტულ თანამდებობაზე არ გვილაპარაკია, უბრალოდ შევთანხმდით, რომ გამარჯვების შემთხვევაში, გუნდში ერთად მივალთ. ჩემი ადგილი ამის შემდეგ გამოჩნდება. თუმცა, შეიძლება რაიმე დასკვნამდე მანამდეც მივიდეთ და რომელიმე კონკრეტულ თანამდებობაზე შევთანხმდეთ. მთავარია, რომ ჩვენს გუნდს ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ნებისმიერი კანდიდატის ბედი მხოლოდ სოსიოებზეა დამოკიდებული. მათ უნდა გადაწყვიტონ, ვისი კანდიდატის პროექტია უფრო რეალური და საიმედო. მგონი, საზოგადოებას ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ფლორენტინოს წარსული შეაფასონ და სწორი დასკვნები გამოიტანონ. ალბათ, პერესის პროექტი, ისევ და ისევ ყველაზე ეფექტური და მიზანმიმართული იქნება. მას საყვედურობდნენ, რომ „რეალი" გალაქტიკოების თავშესაფრად აქცია. დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თუ გვინდა, რომ სამეფო კლუბი ყველაზე ლამაზ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდეს, მაშინ როგორი ფეხბურთელები დაგვჭირდება? არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მხოლოდ და მხოლოდ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ."*

მოარული ხმების თანახმად, პერესის გამარჯვების შემთხვევაში, ზინედინ ზიდანი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ითამაშებს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ფლორენტინო ზიდანს კომერციული მიზნებითაც ეპატიჟება. თურმე „ადიდასი" მზად არის, ზიზუს მრავალმილიონიანი კონტრაქტი გაუფორმოს. გერმანულ კომპანიას ერთი მკაცრი პირობა აქვს, იმისთვის, რომ ხელშეკრულება შედგეს, ზიზუ სწორედ სამეფო კლუბის თანამშრომელი უნდა გახდეს. ამ შემთხვევაში, „ადიდასი" ფრანგ გენიოსსა და კლუბს სოლიდურ თანხას გადაუხდის.




ბარსელონა



# კატალონიელები ანრის სიტიში არ უშვებენ

## ბეგირისტაინი ინფლაციურმა 10 მილიონმა ფუნტმა ვერ მოხიბლა

კატალონიაში ერთი ამბავია ატეხილი, „მანჩესტერ სიტის" **ტიერი ანრის** ყიდვა მოუნდაო. თავდაპირველად ეს ყველას ჭორი ეგონა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „დიარიო სპორტის" კორესპონდენტმა **მაურისიო მარკესმა** ინგლისური კლუბის აღმასრულებელი დირექტორის, **გერი კუკის** ინტერვიუ ჩაწერა, საზოგადოება მიხვდა, რომ „სიტის" ხელმძღვანელობა მართლაც სერიოზულად არის განწყობილი და უკან დახევას სულაც არ აპირებს. ერთ პარადოქსულ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი. მას შემდეგ, რაც 2006 წელს ტიერის პრეზენტაციას „ბარსელონის" ისტორიისთვის უპრეცედენტოდ ბევრი გულშემატკივარი (30 ათასი ადამიანი) დაესწრო, მისი სახელი და გვარი იმედგაცრუებას დაუკავშირდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგმა ფორვარდმა კატალონიურ გრანდში მისთვის დამახასიათებელი ფეხბურთი ვერ ითამაშა. ინჩასები ამას კარგად ხედავენ და უკმაყოფილებას ღიად გამოხატავენ. მიუხედავად ამისა, ანრის „მანჩესტერ სიტიში" შესაძლო გადასვლამ საზოგადოებაში უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია. პარადოქსი სწორედ ეს არის. აქამდე ტიერის გაყიდვას ითხოვდნენ, ახლა კი ინგლისელების ინიციატივით აღშფოთდნენ. შესაძლოა, ეს ფაქტი „ბარსელონის" ფორვარდის ბოლოდროინდელი გამოცოცხლებით არის გამოწვეული. აშკარაა, რომ ანრი ამ სეზონში ბევრად უკეთესად თამაშობს, თუმცა მაინც ვერ ვიტყვით, რომ ის ისევე ეფექტურია, როგორც „არსენალში" თამაშის დროს.

ასეა თუ ისე, „მანჩესტერ სიტის" მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ კატალონიელებთან ინტენსიური სატრანსფერო მოლაპარაკებები დაიწყოს. „ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, ალბიონელები **ჟოან ლაპორტას** 10 მილიონ ფუნტს სთავაზობენ. ინგლისური ვალუტის გაუფასურების შემდეგ 10 მილიონი ფუნტი სულ რაღაც 11 მილიონი ევროა. კატალონიელებმა კოლეგებს მაშინვე გაუმხილეს, რომ ანრის ამ თანხად გასაყიდად ვერაფრით გაიმეტებენ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „ბარსელონის" გენერალური დირექტორის, **ჩიკი ბეგირისტაინის** განცხადებას გაგაცნობთ: *„პირდაპირ ვიტყვი, რომ ანრის გასხვისება არ გვინდა. ამაზე არასოდეს გვიფიქრია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ფეხბურთი კომერციაზეა დაყრდნობილი, მზადყოფნა გამოვთქვით მანჩესტერელებისთვის მოგვესმინა. ხაზს ვუსვამ, მოგვესმინა და არა, მოლაპარაკებებში ჩავბმულიყავით. მათ გვითხრეს, რომ 10 მილიონ ფუნტს გადაგვიხდიან. „სიტის" ხელმძღვანელები ბანალური გარემოებით აპელირებენ, ტიერი ვეტერანია და მეტს არავინ გადაგიხდითო. მომიტევეთ, მაგრამ ეს ჩვენთვის გასათვალისწინებელი არგუმენტი სულაც არ არის. „ბარსელონას" ისე სულაც არ უჭირს, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელი ასე იაფად გაყიდოს. მოკლედ, ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, მაგრამ 10 მილიონად ტიერის, რა თქმა უნდა, არ გავყიდით."*

ბატონმა კუკმა ბეგირისტაინის პოზიცია კლუბის მფლობელებს მაშინვე გააცნო. ისევ და ისევ „ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, მანჩესტერელები მზად არიან მოლაპარაკებები მეორე ფაზაში გადაიყვანონ და კატალონიელებს ახალი წინადადება შესთავაზონ. ესპანური გაზეთის მტკიცებით, „სიტის" მფლობელები მზად არიან, ანრის სანაცვლოდ ახლა უკვე 15 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. 5-მილიონიანი ზრდა სერიოზული განაცხადია, თუმცა ძნელი სათქმელია, „ბარსელონის" მმართველებს ამასთან დაკავშირებით როგორი რეაქცია ექნებათ. ჯერ-ჯერობით მათ ალბიონელების ახალ წინადადებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

# რამონ კალდერონმა ახალი სამსახური იპოვა

## სამეფო კლუბის რეპუტაციაშელახულმა ექსპრეზიდენტმა ესპანური ფეხბურთის ლეგენდებსა და გმირებს პატივი უნდა მიაგოს

სამეფო კლუბიდან სკანდალით წასულმა **რამონ კალდერონმა** ახალი სამსახური უმცირეს დროში იპოვა. რეპუტაციაშელახულ საფეხბურთო მოღვაწეს დახმარების ხელი ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტმა **ანხელ მარია ვილიარმა** გაუწოდა. შესაძლოა, ვინმეს გაეცინოს, მაგრამ სენიორ ვილიარმა კალდერონს ფედერაციაში ხსოვნის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი შესთავაზა. იმედია, ცუდად არ გაგვიგებთ, სასაცილოდ პატიოსანი შრომა არ უნდა ავიგდოთ, მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ყველაზე ტიტულოვანი კლუბის პრეზიდენტად მომუშავე სენიორ რამონი ფედერაციაში გადასვლასა და ხსენებული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დათანხმდა. ეს აშკარა დაქვეითებაა. კალდერონმა ამით, ფაქტობრივად, პენსიაში გასვლას მოაწერა ხელი. ასეა თუ ისე, სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტი საზოგადოებას ახალ ამპლუაში მოევლინა. ამიერიდან მისი საზრუნავი წარსულში ცნობილი და დიდი დამსახურების მქონე ესპანელი ფეხბურთელებისთვის პატივსაცემი ღონისძიებების ორგანიზება იქნება. კალდერონმა გარდაცვლილ გმირებს ხსოვნის საღამოები უნდა მოუწყოს, ცოცხლებს კი საიუბილეო შეხვედრები. ანხელ მარია ვილიარი დარწმუნებულია, რომ კალდერონი ამ საქმეს მარჯვედ გაუმკლავდება: *„ძალიან ვწუხვარ, რომ „რეალში" სკანდალი აგორდა და პრეზიდენტს გადადგომა მოუხდა. მთელი სერიოზულობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ სკანდალმა არა მარტო სამეფო კლუბს, არამედ მთლიანად ესპანურ ფეხბურთს მიაყენა სერიოზული დარტყმა. დასამალი არ არის, რომ უცხოელი გულშემატკივრების თვალში „რეალი" ესპანური ფეხბურთის სიმბოლოდ მიიჩნევა. ამის გამო, განსაკუთრებით ვწუხვარ, თუმცა წუხილის გამოთქმის მეტი მე არაფერი შემიძლია. ეს პრობლემები სამეფო კლუბის მესვეურებმა უნდა მოაგვარონ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რამონ კალდერონს კარგ ადამიანად მივიჩნევ. მე მის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა არც კი მიფიქრია. სენიორ კალდერონი სამწუხარო გაუგებრობისა, თუ ფარული შეთქმულების მსხვერპლი გახდა. სიღრმეებში ვერ წავალ, გამოძიებას ვერ ჩავატარებ. უბრალოდ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სენიორ რამონი პატიოსანი კაცია. თანამშრომლობა მას ჩემი ინიციატივით შევთავაზეთ. ვიცე-პრეზიდენტებთან მოლაპარაკება გავმართე და ისინი დამეთანხმნენ. მიუხედავად ყველაფრისა, სენიორ რამონს საფეხბურთო საზოგადოება დიდ პატივს სცემს. მას ძველი თაობის ფეხბურთელებთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება აქვს. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ფედერაციის ახალი თანამშრომელი წარმატებით იმუშავებს. ამას მალე დაინახავთ. კალდერონი ნიჭიერი კაცია და ფანტასტიკური პროექტები შემოგვთავაზა."*

„დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ხოსე ფელიქს დიასმა** ცდუნებას ვერ გაუძლო და კალდერონს ინტერვიუ სთხოვა, მაგრამ ერთ დროს ენაწყლიანმა სენიორ რამონმა ჟურნალისტს კატეგორიული უარი განუცხადა. როგორც ჩანს, „რეალის" ყოფილ პრეზიდენტს ეშინია, რომ ინტერვიუში ასამბლეასთან დაკავშირებულ კითხვას შეაპარებენ და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებენ. არადა, დიასი სინანულით წერს, კალდერონი რომ დამთანხმებოდა, ექსკლუზიური ინტერვიუსთვის გაზეთის სარედაქციო საბჭო ჰონორარის სახით სამი თვის ხელფასის ოდენობის თანხას გამოუწერდაო.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ვალენსია



# დავიდ სილვა გულშემატკივრის ტყვიას გადაურჩა

## როგორ შეიძლება, ტოტალიზატორმა ადამიანი ჭკუიდან გადაიყვანოს

ტოტალიზატორი მართლაც საშიში მოვლენაა. აზარტულ ადამიანს ფულზე თამაში ზოგჯერ რეალობის შეგრძნებასა და რაციონალიზმს აკარგვინებს. თუ მოთამაშეს ფსიქიკასთან დაკავშირებული პრობლემებიც აქვს, შეიძლება სულაც ტრაგედია დატრიალდეს. „ვალენსიის" ბაზაზე პოლიციას რომ არ ეყოჩაღა, ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა. მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ და ამ უცნაურ ისტორიაზე საფუძვლიანად ვისაუბროთ. რამდენიმე დღის წინ „ღამურები" ესპანეთის სამეფო თასზე „მესტალიაზე" „სევილიას" დაუპირისპირდნენ და 3:2 მოუგეს. საკუთარ სტადიონზე ორი გოლის გაშვება ძალიან ცუდია, მაგრამ მთავარია, რომ გუნდმა მოიგო... თუმცა „ღამურების" მავანი გულშემატკივარი, ასეთმა ანგარიშმა არ დააკმაყოფილა. თურმე მას ტოტალიზატორში ვალენსიელების ორი ბურთით გამარჯვებაზე ჰქონდა ფსონი დადებული, მაგრამ საყვარელმა გუნდმა მას არ გაუმართლა და საკმაოდ დიდი ფული წააგო. გაბრაზებულმა გულშემატკივარმა სახლში იარაღი აიღო და ბაზაზე შურისძიების მიზნით წავიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ფულის წაგების გამო შური ეძია. ეგზალტირებული ინჩასი ბაზაზე თავისუფლად შევიდა. იმ დღეს ღია ვარჯიში იყო. „ვალენსიის" საწვრთნელი ბაზის შესასვლელში კი მეტალო დეტექტორი აქამდე არ იყო დამონტაჟებული. ერთი სიტყვით, ხსენებული ქომაგი ბაზაზე შეიარაღებული მივიდა და ცხელ გულზე **დავიდ სილვას** მოკვლა გადაწყვიტა. ფეხბურთელი მან მიზანშიც ამოიღო, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა შეამჩნია და ოპერატიული მოქმედებით ტრაგედია ალკვეთა. შეიარაღებული გულშემატკივარი, რა თქმა უნდა, მაშინვე დააპატიმრეს და განყოფილებაში წაიყვანეს. გამოძიება ეჭვმიტანილის ვინაობას არ ამხელს, თუმცა დაკითხვის საინტერესო დეტალები მაინც გაახმაურეს. როგორც გაირკვა, „ვალენსიის" ინჩასი სილვასთან ანგარიშის გასწორებას იმიტომ აპირებდა, რომ მან რამდეიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. დავიდს რომ გაეტანა, ფულს არ წავაგებდიო.

სილვა მომხდარით შოკირებული დარჩა. მან საგანგებო პრესკონფერენციაზე ასეთი რამ თქვა: *„თავი კინოში მგონია, კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ სროლას მართლა აპირებდა. ხალხო, ეს ხომ ფეხბურთია, თამაში, რომელიც გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს სიხარულს გვანიჭებს. არ მესმის, ნორმალურ ადამიანს, ბაზაზე იარაღით მოსვლისა და ვინმეს მოკვლის სურვილი როგორ უნდა გაუჩნდეს. დარწმუნებული ვარ, რომ იმ კაცს მენტალური პრობლემები აღმოაჩნდება. თავდადებულ და ვაჟკაც პოლიციელს დიდ მადლობას მოვახსენებ. რამდენადაც ვხვდები, მან სიკვდილისგან მიხსნა."*

„ვალენსიის" ხელმძღვანელობა მომხდარით უკიდურესად შეშფოთებულია. პრეზიდენტმა დაცვის სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად სხვა დანიშნა. ახალ თანამშრომელს უსაფრთხოების ზომების გამკაცრება დაევალა. ამის ნიშნად, გუშინ ბაზაზე მეტალოდეტექტორები დაამონტაჟეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ტოტენჰემი

# კინგი მალე დაბრუნდება

## რედნაპი: გულშემატკივრებს მადლობა. ფეხბურთელებმა იმედი გამიცრუეს

გუშინწინ „ტოტენჰემმა" „ბარნლისთან" ლიგის თასის ნახევარფინალური შეხვედრა ძირითად დროში 3:0 დათმო. შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა. **ჰარი რედნაპმა** შეცვლები გამოიცნო. გუნდმა თამაშს მოუმატა და 118-ე და 120-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა. ლონდონელები ფინალში გავიდნენ, სადაც მათ „მანჩესტერ იუნაიტედი" ელის. აი, რა განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა: *„უკვე ვფიქრობდი, რომ ტურნირიდან გამოვვარდით. მესმის, რომ გუნდში სიტუაციის გამოსასწორებლად კიდევ ბევრი რამის შეცვლა მომიწევს. ამ წუთას ჩემი გუნდი უკიდურესად შორსაა იმ იდეალისგან, რასაც ვეძებ. "ბარნლისთან" ისეთმა ფეხბურთელებმა ითამაშეს, რომლებსაც ასპარეზობა ხშირად არ უწევთ... მათ ისეთი ვერაფერი მიჩვენეს, რომ რომელიმე მათგანზე აზრი შემცვლოდა. ფეხბურთელები მინდორზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უნდა ჩაებან. სწორედ ასე იქცევიან დიდ კლუბებში. "ტოტენჰემში" ყველა უნიათო მოთამაშის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მათ უნდა დამიმტკიცონ, რომ ღირსები გუნდში დარჩენის ღირსები არიან. მე მხოლოდ ძლიერი პიროვნებები მჭირდება. დიდი მადლობა გულშემატკივარს. ვულოცავ. მათ „უემბლიზე" დასასწრები ბილეთები „მოიგეს". აი, გუნდით კი საშინლად იმედგაცრუებული ვარ".*

"ტოტენჰემისა" და "პორტსმუთის" პრემიერლიგურ შეხვედრაში (1:1) "მამლების" კაპიტანმა **ლედლი კინგმა** ტრავმა მიიღო. ზოგადად ლედლი ტრავმებისკენ მიდრეკილი ფეხბურთელია და თუ რამე იტკინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გლობალურად იმტვრევა და ლაზარეთში რამდენიმე თვეს ატარებს ხოლმე. სწორედ ამის შიში ჰქონდა ჰარი რედნაპს. საბედნიეროდ, მისი მოლოდინი არ გამართლდა. ორშაბათს ჩატარებულმა კვალიფიციურმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ფეხბურთელს საშიში არაფერი სჭირს. მას მუხლის მყესები უმნიშვნელოდ აქვს დაჭიმული. გუნდის მთავარი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ "სტოკ სიტისთან" კაპიტანი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

დაცვის ხაზის გასაძლიერებლად რედნაპს "ინტერიდან" 27 წლის **ნიკოლას ბურდისოს** გადაბირება უნდა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, **დენიელ ლევი** მზადაა, **მასიმო მორატის** "ალბისელესტეს" ფეხბურთელში 9 მილიონი ევრო შესთავაზოს. მას შემდეგ, რაც "ნერაძურის" მეორე არგენტინელი **ვალტერ სამუელი** გამოუჯანმრთელდა, ნიკოლასს სათამაშო პრაქტიკა ნაკლებად აქვს. შესაბამისად, მისთვის უმჯობესი იქნება, თუკი "უაით ჰართ ლეინზე" გადავა. არგენტინელმა მისით დაინტერესებული ორი კლუბი უკვე გაისტუმრა ცივი უარით. ფეხბურთელის შეძენა "ფიორენტინასა" და "პორტსმუთს" სურდათ. მილანელები ფეხბურთელის გაშვებას არ ეწინააღმდეგებიან. "ტოტენჰემს" ისღა დარჩენია, თავად ფეხბურთელს გაურიგდეს პირად კონტრაქტზე.



მოგახსენებთ რედნაპის კიდევ ერთ სატრანსფერო ჩანაფიქრზე. "ტელეგრაფის" ცნობით, "ტოტენჰემი" "სანდერლენდიდან" **კენუაინ ჯონსის** ყიდვას ცდილობს. საინტერესოა, რომ ლონდონელთა მიერ შეთავაზებული 15 მილიონი "შავმა კატებმა" კატეგორიულად უარყვეს. "ტოტენჰემმა" უმალ გაამზადა ახალი წინადადება: **დარენ ბენტი** და ზედ წამატებული რამდენიმე მილიონი. ახლა ვნახოთ, რა რეაქცია ჰქონდა ყოველივე ამაზე "სანდერლენდის' შოტლანდიელ თავკაც **რიკი სბრაგიას**: *"ტრანსფერის აზრს ვერ ვხედავ. ჩემი მიზანია, შევკრა ჯონსისა და სისეს დუეტი. "სანდერლენდში" უამრავი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც სიამოვნებდი დავთმობდი, მაგრამ ამ სიაში არ ვგულისხმობ კენუაინს. ის არ იყიდება... მორჩა და გათავდა".*

„ჩელსის" იტალიელი მეკარე **კარლო კუდიჩინი** გუშინწინ „ტოტენჰემში" გადავიდა. ლონდონურ კლუბებს შორის შეთანხმება საკმაოდ მოულოდნელად გაფორმდა. „მამლებმა" ვეტერან აპენინელში 1 მილიონი გირვანქა გადაიხადეს, - გვამცნობს „დეილი მეილი".

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# შვედს სამივე ტიტული უნდა

## და მანჩესტერი ესიზმრება

**"ინტერმა" 2009 წელი წარუმატებლად დაიწყო. ჟოზე მოურინიოს გუნდმა სერია A-ს ორ უკანასკნელ შეხვედრაში მხოლოდ ქულა აიღო და ჟურნალისტები კრიზისზე აალაპარაკა. გუნდის ასპარეზობით უკმაყოფილოა პორტუგალიელი სპეციალისტიც, ვინც გარკვეული ზომები უკვე მიიღო და სათასო პაექრობაში ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. არადა, "ნერაძურის" მეტოქე თვით "რომა" გახლდათ, გუნდი, რომელიც "ინტერნაციონალეს" პრინციპული მეტოქეა. ბუნებრივია, რეპრესიები არ შეხებია გუნდის წამყვან თავდამსხმელ ზლატან იბრაჰიმოვიჩს. შვედი ულტერნატივოა და ნდობის განუსაზღვრელი მანდატით სარგებლობს. "კალჩო 2000"-ში იბრაჰიმოვიჩის ინტერვიუ გამოქვეყნდა.**

**- „რომასთან" ძალიან გაგიჭირდათ, 2:1 გაძლევთ დამშვიდების საფუძველს?**

- „რომა" ძალიან ძლიერი გუნდია და იოლ გასეირნებას არც ველოდით. კიდევ უფრო რთული იქნება განმეორებითი პაექრობა და დიდი მობილიზაცია გვმართებს. საერთოდ, შიში არ გვახასიათებს და თავს მშვიდად ვგრძნობთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს არ ვაფასებთ.

**- მოურინიოს თქმით, „ატალანტასთან" მარცხი სწორედ მეტოქის შეუფასებლობით გახლდათ განპირობებული.**

- ნაწილობრივ ეს ასე იყო. პირველ ტაიმში სამი გოლის გაშვებას სხვას ვერაფერს ვაბრალებ. ასე ცუდად „ინტერმა" ბოლოს როდის ითამაშა, ვერც კი ვიხსენებ. მთავარია, რეაგირება დროზე მოვახდინოთ და შეცდომები გამოვასწოროთ. ეს მარცხი შემოლაწუნებას ჰგავდა, რომელიც ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს.

**- კრიზისს გამორიცხავთ?**

- ასე მძიმედაც არ არის საქმე. სეზონის მეორე ნახევარი ძალიან ცუდად დავიწყეთ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს დიდ ხანს გაგრძელდეს. თანაც, „რომასთან" თამაშმა ხასიათი გამოგვიკეთა. მართალია, მინიმალური ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ გამარჯვებას მაინც თავისი ფასი აქვს. თანაც, გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და შეგვეძლო უფრო დიდი ანგარიშითაც მოგვეგო.

**- იტალიაში წლის ფეხბურთელად დაგასახელეს. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ჯილდო?**

- ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. იტალიაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ. მათთან ერთად ან მათ წინააღმდეგ ასპარეზობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და იყო მათ შორის საუკეთესო, მართლაც ფანტასტიკური გრძნობაა. არ გეგონოთ საკუთარ თავს სხვებზე მაღლა ვაყენებდე, თუმცა აღიარება თავისთავად ძალიან სასიამოვნოა.

**- ადრიანო გუნდს დაუბრუნდა, როგორ გრძნობს თავს ბრაზილიელი?**

- შესანიშნავად. ძალიან კარგ ხასიათზეა და რაც მთავარია, დისციპლინას მკაცრად იცავს. ადრიმ კარგად იცის, რომ კიდევ ერთ შეცდომას აღარ აპატიებენ. მას უდიდესი პოტენციალი აქვს და შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი გახდეს, მთავარია მოინდომოს და რეჟიმი არ დაარღვიოს. რაც არ უნდა დიდი ტალანტი იყო, თავდაუზოგავი ვარჯიშის გარეშე, ვერაფერს გახდები. ბრაზილიელმა ეს კარგად იცის და იმედია, ამიერიდან ჭკუით მოიქცევა.

**- კაკას გარშემო დატრიალებულ ამბებზე რა აზრის ხართ?**

- ჩემი მოსაზრება საჯაროდ დავაფიქსირე. კაკა „მილანში" უნდა დარჩენილიყო და ასეც მოიქცა. ბრაზილიელი ბრწყინვალე ფეხბურთელია და „სიტისთვის" აშკარად შეუფერებელი გახლავთ. ამ გუნდს და მის გულშემატკივრებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით. პირადად მე, არც ერთ შემთხვევაში არ გავცვლიდი „ინტერს" „სიტიში".

**- ნუთუ არასდროს გდომებიათ კარიერის პრემიერლიგაში გაგრძელება?**

- პრემიერლიგა ძალიან მიმზიდველი პირველობაა და შესაძლოა, ოდესმე მომიწიოს კიდეც ალბიონზე ბურთაობა. თუმცა ჩემი გეგმები ჯერჯერობით მხოლოდ „ინტერს" უკავშირდება. ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, რომელსაც ნებისმიერი მწვერვალის დაპყრობა შეუძლია. ჩემი მიზანიც „ნერაძურიში" თამაში და ტიტულების მოგებაა. მსურს კლუბის ისტორიაში საკუთარი კვალი დავტოვო.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენი გუნდი იპოვეთ?**

- "ინტერში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ, რაც ჩემს თამაშზეც აისახება. ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ "ნერაძურიში" ურიგოდ არ ვასპარეზობ, პირიქით, კიდევ უფრო კარგად წარმოვჩნდი. შესაბამისად, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი გუნდი ვიპოვე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, "ინტერში" ასპარეზობას კიდევ დიდ ხანს ვაპირებ.

**- "ინტერი" სკუდეტოს მოპოვების მთავარი ფავორიტია?**

- უმეტესობა ასე მიიჩნევს და ალბათ, აქვს კიდეც ამ მოსაზრებას სერიოზული საფუძველი. პირველი წრე უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ და სატურნირო ცხრილში ლიდერობა დავიმსახურეთ. "ინტერი" მართლაც ფავორიტია, თუმცა ამ ავანსს გამართლება სჭირდება. ჰაერიდან არაფერი მოდის, თითოეული ქულა დიდი შრომის ფასად გვიჯდება.



**- "მილანი" ახალი გალაქტიკოა, ალბათ ყველაზე მეტად "როსონერის" უფრთხით.**

- "მილანში" მართლაც უდიდესმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი და ამის უარყოფა უბრალოდ სისულელეა. ამ გუნდს ამოუწურავი რესურსი აქვს, რაშიც ალბათ "ინტერის" ტიფოზებიც კი დამეთანხმებიან. რაც შეეხება სკუდეტოსთვის ბრძოლას, ბუნებრივია, რომ "როსონერი" ჩვენი მთავარი კონკურენტია.

**- "იუვენტუსზე" რას იტყვით?**

- "იუვეში" ნათამაშები მაქვს და ვიცი ამ გუნდის ავან-ჩავანი. "ვეკია სენიორა" მუდმივად გამარჯვებაზეა დაგეშილი და შედეგსაც უმეტესწილად აღწევს. ვფიქრობ, რომ "იუვენტუსიც" სკუდეტოს მოპოვების რეალური პრეტენდენტია. ეს სატურნირო ცხრილიდანაც ნათლად ჩანს.

**- ბოლო დროს "იუვეს" ფეხბურთელები სულ უფრო და უფრო ხშირად იმუქრებიან და აცხადებენ, რომ "ინტერს" არაფრით ჩამოუვარდებიან.**

- ამაში გასაკვირი არაფერია. "ინტერი" პირველ ადგილზეა და ნებისმიერი გუნდი ცდილობს, ჩვენ შეგვედაროს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, "მილანს" და "იუვენტუსს" კონკურენტებად მივიჩნევ, თუმცა ალბათ მთავარი ფავორიტი მაინც "ნერაძურია".

**- ყველაზე მეტად რა არის საჭირი სკუდეტოს მოსაგებად?**

- სტაბილურობა. სწორედ ეს ფასობს ყველაზე მეტად. შესაძლოა, ორი თვის განმავლობაში გუნდი დაფრინავდეს და გამანადგურებელი ანგარიშებით იგებდეს, მაგრამ მესამე თვეს ჩავარდნა დაეწყოს და ყველაფერი გააფუჭოს. მთავარი ქულების სტაბილურად მოგროვებაა. იტალიის პირველობაზე სუსტი გუნდები არ არსებობენ, იოლი თამაში ფაქტობრივად არ გვხვდება და თუ მუდმივად არ ხარ მოწოდების სიმაღლეზე, სკუდეტოს ნამდვილად ვერ მოიგებ.

**- ჩემპიონთა ლიგის განახლებამდე თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი, ალბათ, უკვე გრძნობთ დიდი დაპირისპირების მოახლოვებას.**

- ნამდვილად ასეა. ერთხელ დამესიზმრა კიდეც, რომ "მანჩესტერ იუნაიტედთან" დიდებული შეხვედრა გავმართეთ. მახსოვს გოლი გავიტანე და მატჩის შემდეგ ბედნიერი ვიყავი. სამწუხაროდ, რა ანგარიშით დამთავრდა ის თამაში, დღემდე არ ვიცი.

**- ტიფოზები "ინტერს" მორიგ ევროკრახს აღარ აპატიებენ, რის ხარჯზე აპირებთ ინგლისელთა ბარიერის გადალახვას.**

- მეტოქე ძალიან ძლიერია და ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო ნამდვილად არაა. ალექს ფერგიუსონს ძალიან სწრაფი გუნდი ჰყავს და სწორედ ეს იქნება ჩვენი მთავარი თავსატეხი. მანჩესტერელებს ტემპში ვერ ავყვებით, ჩვენი კოზირი უნდა ავამოქმედოთ და მეტოქეს ბურთი არ დავუთმოთ. "ინტერში" გამოცდილი ფეხბურთელები ვთამაშობთ და ეს არ შეგვეშლება.

**- ბევრი თვლის, რომ ეს თქვენი და კრისტიანო რონალდოს დაპირისპირება იქნება.**

- როგორ გეკადრებათ. ჩვენ საუბარი გვაქვს ისეთ დიად გუნდებზე, როგორებიც "ინტერი" და "მანჩესტერი" არიან. როგორ შეიძლება ასეთი კლუბები დაპირისპირება ფეხბურთელების დუელამდე დაიყვანო. კრისტიანო უმაღლესი კლასის მოთამაშეა და ის ერთ-ერთი რგოლი იქნება მანჩესტერულ მექანიზმში.

**- შეუძლია "ინტერს" ორივე ტიტულის, ლიგის და სკუდეტოს მოპოვება?**

- თქვენ იტალიის თასი დაგავიწყდათ. ჩვენ სამ ფრონტზე ვიბრძვით და ვეცდებით, თითოეულ მათგანში გავიმარჯვოთ. ვფიქრობ, რომ "ინტერს" ეს ხელეწიფება. მთავარია, მოვინდომოთ და მოედანზე მაქსიმალურად დავიხარჯოთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

მილანი

# ნესტამ ვარჯიში განაახლა



გუშინ, "მილანის" გულშემატკივართათვის მეტად სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ვარჯიში განაახლა გუნდის უკანა ხაზელმა **ალესანდრო ნესტამ**. როგორც იცით, აძურას ყოფილი მცველი მაიმაში გადიოდა სარეაბილიტაციო კურსს და მილანში ორიოდე კვირის წინ დაბრუნდა. ნესტა გუშინ გამოჩნდა "მილანელოზე" და მსუბუქად ივარჯიშა. გუნდის ექიმმა **ჯორჯო პურიჩელიმ** პრესას შემდეგი განუცხადა: "ნესტას დაბრუნების ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, თუმცა ეს დღე არც ისე შორსაა, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ. მართალია, ალესანდრო ჯერ მხოლოდ დარბის და ბურთთან გაკარებაც კი ეკრძალება, მაგრამ ამან არ უნდა მოგატყუოთ. სარეაბილიტაციო კურსი კარგად მიმდინარეობს და სანდროც მალე დაუბრუნდება მოედანს".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიური ამბები

# რომედალს საშველი დაადგა

## რაიკაარდი ფეიენოორდში არ იქნება

არსებობს საშიშროება, რომ **კლაას იან ჰუნტელაარის** შემდეგ „აიაქსმა" შეტევების მეორე ლიდერიც დაკარგოს. ლაპარაკია ურუგვაელ **ლუის სუარესზე**. შემოდგომაზე ლაპარაკობდნენ, რომ მოთამაშით „ბარსელონა" იყო დაინტერესებული. აღნიშნული ხმები დიდი ხანია ჩაცხრა. სამაგიეროდ, სამხრეთამერიკელის გადაბირების სურვილით ახლა „ვალენსია" იწვის. ჟურნალისტებმა „ღამურების" სკაუტები ბოლო ტურში „ნაიმეგენი"-„აიაქსის" შეხვედრისას ტრიბუნებზე შენიშნეს. გასაგებია, რომ ამსტერდამელები ფეხბურთელს ამ სატრანსფერო ფანჯრის დროს არ გაუშვებენ, მაგრამ სუარესის დაკარგვის პერსპექტივა ზაფხულზე მაინც ძალზე რეალურია. მას შემდეგ, რაც „ვალენსიაში" ფინანსური სიტუაცია სტაბილური გახდა, კლუბს უკვე შეუძლია, ახალ ფეხბურთელებზე თამამად იფიქროს.

გავრცელდა თავად ფეხბურთელის კომენტარიც. მას ამსტერდამის დატოვებისა და ესპანეთში, კონკრეტულად "რეალში" გადასვლა უნდა. ლუისის განცხადებით, ის სიამოვნებით მიიღებს **ხუანდე რამოსის** წინადადებას და დაუფიქრებლად გადავა "სანტიაგო ბერნაბეუზე". შეგახსენებთ, რომ ურუგვაელი "აიაქსში" 2007 წლის ზაფხულზე "გრონინგენიდან" გადავიდა. მან იოლად შეძლო გუნდში ადაპტაცია და მის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. *"კარიერის ესპანეთში გაგრძელება მინდა. ვშიშობ, რომ "აიაქსი" ჩემს შენარჩუნებას მოინდომებს, რადგან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით მაკავშირებს, არადა, როგორც ვოცნებობ "რეალში" ჰუნტელაართან ერთად თამაშზე..."* - განაცხადა ლუის სუარესმა.

**მარკო ვან ბასტენის** მიერ „აიაქსში" გამოცხადებულ საკადრო წმენდას **დენის რომედალი** შეეწირა. უკვე რამდენჯერმე გაცნობეთ, რომ დანიელ ფეხბურთელს „ამსტერდამ არენაზე" პერსპექტივა არ ჰქონდა. თუნდაც იმიტომ, რომ ვან ბასტენი ფეხბურთელს თავად გამოუტყდა, რომ მის იმედად ყოფნას არ აპირებდა. ხანგრძლივი თუ არც თუ ისე ხანგრძლივი ძებნის შემდეგ რომედალმა ახალ ბუდეს მიაგნო. მისით „ნაიმეგენი" დაინტერესდა. კლუბებს შორის არენდის ხელშეკრულება კვირას, 18 იანვარს გაფორმდა. 30 წლის ფორვარდს ახალი კლუბი, სავარაუდოდ, ზაფხულში გამოისყიდის.

შერისხული ფეხბურთელების მაგივრად ვან ბასტენს ახალი მოთამაშეები სჭირდება. "აიაქსის" სამიზნეში მოხვდა ახალგაზრდა სერბი ტალანტი **დუშან ტადიჩი**. სერბულ წყაროებს თუ ვენდობით, ამსტერდამელებმა "ვოივოდინას" შემტევ ნახევარმცველში 2.6 მილიონი ევრო შესთავაზეს. თუმცა ნოვოსადელები აღნიშნულ წინადადებას არ დათანხმდნენ. *"ტადიჩი არანაკლებ სამი მილიონი ღირს,"* – განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა. "აიაქსს" სულ რაღაც 400 ათასის დამატება მოუწევს. არ გვგონია, აღნიშნული თანხა რაიმე განსაკუთრებულ პრობლემად იქცეს. ასე რომ, ეპოპეა არ დასრულებულა. ტადიჩით ესპანური პრიმერასა და გერმანული ბუნდესლიგის კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. თუმცა 20 წლის ტადიჩის გადაბირების ყველაზე მეტი შანსი ნამდვილად "აიაქსს" აქვს. გარდა უცხო მიწაზე მოთამაშე ფეხბურთელებისა, ვან ბასტენი "აიაქსის" აკადემიის აღზრდილებსაც სათანადო ყურადღებას აქცევს. ასე მაგალითად, ბოლო ტურში "ნაიმეგენთან" შეხვედრის 83-ე წუთზე დებიუტი ჰქონდა ნიჭიერ ბელგიელ ცენტრალურ მცველ **ტობიას ალიდვეირელდს**. ეს უკანასკნელი ამსტერდამში 2004 წელს "ბეერსხოტის" ბავშვთა გუნდიდან გადავიდა. *"უახლოეს დღეებში დავსხდებით და ტობისთან მის მომავალზე დავილაპარაკებთ. მას ჩვენთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. რასაკვირველია, ჩვენ მის გახანგრძლივებაზე ვიზრუნებთ,"* – განაცხადა ტექნიკურმა დირექტორმა **დანი ბლინდმა**.


დენის რომედალმა თავს უშველა

სტატიას რომედალის ახალი კლუბით გავაგრძელებთ. „ნაიმეგენის" პრეზიდენტმა **იან ვან ტეეფელენმა** და გუნდის თავკაცმა **მარიო ბინმა** პირველი კომენტარი გააკეთეს ჰოლანდიურ პრესაში გაჩაღებულ სპეკულაციებთან დაკავშირებით, თითქოს ბინი „ფეიენოორდის" მწვრთნელობის უმთავრესი პრეტენდენტია. *„დავიღალე უსაფუძვლო ჭორების კითხვით,* - განუცხადა „ნაიმეგენის" ოფიციალურ საიტს სპეციალისტმა. - *მადლობა „ფეიენოორდს" იმ სითბოსთვის, რაც მან მაჩუქა, როგორც ფეხბურთელს, მაგრამ მათგან წინადადება არ მიმიღია. რომც მივიღო, არ მგონია, სერიოზულად განვიხილო. დიდი სურვილი მაქვს, კონცენტრაცია ჩემს დღევანდელ სამუშაოზე გავაკეთო. ჩვენ წინ კიდევ ნახევარი სეზონი და უამრავი მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს. უნდა დავამტკიცოთ, რომ აქამდე ნაჩვენები შედეგები შემთხვევითობა არ არის",* - განაცხადა ბინმა. მთავარი მწვრთნელისთვის უაღრესად დელიკატურ ჟამს მას საკუთარმა ფეხბურთელებმა სრულად გაუგეს. ისინი შეეგუვნენ, რომ თუ არა უახლოეს დღეებში, მარიო ბინი მათ ზაფხულზე მაინც დატოვებს და სწორედ „ფეიენოორდს" ჩაიბარებს. *„სამწუხაროა, რომ ადრე თუ გვიან მასთან გამოთხოვება მოგვიწევს. თუმცა ჩვენ პროფესიონალები ვართ და მისი მოტივაციის გვესმის. მას ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებთ,"* - განაცხადა ნახევარმცველმა **ლორენცო დავიდსმა**.

გარდა მარიო ბინისა, გავრცელდა ხმები, რომ როტერდამული კლუბი "ბარსელონის" ყოფილი თავკაცის **ფრანკ რაიკაარდის** მიწვევით არის დაინტერესებული. *"ბოლო ხანს ფეხბურთისგან დავისვენე და საამისო მიზეზი მართლა მქონდა. ადრე ვთქვი და ახლაც ვადასტურებ, მიმდინარე სეზონში რომელიმე კლუბში მუშაობის დაწყებას არ ვაპირებ. ფეხბურთში მხოლოდ ზაფხულზე დავბრუნდები. ამ წუთას, გადაწყვეტილება, თუ რომელ ქვეყანაში წავალ სამუშაოდ, არ მიმიღია,"* – განუცხადა "დე ტელეგრააფს" ფრანკ რაიკაარდმა.

მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ გერმანული ბუნდესლიგის ლიდერმა "ჰოფენჰაიმმა" წამყვანი თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩი** დიდი ხნით დაკარგა. ბუნებრივია, მისი შეცვლა კლუბს შიდა რესურსებით არ შეუძლია. შესაბამისად, **რალფ რანგნიკმა** და **დიტმარ ჰოპმა** მზერა სატრანსფერო ბაზარს მიაპყრეს. ისინი განიხილავენ "ნანტიდან" **ივან კლასნიჩის** შეძენის შესაძლებლობას. გარდა ამისა, "ალგემაან დანგბლადის" ინფორმაციით, სასურველ მოთამაშეთა სიაში მოხვდა "ალკმაარის" ერთ-ერთი ფორვარდი. **ლუის ვან გაალის** გუნდში წამყვან როლებს შეტევის ხაზში **მუნირ ალ ჰამდაუი** (გუნდის საუკეთესო მოთამაშე: 17 თამაში 15 გოლი, 5 პასი) და ბრაზილიელი **არი** ასრულებენ. რომლის შეძენას მოისურვებს გერმანული კლუბი, გაზეთი ამას ვერ აზუსტებს. ვარაუდობენ, რომ "ჰოფე" გადაწყვეტილებას შაბათს, 24 იანვარს "ალკმაარი"-"გრააფსხაპის" თამაშის შემდეგ მიიღებს.

"გრონინგენში" არეულობაა. ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ გუნდის შეტევების ლიდერი **მარკუს ბერგი** და ნახევარმცველი **ოლუვაფემი აჯილორე**. მათი შორის დაპირისპირება ვარჯიშისას მოხდა. დეტალებზე ლაპარაკს მხარეები თავს არიდებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სერიოზულ ხელჩართულ ჩხუბამდე საქმე არ მისულა. "გრონინგენის" მთავარმა მწვრთნელმა **რონ იანსმა** ფეხბურთელები მალევე დააშოშმინა და ისინი ინდივიდუალურად სავარჯიშოდ მოედნის სხვადასხვა მხარეს გაგზავნა. სპორტული ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ დაპირისპირება გამოიწვია ბერგის მიერ თანაგუნდელის საჯაროდ გაკრიტიკებამ. დანამდვილებით ვერავინ ვერაფერს ამტკიცებს.

გასული წლის 13 აპრილს, "როდამ"-"ვენლოს" უმასპინძლა და 4:1 დაამარცხა. შეხვედრაში უჩვეულო ის იყო, რომ შეხვედრის არბიტრმა **პოლ ვან ბუკელმა** უამრავი საეჭვო შეცდომა დაუშვა. მას შემდეგ ის მუდმივად შიშში ცხოვრობდა. "ვენლოს" ქომაგები მას მთელი ამ ხნის განმავლობაში ემუქრებოდნენ. გარდა მუქარისა, ლანდგრააფელმა და კერკრადელმა გულშემატკივრებმა მის მანქანასა და საცხოვრებელ სახლს თამაშიდან რამდენიმე დღეში სერიოზული ზიანი მიაყენეს. გამოძიებამ მხოლოდ ახლა შეძლო ბოროტმოქმედთა დაკავება. პოლიციის მარწუხებში აღმოჩნდა 6 ადამიანი. მათი ვინაობა არ დასახელებულა, თუმცა ცნობილია, რომ მათი ასაკი 18-დან 26 წლმდე მერყეობს.

**შალვა ბიბილაშვილი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ცხვრებმა ეშმაკებს სისხლი გამოუშვეს

## მანჩესტერმა მდიდარი სპონსორი იპოვა. რონალდო: ბენფიკა და სპორტინგი ჰო, მაგრამ მანჩესტერი?



ფერგიუსონი 2008 წლის სიმბოლური ნაკრების მთავარ მწვრთნელად დასახელდა

„მანჩესტერ იუნაიტედის" სატიტულო სპონსორს, კომპანია AIG-ს (American International Group) ძირითადი ბიზნესინტერესი დაზღვევისა და ფინანსური მომსახურების სფეროში აქვს. გლობალური კრიზისის ფონზე ფირმის შემოსავლებმა იკლო. კომპანიას იმდენად გაუჭირდა, რომ „იუნაიტედთან" დადებული ხელშეკრულების გახანგრძლივების სურვილი არც კი გამოუმჟღავნებია. არადა, კონტრაქტს ვადა მომავალი წლის ივნისის ბოლოს ეწურება. „სანის" ინფორმაციით, „მანჩესტერის" მენეჯმენტი არაბულ კომპანია „საუდი ტელეკომთან" კონტრაქტის გაფორმებასთან ძალზე ახლოსაა. ხელშეკრულება ძალაში სწორედ 2010 წლის ივნისში შევა. ტაბლოიდი გვამცნობს გარიგების სავარაუდო პირობებს. კონტრაქტი გაფორმდება ხუთი წლის ვადით და ის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონს ერთბაშად 125 მილიონ ფუნტს მოუტანს. აქვე გეტყვით, რომ „საუდი ტელეკომი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე თანამშრომლობენ. არაბები „ეშმაკებს" წელიწადში 15 მილიონს უხდიან საუდის არაბეთის მასშტაბით „იუნაიტედის" საკლუბო სიმბოლიკის გამოყენების ექსკლუზიურ უფლებაში.

მოგეხსენებათ, „ალისფერი ეშმაკები" ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში ჩემპიონშიფის აუტსაიდერ „დერბი ქაუნთის" შეებნენ და 4:2 დაამარცხეს. გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ წარმატებას ჩრდილი მიაყენა „იუნაიტედის" ერთბაშად ოთხი ფეხბურთელის ტრავმამ. მარჯვენა მცველმა **რაფაელ და სილვამ** (მინდორს 20 დღეზე ადრე ვერ დაუბრუნდება) მუხლი დაიზიანა, ცენტრალურმა მცველმა **ჯონი ევანსმა** (7-8 დღეში შეეძლება თამაში) და ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ანდერსონმა** (გამოჯანმრთელების ვადა სამედიცინო შემოწმების შემდეგ დასახელდება) კოჭი დაიზიანეს, მარცხენა ნახევარმცველმა **ნანიმ** კი - ფეხის კუნთი დაიჭიმა (ბრაზილიელი თანაგუნდელის მსგავსად დიაგნოზი ჯერ არ დასმულა) და მინდორი თამაშის მიწურულს კოჭლობით დატოვა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ლიდერმა **კრისტიანო რონალდომ** აღიარა, რომ ბავშვობაში არასოდეს უოცნებია ახლანდელი გუნდის რიგებში გამოსვლაზე. მას საერთოდ ვერ წარმოედგინა, თუკი ოდესმე ამ დონეზე თამაშს შეძლებდა. *„გულწრფელად თუ გეტყვით, „ოლდ ტრეფორდზე" თამაშზე არასოდეს მიფიქრია. პროფესიონალი ფეხბურთელობა ყოველთვის მინდოდა. ვოცნებობდი „ბენფიკასა" და „სპორტინგზე". ასეთ დონეზე თამაშის იმედი ნამდვილად არასდროს მქონია. როდესაც გავიგე, რომ ჩემს თამაშს „იუნაიტედის" სკაუტი აკვირდებოდა, გავიფიქრე, რომ მაინც არაფერი გამოვიდოდა, თუმცა შევცდი,"* - განუცხადა პორტუგალიური RTP-ის ჟურნალისტს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა.

უეფას ოფიციალური საიტის მომხმარებლებმა 2008 წლის სიმბოლური ნაკრები და წლის მწვრთნელი დაასახელეს. გულშემატკივართა გუნდში „მანჩესტერ იუნაიტედის" ორი წარმომადგენელია. გამოკითხვაში 256 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

**მეკარე:** იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი)

**მცველები:** სერხიო რამოსი (რეალი, ესპანეთი), ჯონ ტერი (ჩელსი, ინგლისი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა, ესპანეთი), ფილიპ ლამი (ბაიერნი, გერმანია).

**ნახევარმცველები:** კრისტიანო რონალდო (მანჩესტერი, პორტუგალია), ჩავი (ბარსელონა, ესპანეთი), ფრანსესკ ფაბრეგასი (არსენალი, ესპანეთი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, საფრანგეთი)

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (ბარსელონა, არგენტინა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, ესპანეთი)

**მთავარი მწვრთნელი:** სერ ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერი, შოტლანდია).

მანჩესტერ სიტი

# კოლოსალური ჯარიმა რობინიოს

## სანი: ბრაზილიელი ზაფხულზე ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს

"მანჩესტერ სიტის" ფორვარდმა **რობინიომ** თავი სერიოზულ შარში გაყო. მოგეხსენებათ, მან ესპანეთში შეკრებაზე მყოფი გუნდი ხელმძღვანელების ნებართვის გარეშე დატოვა და "ოჯახური პრობლემების" მოსაგვარებლად ბრაზილიაში გაფრინდა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა მას სამშობლოში მაინც მიაგნეს. ფეხბურთელის განცხადებით, ის სათანადო ნებართვას ფლობდა. კორესპონდენტებმა იეჭვეს, რადგან "ქალაქელთა" ბოსებმა ფაქტზე კომენტარი სასტიკად იუარეს. "დეილი მეილის" ცნობით, კლუბში სერიოზულად იმსჯელეს შექმნილ მდგომარეობაზე. ბრაზილიელს ორი კვირის ხელფასზე უარის თქმა მოუწევს, რაც ზუსტად 320 ათას გირვანქას უდრის. კლუბის აღმასრულებელი დირექტორის **გარი კუკის** განცხადებით: *"რობინიოს საქციელი მთელი კლუბის სირცხვილია"*. ბრაზილიელი სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს ინგლისში და გუნდს "ნიუკასლის" წინააღმდეგ ოთხშაბათს, 28 იანვარს ჩასატარებელი შეხვედრისთვის შეუერთდეს. გთავაზობთ **მარკ ჰიუზის** განცხადებას, რომელიც მან გუშინ გააკეთა: *"რობიმ ჩემი ნებართვის გარეშე დატოვა კლუბი, მისი აზრით, მნიშვნელოვანი პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. ვფიქრობ, რომ მისთვის იმის მოთხოვნა, პირველივე რეისით უკან დაბრუნდეს, არაეფექტური იქნება. თუმცა მას, ყველაზე გვიან, ამ უქმეებზევე ველი ბაზაზე. მხოლოდ მას მერე, რაც მას პირადად შევხვდები და დაველაპარაკები, ავუხსნი ჩემს მოსაზრებას, ვიტყვი, რა სანქციას გავატარებთ მის წინააღმდეგ. აშკარაა, ის ფიქრობდა, რომ არსებობდა საპატიო მიზეზები, მაგრამ ფეხბურთელი შეცდა. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელი დაწვრილებით მოგვახსენებს, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი. გაზეთებში დაწერეს, რომ ის კაკას საქმის ჩაშლის შემდეგ გაბრაზდა და ბაზა ისე დატოვა. რობინიომ დამარწმუნა, რომ როდესაც კაკას ტრანსფერის ამბავი გაირკვა, ის უკვე ბრაზილიაში მიფრინავდა. მგონი ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირებას ადამიანები სულ ტყუილად ცდილობენ".*

რობინიოს საიტზე მოკლე კომენტარი გააკეთა თავად ფეხბურთელმაც. ის უარყოფს დაპირისპირებას მარკ ჰიუზთან, ამასთან, ადასტურებს მთავარი მწვრთნელისადმი პატივისცემას. *"მომწონს მანჩესტერში ცხოვრება. იქ მე უამრავი მეგობარი მყავს როგორც კლუბში, ისე ქალაქში. აღფრთოვანებული ვარ ჩემი კლუბის გულშემატკივრებით. მოუთმენლად ველი ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრას. რამდენადაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ, რათა გუნდს უფრო მაღალ საფეხურზე ასვლაში ხელი შევუწყო,"* - განაცხადა სამხრეთამერიკელმა.

რობინიოს გულისამაჩუყებელი ტირადისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის "სანი". ტაბლოიდის მტკიცებით, ბრაზილიელი ზაფხულზე ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს. "სანი" სწორედ იმას ამტკიცებს, რასაც კატეგორიულად უარყოფს მარკ ჰიუზი. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ფეხბურთელის ვერსია, ტრანსფერის ჩაშლის დროს საჰაერო ხომალდში ვიჯექი და ოკეანის თავზე მივფრინავდიო, ბევრად უფრო დამაჯერებელია, ვიდრე გაზეთების მტკიცება. ფეხბურთელის სამშობლოში ჩაფრენის დროით თუ ვიანგარიშებთ, კაკას ამბავი მას სწორედ თვითმფრინავში უნდა შეეტყო.

პორტუგალიური პრესის ცნობით, ბოლო ტურში "სპორტინგი"-"მარიტიმუს" შეხვედრას ქალაქელთა სკაუტები დაესწრნენ. მათი მიზანი გახლდათ "სპორტინგისა" და პორტუგალიის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველის **მიგელ ველოზუზე** დაკვირვება. ჯერ კიდევ გასულ წლის ზაფხულზე ისმოდა ხმები ხსენებული მოთამაშით "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "არსენალის" დაინტერესების შესახებ. "ქალაქელები" ლისაბონელებს 19 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. *"აღნიშნული დაინტერესების შესახებ მხოლოდ პრესის საშუალებით შევიტყვეთ. გარწმუნებთ, ინგლისელები ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე არ დაგვკავშირებიან,"* - აღნიშნა "სპორტინგის" პრეზიდენტმა **ფელიპე სოარეშ ფრანკომ**.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**




ბრაზილიელს თვითნებობისთვის კოლოსალური ჯარიმა ელის

ამბები

### დიეგო მართვის მოწმობის გარეშე დარჩა

რამდენიმე დღის წინ "ვერდერის" ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი **დიეგო** პოლიციამ ავტომანქანის საჭესთან ნასვამი დააკავა. მის სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა დასაშვებ ზღვარს 0.3 პრომილეთი სცდებოდა, რაც მსუბუქ სიმთვრალედ მიიჩნევა. სამხრეთამერიკელის მდგომარეობა შეამსუბუქა იმან, რომ გზაზე ხიფათი არავისთვის შეუქმნია. ასეთ შემთხვევაში ის მხოლოდ მართვის მოწმობის ჩამორთმევით, რა თქმა უნდა, ვერ გადარჩებოდა. ბრემენელთა პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, სადაც წერია, რომ ფეხბურთელს კლუბის მხრიდან დამატებითი სანქცია ინციდენტში მოხვედრის გამო არ ელის, -გვამცნობს სააგენტო AP.

### სმოლიარეკი ერედივიზიონში

"ბოლტონის" პოლონელი თავდამსხმელი **ეუსებიუშ სმოლიარეკი** შეიძლება ამ დღეებში გამოეთხოვოს პრემიერლიგას და გეზი ჰოლანდიისკენ აიღოს. მან ვერაფრით მოახერხა **გარი მეგსონისთვის** იმის დამტკიცება, რომ "ბოლტონისთვის" საჭირო ფეხბურთელია. ტიტების ქვეყანაში მისით დაინტერესებულია "ტვენტე". ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები სანტანდერის "რასინგს" ეკუთვნის. პოლონელი არც ისე ძვირი ღირს. ხსენებულ საქმეში საინტერესო საქმე ის არის, რომ სანტანდერელებს საკუთარი გათვლები აქვთ. მათ "ტვენტედან" **ელერო ელიას** შეძენა სურთ. შესაბამისად, ენსხედელებს ფეხბურთელების გაცვლას სთავაზობენ. "ტვენტეს" ინგლისელი თავკაცი **სტივ მალარენი** არც იმდენად გულუბრყვილოა, ასეთ გარიგებას დათანხმდეს.

ალბათ გახსოვთ ასეთი ფეხბურთელი **მეტ იანსენი**. ის 2006 წელს უმძიმეს ავარიაში მოჰყვა და საფეხბურთო კარიერა კი არა, მისი სიცოცხლე ეკიდა ბეწვზე. ფეხბურთელის ბოლო კლუბი სწორედ "ბოლტონი" გახლდათ. იანსენი მას შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდა. მეტს ფეხბურთში დაბრუნება მისმა პირველმა კლუბმა "კარლაილმა" შესთავაზა. სპორტსმენი სერიოზულად დაფიქრდა.

იანსენის კარიერის პიკი "ბლექბერნში" ჰქონდა, როცა სულ რამდენიმე წელიწადში 153 შეხვედრაში 44 გოლის გატანა მოახერხა.

### ოდონკორი ბრუნდება

"ბეტისის" მარჯვენა ნახევარმცველი, გერმანელი **დავიდ ოდონკორი** წელს მინდორზე ერთხელაც არ გამოჩენილა. საქმე მწვრთნელის უნდობლობაში არ არის. მან სეზონის დასაწყისში მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მწვანე მინდორს ჩამოშორდა. სევილიელი ექიმებისგან მან უკვე მიიღო ვარჯიშის ნებართვა. როგორც "ბეტისის" პრესსამსახური ირწმუნება, ოდონკორი მალე სრული დატვირთვით ვარჯიშს შეძლებს. შესაბამისად, დავიდს მინდორზე დაბრუნებამდე ორი-სამი კვირა აშორებს.

### ლოვენკრანდსი დარჩა. სმიტმა ვარჯიში განაახლა

„ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი **ჯო კინეარი** აცხადებს, რომ ის კმაყოფილია დანიელი **პიტერ ლოვენკრანდსის** სათამაშო ფორმით. მას შემდეგ, რაც „შალკეს" ყოფილი ვარსკვლავი ჩრდილოეთ ინგლისში სინჯებზე ჩავიდა, საკმარისი დრო გავიდა, დასკვნა კი კინეარმა მხოლოდ ახლაღა გააკეთა. ლოვენკრანდსთან კონტრაქტი მხოლოდ ივნისამდე გაფორმდება. ხანგრძლივ თანამშრომლობაზე მხარეები მხოლოდ ზაფხულში ილაპარაკებენ. გეტყვით იმასაც, რომ სავარაუდოდ ამ დღეებშივე „ნიუკასლის" რიგებს შეავსებს დორტმუნდის „ბორუსიისა" და „ლევერკუზენის" ყოფილი მცველი **აჰმედ რეზა მადუნი**. საბოლოო გადაწყვეტილებას კინეარი კვირის ბოლომდე მიიღებს.

"ნიუკასლის" თავდამსხმელმა **ალან სმიტმა** ხუთთვიანი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა. ალანმა ტრავმა აგვისტოში მიიღო. *"სმიტმა ძალიან დიდი დრო გამოტოვა. ის ერთადერთი ფეხბურთელად რჩება გუნდში, ვისაც ჩემი ხელმძღვანელობით ჯერ არ უთამაშია. ძალიანაც კარგი, რომ ალანი დაბრუნდა. ის რაც შეიძლება მალე უნდა ჩადგეს სათანადო ფორმაში. სმიტი გუნდს შესამჩნევად გააძლიერებს,"* – განუცხადა "ივნინგ ქრონიკლს" ჯო კინეარმა.

### ვოლფსბურგი და ადიდასი

კომპანია „ადიდასისთვის" თითოეული ბუნდესლიგური კლუბი, რომელიც მისი უმთავრესი კონკურენტის, „ნაიკის" პროდუქციით არის შემოსილი, დიდი ტკივილია. ამერიკელთათვის კი პირიქით, - ყოველი ასეთი თანამშრომლობა სერიოზული გამარჯვებაა. გერმანელებმა ამერიკელებს „ვოლფსბურგისთვის" ბრძოლა მოუგეს. „ადიდასმა" „მგლებთან" ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმება ძალაში მომავალი სეზონისთვის შევა.

(გაგრძელება)




## • მარსელიოზა გამარჯვების საპატივცემულოდ

წარმოშობით იტალიელი ვარ. მაგრამ იმიგრანტად თავი არასოდეს მიგრძვნია. არანაირი საფუძველი არ მაქვს, რომ იმიგრაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოვთქვა.

სხვებზე უკეთ ვიცი იმ ღირსების დაფასება, რომელიც ჩემმა ოჯახმა ამ ქვეყნისგან იგრძნო. ამიტომაც მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. ფრანგი ჩემი ბაბუის კეთილი ნების წყალობით გავხდი. ამისთვის ის საფრანგეთში ოფლს ღვრიდა, როგორც სხვები სისხლს ღვრიან. მომდევნო თაობებმა თავიანთი საქმე გააკეთეს.

სამხედრო სამსახურში სამწყობრო ნაბიჯებით სიარულისას, საფრანგეთის მიმართ განსაკუთრებული პატრიოტიზმი არ მიგრძვნია. არც საფრანგეთის დროშის აღმართვაზე მქონია დიდი ემოციები.

საფრანგეთისადმი ნამდვილ, გულის სიღრმემდე სიყვარულს მაშინ ვგრძნობდი, როცა ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელთა მწკრივში ვიდექი და საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის ჰანგებს ვისმენდი. საფრანგეთი ახლა ჩემთანაა, ამ „კონკორდში", რომელიც მთელი სიჩქარით შორეული არგენტინისკენ მიგვაქანებს.

ზოგიერთები ჩვენს სამყაროზე პლანეტარული წარმოდგენებით გაერთნენ და კულტურისა და სპორტისადმი მიძღვნილ სტატიებში მუდმივად ითხოვენ ეროვნული ჰიმნების შესრულების შეწყვეტას. ეს უდიდესი შეცდომაა.

შეხედეთ უელსელ რაგბისტებს, რომლებიც ერთხმად მღერიან კარდიფის „არმზ პარკზე" „ჩვენი წინაპრების მიწას", შემდეგ კი სასტიკ ბრძოლაში ებმებიან; ირლანდიელებს, რომლებიც თავიანთ „ჯარისკაცულ სიმღერას" ასრულებენ... ჩვენ ამის შესახებ გაგებული გვაქვს, რადგან ერთხელ დავტოვეთ ქაცვების კვალი დუბლინში „ლენდსდაუნ როუდის" მინდორზე. კარგად ვიცით, რას ნიშნავს ნამდვილი ბრიტანული „საბრძოლო სული" - ამაზე ჩვენი ნაიარევი ფეხები მიგვანიშნებს. მაგრამ საკუთარი ეროვნული ჰიმნის გარეშე, იგივე ირლანდიელი თუ უელსელი ფეხბურთელი წყლით გაზავებული ვისკის ჩვეულებრივ მოყვარულებს მოგვაგონებდნენ.

ჩემმა პირველმა „მარსელიოზამ" 1977 წლის 16 ნოემბერს, „პარკ-დე-პრენსზე" გაიჟღერა. იმ ღამით არგენტინის ვიზები მივიღეთ და ახლა იქითკენ მივფრინავთ...

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთი მეხუთე შესარჩევ ჯგუფში მოხვდა ირლანდიასთან და ბულგარეთთან.

ისევე, როგორც რეჟისორულად კარგად გადაწყვეტილი დრამა, კვანძი აქაც ბოლო სცენაში გაიხსნა. ყველაფერი ჯალათის გამომეტყველების მქონე ერთი შოტლანდიელი არბიტრის, გვარად **ფუტის** სკანდალური მსაჯობით დაიწყო. ამ სამარცხვინო მსაჯობას ჩვენთვის, შესაძლოა, კატასტროფული შედეგი მოჰყოლოდა. მაგრამ, ამ შემთხვევაში დაზარალებული ირლანდია აღმოჩნდა, რომელსაც სოფიაში სავსებით დამსახურებული გამარჯვება წაართვეს, სადაც ბერძენი ეროვნების მსაჯი ურცხვად უსვამდა ხაზს ბულგარელებისადმი სიმპათიას. ბულგარეთის ნაკრებმა კიდევ უფრო არია სიტუაცია, რადგან ძლივს გამოსტაცა დუბლინში ფრე ირლანდიას. და აი ეს დღეც, 16 ნოემბერი. ბულგარეთს ფრე სჭირდება ჩვენთან მატჩში იმისთვის, რომ არგენტინის პროვინცია პამპას ნახვის საშუალება მოგვისპოს.

საერთო დაძაბულობის მიუხედავად, წინა ღამეს შესანიშნავად მეძინა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ უკეთესი გუნდი გვყავდა.

9 საათსა და 30 წუთზე გავიღვიძე. 11 საათზე **მიშელ იდალგოსთან** მოთამაშეთა ტრადიციული შეხვედრა გაიმართა. მან უკვე დიდი ხანია ყველაფერი გვითხრა და ჩვენ კარგად გვქონდა გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობები და პასუხისმგებლობა. 12 საათსა და 30 წუთზე ვისაუზმეთ. ძალიან მსუბუქი მენიუ იყო. შემდეგ **ბატენეისთან** ერთად **ტრეზორისა** და **დალჟეს** წინააღმდეგ ბელოტას პარტია ვითამაშე. სულ უფრო და უფრო ვნერვიულობდი და ბოლოს საერთოდ დავკარგე ჩვეული კონცენტრაცია. ჩვენ წავაგეთ და ბანქოს ქაღალდები მაგიდაზე დავყარე. 16 საათსა და 30 წუთზე იყო კიდევ ერთი მსუბუქი წახემსება, რომელმაც სრულ სიჩუმეში ჩაიარა. სენ-ჟერმენისკენ დავიძარით. ავტობუსში, როგორც ყოველთვის, მეექვსე რიგში მარცხნივ, ბატენეის გვერდით დავჯექი. რადიოში მხოლოდ ბულგარეთთან მოახლოებულ მატჩზე ლაპარაკობდნენ. „პარკ-დე-პრენსის" ახლოს მძღოლები გვცნობენ და გაბმული სიგნალებით გვამხნევებენ. გასახდელშიც ჩვეული ადგილი დავიკავე: საშხაპესთან ახლოს, ჩვენი მეკარის **ანდრე რეის** გვერდით.

არასოდეს დამავიწყდება, როგორ წარგვადგინეს პუბლიკის წინაშე.

მოედნის ცენტრში ჰოლანდიელი მსაჯი **კორვერი** დგას. მის გვერდით ორი თანაშემწე. ჩვენ მათგან მარჯვნივ ვიდექით - **ტრეზორი** გუნდის ვიმპელით ხელში, შემდეგ ანდრე რეი, „მეცის" მეკარე, **ჟანვიონი, ბოსი, რიო,** ბატენეი, **გიიო, როშტო, სიქსი, ლაკომბი** და მე.

შესანიშნავი გუნდი...

მსაჯების მეორე მხარეს წითელ სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი ბულგარელი მოთამაშეები ჩამწკრივდნენ. სულ მალე ისინი აქ, მინდორზე გამოჩნდებიან მწვანე ტრუსებსა და თეთრ მაისურებში.

და აი, გაისმის „მარსელიოზას" ხმა, ჰიმნს რომელიღაც საზღვაო-სახმელეთო პოლკი ასრულებს - 60 მუსიკოსი. გუგუნებს დოლი, გამაყრუებელ ხმას გამოსცემენ თეფშები, უკრავენ ტრომბონებს, კლარნეტებს, საყვირებს. ორკესტრმა საბრძოლო განწყობა გადმოგვცა.

პირველად ჩემს საფეხბურთო კარიერაში, პირველ და მეორე კუპლეტებს ვჩურჩულებდი: „წინ, სამშობლოს შვილებო, დიდების დღე დადგა..."

მარცხნივ ჩემს მეზობელ ბერნარ ლაკომბს მღელვარებისგან ხმა წაერთვა, მას მობილიზებული, მაგრამ სრულიად გაფითრებული სახე აქვს. ამ გარეგნული იერით მივხვდი, რომ ის ძალიან დიდ ნერვულ დაძაბულობას გრძნობს, მაგრამ მზად არის გადამწყვეტ ბრძოლაში შესასვლელად...

მართალი აღმოვჩნდი. ლაკომბი უზარმაზარ ტერიტორიაზე მანევრირებდა, მეტოქის მცველებს თავისკენ იტყუებდა და ჩვენ დიდი რაოდენობით ბრწყინვალე პასებით გვამარაგებდა. მასზე მიმაგრებული ორი მცველის (სტოპერი **ანგელოვი** და ლიბერო **ივკოვი**, რომლებსაც ხანდახან ნახევარმცველი **არაბოვიც** ეხმარებოდა) მიუხედავად ლაკომბმა თავისი მახვილგონივრული ფინტებით კარისკენ გზა გაგვიხსნა. მხოლოდ ის იყო საწყენი, რომ თავად ვერ შეძლო გოლის გატანა.

მაგრამ ეს მატჩი მან მართლაც დიდებულად ჩაატარა...

„საკუთარი" თამაშის ჩვენება არც მიცდია და უბრალოდ, წინა ხაზის ბურთით მომარაგებით ვიყავი დაკავებული.

მაგრამ ჩვენს მეტოქეს ყველაზე მეტად **ჟან-მარკ გიიოს** სიმშვიდე და გულცივობა აწუხებდა. ასეთი მაღალი რანგის საფეხბურთო დუელში ეს ყველაზე დასაფასებელი თვისებებია.

და, რა თქმა უნდა, ჩვენი გოლები.

პირველი როშტომ გაიტანა, შესვენებამდე 5 წუთით ადრე. დომინიკს უკვე შესრულებული ჰქონდა რამდენიმე სახიფათო გარღვევა. ამჯერად კი მან აიღო ბურთი, რომელიც მარიუს ტრეზორმა ბულგარელ მცველებს მოპარა და გორანოვის კარში გაგზავნა.

მეორე მე გავიტანე.

თამაში განახლდა და მეორე ტაიმის მე-15 წუთი მიმდინარეობდა. ეს იყო ბოსისა და სიქსის მიერ ჩატარებული შესანიშნავი მოსამზადებელი სამუშაოს შედეგი. კარიდან 20 მეტრის მოშორებით ძლიერად და ზუსტად დავარტყი. გორანოვი გადახტა, მაგრამ ბურთი უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

„პარკ-დე-პრენსზე" შეკრებილი პუბლიკა არანორმალური გაშმაგებით გაჰყვიროდა ლოზუნგებს. ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ამ მომენტში, ტელევიზორთან მჯდომმა **კრისტელის** მამამ - **ბიგონიმ** მოკლედ თქვა: „დიახ!" და მის ქალიშვილთან ქორწილი ერთ თვეში გადავიხადე!

დალჟემ, რომელმაც როშტო შეცვალა, საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე საბოლოო წერტილი დასვა. ამ გოლმა საბოლოოდ გადმოიყვანა ჩვენს მხარეს მთელი „პარკ-დე-პრენსი" და 12-წლიანი შესვენების შემდეგ, მსოფლიოს თასის მორიგ ფინალში გაიყვანა საფრანგეთი. 1966 წელს, ზაფხული ბავშვთა ბანაკში გავატარე. იმ მსოფლიოს თასის შესახებ ბუნდოვანი მოგონებები დამრჩა. მახსოვს მხოლოდ ის, რაც წიგნებში ამოვიკითხე: ჩვენი მოთამაშეების ძალაზე, რომლებსაც სათავეში **ბუძინსკი** ედგა. მან და „ნანტის" სხვა ფეხბურთელებმა აიძულეს გუნდის მთავარი მწვრთნელი **ანრი გერენი** შეეცვალა ტაქტიკა და „უემბლიზე" ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ შემტევი ფეხბურთი ეთამაშა. მაგრამ ყველაფერი ფუჭი აღმოჩნდა. საფრანგეთმა, რომელიც ჩემპიონატის მონაწილე გახდა, მარცხი იმაზე ადრე განიცადა, ვიდრე ელოდნენ. და შემდეგ, 12 წლის განმავლობაში სიცარიელე... უბრალოდ სტატისტები ვიყავით...

ესტაფეტა უნდა გაგრძელდეს.. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და, მიშელ იდალგოსთვის.

ის ბედნიერებისგან ტიროდა, ჩვენი მიშელი...

მე ისევ ვხედავ მას ლურჯ საწვიმარში, სახე სანახევროდ კაპიუშონით აქვს დამალული, ის მხარზე მძიმედ ეყრდნობა მოთამაშეებს, თვალებიდან კი ცრემლი სდის. პირველად, მაგრამ არა უკანასკნელად ვხედავდი ემოციების ტყვეობაში მყოფ ჩვენს მწვრთნელს.

შემდეგ ყველაფერი კარგად წავიდა.

ოცნების ასრულების შემდეგ, მთელი გაზაფხული თითქოს ბედნიერების ღრუბლებში გავატარეთ.

(გაგრძელება იქნება)

**გია თვალაბეიშვილი**





ძიუდო | მსოფლიოს თასი




მარცხნიდან: დავით ბერძენიშვილი, დილარ ხაბულიანი შოთა ჩოჩიშვილი და გია გალდავა პრესკონფერენციაზე

გიორგი ჭანიშვილი ფოტო

# ქულები გენერალურ რეპეტიციაზეც ინერება

## ხვალ და ზეგ თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი გათამაშდება

შეჯიბრებაში 19 ქვეყნის წარმომადგენლები ჩაებმებიან. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა.

- პეკინის თამაშების შემდეგ თბილისური ბატალიებით მომდევნო ოლიმპიური ციკლის საკვალიფიკაციო შეჯიბრებები იწყება, - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა **დილარ ხაბულიანმა**. - ალბათ იცით, რომ ლონდონის ოლიმპიადისთვის საგზურების მოსაპოვებლად ძიუდოში რეიტინგის ახალი სისტემა შემოიღეს. პირველ ქულებს სპორტსმენები სწორედ საქართველოს დედაქალაქში ჩაიწერენ. თუმცა ჩვენ თბილისის მსოფლიოს თასს მაინც ევროპის ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად განვიხილავთ. მოგეხსენებათ, ამ შეჯიბრებასაც სპორტის სასახლე უმასპინძლებს. შარშან დეკემბერში ევროპის ძიუდოს კავშირის კონგრესზე თვით რუსმა კოლეგებმაც კი დაგვიჭირეს მხარი. სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მსგავსი ასპარეზობა ჩვენთან არ გამართულა, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ გამოწვევისთვის მზად ვართ.

თბილისის მერიის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადგომითა და დახმარებით მსოფლიოს თასის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარებულია, მზად არის სპორტის სასახლე, ის სასტუმროები, რომლებშიც სტუმრები განთავსდებიან. ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე გვეწვია ევროპის ძიუდოს კავშირის სპორტული დირექტორი **ინდრეკ პერტელსონი**, რომელიც თავად ამოწმებს შეჯიბრებისთვის მზაობას...

გუშინვე შევიტყვეთ, რომ ყველა გუნდი უძლიერესი შემადგენობით როდი ჩამოვა. თუმცა თბილისის ტატამზე გულშემატკივრები იხილავენ ოლიმპიურ ჩემპიონს **ილიას ილიადისს** (ჯარჯი ზვიადაურს), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს **კრეიგ ფელონს** (დიდი ბრიტანეთი, 60 კგ.) და მის თანაგუნდელს, 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ **ეუან ბარტონს** (81), ასევე, ბელგიელ 2008 წლის ევროპის ჩემპიონ **ვან ტიჩელტის** (73), შარშანწინდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ **ენტონი როდრიგესს** (საფრანგეთი), ევროპის ჩემპიონატის პრიზიორ **ანდრეი კაზუსიონოკს** (ბელარუსი, 90), მსოფლიოს სუპერთასების გამარჯვებულებს - მოლდოველ **სერგიუ ტომას** (73), იაპონელ **ტაცუაკი ეგუსას** (66) და სხვებს.

ქომაგებისთვის, ალბათ, უინტერესო არ იქნება იმ შემადგენლობის გაცნობა, იაპონელთა მთავარმა მწვრთნელმა **ტაცუტო მოჩიდამ** თბილისში რომ ჩამოიყვანა. ამომავალი მზის ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **დაიჩი იანო, დაისუკე ასანო** (ორივე - 60 კგ), **ტომო ტორიი, ტაცუაკი ეგუსა** (ორივე - 66), **რიო საიტო, იასუჰირო ავანო** (ორივე - 73), **რიკია მუტო, შოთა კავაჰარა, მასაჰიკო ტომუჩი** (სამივე - 81), **ჰიდეკაცუ ინომატა** (100) და **ჰიროკი ტაჩიიამა** (მძიმე წონა). როგორც ხედავთ, წინა წლებისგან სრულიად განსხვავებული შემადგენლობაა. არც არის გასაკვირი - ახალი ოლიმპიური ციკლი იწყება და იაპონელები რეზერვს ცდიან. სხვათა შორის, განახლებული გუნდით გვესტუმრება რუსეთის ნაკრებიც, რომლის შემადგენლობაშიც ქართველები - **რობერტ მშვიდობაძე** (60) და **იური ომაძეც** (73) იასპარეზებენ.

ახლა კი იმის შესახებაც გაუწყებთ, თუ ვინ დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. მასპინძლებს თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი წარმომადგენელი ეყოლებათ:

**60 კგ. ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი, სოსო ნიჟარაძე და ლევან ჩუბინიძე.**

**66 კგ. ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, გიორგი ფერსაშვილი და შალვა ქარდავა.**

**73 კგ. ზაზა კედელაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, დავით კუპრაშვილი და ამბაკო ავალიანი.**

**81 კგ. გრიგოლ შინჯიკაშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი და ლევან წიკლაური.**

**90 კგ. ვარლამ ლიპარტელიანი, გიორგი მამრიკიშვილი, მინდა ბოდაველი და რევაზ ჩიკოიძე.**

**100 კგ. ლევან ჟორჟოლიანი, დავით ლორიაშვილი, დიმიტრი ტურაშვილი და ვალერი იმერლიშვილი.**

**მძიმე წონა. ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი და ალექსი დავითაშვილი.**

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს** და ევროპის პრიზიორ **დავით ქევხიშვილს** ამჯერად დასვენების უფლება მისცეს, **ზურაბ ზვიადაურმა** კი ოპერაციების შემდეგ ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო. მათთვის უჩვეულო წონაში იასპარეზებენ ხერგიანი და კედელაშვილი, რადგან ამ ეტაპზე წონის დაკლება გუნდის ხელმძღვანელებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

გუშინ ისიც შევიტყვეთ, რომ შეჯიბრების დღეებში ქართველი მწვრთნელებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სამდღიანი სემინარი იმუშავებს, რომელსაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **თემურ ხუბულური** უხელმძღვანელებს.

ვაჟა **დანელია**

## დაჯილდოება

**საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ველოდი მიმინოშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.**

ტყვის სროლა

# ძალას ცდიან მიუნხენის წინ

## ნინო სეზონს გამარჯვებით იწყებს

ოლიმპიური ჩემპიონის - ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში გუშინ დაიწყო ტყვიის მსროლელთა საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომელშიც აზერბაიჯანელი ჩუბინებიც მონაწილეობენ. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ორივე ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ეს შეჯიბრება ძალთა ბოლო მოსინჯვაა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელიც იანვრის მიწურულს გაიმართება.

ასპარეზობის პირველ დღეს ცეცხლის ხაზზე მანდილოსნები დადგნენ. ჩემპიონის ტიტული მასპინძელმა - **ნინო სალუქვაძემ** დაიმსახურა. იგი ფინალში 381 ქულით პირველ ნომრად შევიდა, მერე გადამწყვეტ პაექრობაშიც იყოჩაღა და 479,9 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა.

ყველას ეგონა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ბაქოელი **ირადა აშუმოვა**, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა, რადგან 4 სერიის შემდეგ მის მიერ მოგროვებული 373 ქულა მხოლოდ მეოთხე შედეგი აღმოჩნდა. ბარემ აქვე დავძენთ, რომ აზერბაიჯანელმა სტუმარმა ვერც ფინალში გამოიჩინა თავი და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. ფინალში მეორე შედეგით (380 ქულა) შევიდა **თამილა ასათიანი**, რომელიც სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე **ნინო უჩაძეს** 5 ქულით უსწრებდა, მაგრამ ქუთაისელმა ჩუბინმა გადამწყვეტ ეტაპზე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მეტოქეს საბოლოოდ 0,1 ქულით (476,7) აჯობა.

გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: **თეონა იაშვილი** (თბილისი) - 357, **ნინო ფანჩულიძე** (ქუთაისი) - 348, **თამუნა მერებაშვილი** (თბილისი) - 343 ქულა.

დღეს შეჯიბრებაში ვაჟები ჩაებმებიან.

ვაჟა **დანელია**



ნინო სალუქვაძე

### სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და ნინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

სუმო



# მკვლელი იორიკირი

## კოკაის საქმე წასულია, ტოჩინოშინი იბრძვის

ისინი ერთმანეთს მე-13-დ ხვდებოდნენ, პირველი ევროპელები, რომელთაც სუმოს ელიტის კარი შეაღეს - ქართველი **კოკაი** და ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ**. მე-13 ნავსიანი აღმოჩნდა ქართველი გოლიათისთვის, კოტოოშუმ იორიკირით გააგდო დოჰიოდან ჩვენებური და ბაშოზე მე-8 მარცხი აგემა. კოკაი (**ლევან ცაგურია**) თავს ვერ დაიძვრენს მაკე კოშისაგან (უარყოფითი ბალანსი) და ველარც - რანგში დაქვეითებისგან. ასე უილბლოდ „აღნიშნა“ ქართველმა სუმოისტმა ელიტაში გადასვლის ხუთი წლისთავი.

კოკაის 4-8 ბალანსი აქვს, დღეს მისი მეტოქე იაპონელთა იმედი, კომუსუბი **კისენოსატოა** (6-6). ისინი ერთმანეთს 6-ჯერ შეხვედრიან, აქამდე მხოლოდ კისენოსატო იგებდა.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** იორიკირით აჯობა მე-9 მაეგაშირა **ჩიოჰაკუჰოს**, რომელსაც „თეთრ ფენიქსს“ ეძახიან. ამ მოგებით ჩვენებურმა ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსი შეინარჩუნა (5-7). დარჩენილი სამი ორთაბრძოლა ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა აუცილებლად უნდა მოიგოს. დღევანდელი მეტოქეც პრინციპულია - ოსი **არანი** (4-8), ტოჩინოშინი პირველად შეხვდება მას.

კოტოოშუმ ბაშოს მოგების თეორიული შანსი კი შეინარჩუნა, მაგრამ თუკი დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** (12-0) დღესაც იმარჯვებს, თასის მფლობელი აუცილებლად ერთ-ერთი იოკოძუნა გახდება. 11 მოგება აქვს **ჰაკუჰოს**, რომელსაც გუშინ უბრძოლველად დარჩა გამარჯვება, რადგან ოძეკი **კოტომიცუკი** ტრავმის გამო არ გამოცხადდა.

გვახარებს **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ), რომელმაც გუშინ მე-5 გამარჯვება იზეიმა. მაკუშიტას მე-13 ნომერმა მე-19 ნომერი **ნაკანოკუნი** დაამარცხა იორიკირის ილეთით. გაგამარუს 5-1 ბალანსი აქვს. დღეს გაგამარუ ბაშოს ბოლო ორთაბრძოლას გამართავს, მისი მეტოქე 32-ე ნომერი **ტაკაკოიამაა**, რომელსაც ქართველივით 5-1 ბალანსი აქვს. ტაკაკოიამა 29 წლისაა, თუმცა მაკუშიტას მე-5 ნომერზე ზემოთ რეიტინგში ის არასოდეს ყოფილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**

11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 4)-კოტოოშუ (ო) 0:1 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 11)-ჩიოჰაკუჰო (მ 9) 1:0 (იორიკირი); ასაშორიუ (ი)-ბარუტო (ს) 1:0; ჰაკუჰო (ი)-კოტომიცუკი (ო) 1:0 (უბრძოლველად); ჰარუმაფუჯი (ო)-ჩიოტაიკაი (ო) 1:0; კაიო (ო)-ტაკეკაძე (მ 3) 1:0; კისენოსატო (კ)-იოშიკაძე (მ 2) 1:0; კიოკუტენჰო (მ 1)-კოტოშოგიკუ (მ 1) 1:0; მიაბიამა (მ 2)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; გოეიდო (მ 3)-ტოჩიოძანი (მ 12) 1:0; ტაკამისაკარი (მ 5)-ტოსანოუმი (მ 9); ჰოკუტორიკი (მ 7)-ტამანოშიმა (მ 15).

სატურნირო მდგომარეობა: 12-0: ასაშორიუ (იოკოძუნა). 11-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 9-3: კოტოოშუ (ოძეკი); გოეიდო (მაეგაშირა 3); ჰოკუტორიკი (მ 7); ტოჩიოძანი (მ 12); ტამანოშიმა (მ 15); ჰომაშო (მ 16). ... 5-7: ტოჩინოშინი (მ 11)... 4-8: კოკაი (მ 4).

XIII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 4)-კისენოსატო (კ); ტოჩინოშინი (მ 11)-არანი (მ 6); ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო); ასაშორიუ (ი)-ჩიოტაიკაი (ო); კაიო (ო)-გოეიდო (მ 3); ჰარუმაფუჯი (ო)-ტაკეკაძე (მ 3); ბარუტო (ს)-კიოკუტენჰო (მ 1); კოტოშოგიკუ (მ 1)-მიაბიამა (მ 2); იოშიკაძე (მ 2)-ფუტენო (მ 5); ვაკანოსატო (მ 4)-ტაკამისაკარი (მ 5); ჰოკუტორიკი (მ 7)-ჰომაშო (მ 16); ტოსანოუმი (მ 9)-ტამანოშიმა (მ 15).

ჩოგბურთი

# ისევ წყვილების იმედად

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** (394) ამერიკის ქალაქ ლუცში ბედმა გაუღიმა - ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში წაგების მიუხედავად, ის ძირითად ბადეში მაინც მოხვდა, თუმცა ამით ჩვენებურმა ვერ ისარგებლა. გუშინ, ძირითადი ბადის პირველ წრეში, ოქსანამ ხორვატ **მირიანა ლუჩიჩთან** (434) იოლად დათმო - 3:6, 1:6. 26 წლის ლუჩიჩი ერთ დროს მსოფლიოს 32-ე ჩოგანი იყო, მაგრამ ეს კალაშნიკოვას არ ამართლებს, დღეისათვის ჩვენებური 40 საფეხურით უსწრებს ხორვატს რეიტინგში. მხოლოდ ერთი სარეიტინგო ქულა - ეს ოქსანა კალაშნიკოვას მონაგარია ლუცში (25 ათასი $).

მარცხის მიუხედავად, ოქსანა კვლავ ფლორიდულ ქალაქშია, იგი წარმატებით თამაშობს წყვილთა თანრიგში. მან და ამერიკელმა **ლენა ლიტვაკმა** (405) ჯერ საკვალიფიკაციო წრე მოიგეს, შემდეგ კი ძირითადშიც იყოჩაღეს. მათ არგენტინელებ (**სოლედად ესპერონი** (168) და **ფლორენსია მოლინერო** (292)) აჯობეს დაძაბულ ბრძოლაში - 7:6 (8), 6:7 (5), 10:7. ახლა ქართულ-ამერიკულ დუეტს მეოთხედფინალში მე-2 ნომრად განთესილი ამერიკული წყვილი (**ანჯელა ჰეინესი** (141) და **ქრისტინა ფუსანო**) ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ
ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი“
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერები. ესპანეთის ჩემპიონატი

# ნიკამ შემონდი დაამარცხა



ესპანეთის პირველობაზე ორმა ქართველმა ითამაშა. **ნიკა ცქიტიშვილის** "ფუენლაბრადამ" მადრიდში **თორნიკე შენგელიას** "პამესა" დაამარცხა – 77:64. ამ შეხვედრაში ქართული პასპორტის მატარებელმა ორმა კალათბურთელმა, მიიღო მონაწილეობა – ცქიტიშვილმა და **შემონდ უილიამსმა.** ვალენსიელთა მწვრთნელმა **ნევენ სპაჰიამ** 17 წლის თორნიკე შენგელია განაცხადში არ შეიყვანა.

**ტაირონ ელისის** "კახასოლი" გაცილებით ძლიერ "უნიკახასთან" 64:89 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა წინა ორ მატჩში დამკვიდრებული არასასიამოვნო ტრადიცია დაარღვია და 10-ქულიანი ბარიერი დაძლია – 13 ქულა ჩააგდო.

**ფუენლაბრადა-ვალენსია 77:64**

ნიკა ცქიტიშვილი: **19 წუთი, 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი**

"ფუენლაბრადამ" მატჩი მ. ღალ ტემპში დაიწყო, პირველი შეტევისა და კარგი დაცვის წყალობით "პამესას" საწყისი პერიოდი 20:14 მოუგო. მასპინძლებს ტემპი არც მეორე ათწუთეულში დაუგდიათ (19:14) და დიდ შესვენებას 11-ქულიანი ფორით შეხვდნენ. მეორე ტაიმში შემონდ უილიამსის თანაგუნდელებმა თამაში კი გამოასწორეს, მაგრამ სიჩქარეაკრეფილ "ფუენლაბრადას" ვერაფერი დააკლეს. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფორვარდმა **საულ ბლანკომ** (20 ქულა) და გამთამაშებელმა **ბრედ ოლესონმა** (23). ნიკა ცქიტიშვილმა 19 წუთი ითამაშა მხოლოდ ერთი ორქულიანი სტყორცნა, კალათში მოათავსა და 2 ქულას 6 დაცვითი მოხსნა და 1 პასი მიამატა.

ვალენსიელთა რიგებში ყველაზე მეტი, 12 ქულა **მეტ ნილსენმა** გააკეთა. შემონდ უილიამსმა 32 წუთში 9 ქულას მოუყარა თავი.

**უნიკახა-კახასოლი 89:64**

ტაირონ ელისი: **34 წუთი, 13 ქულა, 2 მოხსნა, 5 პასი**

თუ ბოლო მატჩებში ვერც ტაირონ ელისი ყოჩაღობდა და ვერც მისი "კახასოლი". მე-18 ტურში სიტუაცია მხოლოდ ერთი მხრივ გამოსწორდა – ელისმა საკმარისი სათამაშო დრო მიიღო და თავი არ შეურცხვენია: 34 წუთში 4-4 სამიანი და ორიანი ტყორცნა, რომელთაგან 3 სამქულიანი და 1 ორიანი გამოიყენა, ზედ 2 საჯარიმო მიამატა და 13 ქულას გამორჩა. ელისი ამჯერად თანაგუნდელებსაც დაეხმარა – 5 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. 13 ქულა "კახასოლის" სნაიპერობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

სევილიელებმა მორიგი მატჩი წააგეს, მალაგაში "უნიკახასთან" მეორე და მესამე პერიოდების შემდეგ (26:55) უშანსოდ დარჩნენ. საფინალო სირენამ კუნძულელთა 25-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა – 89:64.

ნოემბრის შემდეგ პლეი ოფში გამსვლელ რვაეულში დაბრუნდა ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა". "პამესას" ძლევის მერე მადრიდელებს 9 წაგების წილ 9 მოგება მოუგროვდათ და რვაეულიდან "მანრესა" გამოდევნეს. მანრესელებმა ბოლო ტურში შინ ტაუ-სთან 68:99 დათმეს და მათაც 9-9 მოგება-წაგება მოუგროვდათ, თუმცა ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით მერვე ადგილზე "ფუენლაბრადამ" აინაცვლა.

მეშვიდე პოზიციაზეა შენგელიასა და უილიამსის "პამესა" – 10 მოგება, 8 წაგება.

ტაირონ ელისის "კახასოლი" კი გასავარდნადაა განწირული – 16 დამარცხების გვერდით ორად-ორი მოგება უწერია. იგი ბოლო, მე-17 ადგილზეა. ლიგიდან უარესი შედეგის მქონე ორი კლუბი ვარდება. ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფი "ესტუდიანტესი" "კახასოლის" 3 მოგებით უსწრებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ თორნიკე შენგელიასთან

# თავისუფლად ითამაშეო, მირჩია უილიამსმა

**გასულ კვირას, 17 წლის ქართველმა კალათბურთელმა თორნიკე შენგელიამ ესპანურ გრანდ "პამესაში" ითამაშა. ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელმა ევროთასზე ბოლონიის "ფორტიტუდოს" წინააღმდეგ პირველად მოირგო ვალენსიელთა მაისურა და მწვრთნელს უჩვენა, რომ მისი ნდობა შეიძლება. თორნიკემ 8 წუთში 4 ქულა, 2 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მორიგი მატჩი ვალენსიას "პამესამ" ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადასთან" გამართა, თუმცა ამ შეხვედრაში მწვრთნელმა, ნევენ სპაჰიამ თორნიკე განაცხადში არ შეიყვანა.**

**ქართველ მკითხველს უთუოდ დააინტერესებს შენგელიას მატჩისშემდგომი კომენტარი, ემოციური განწყობა და მისი თამაშის მწვრთნელისეული შეფასება. ამას თორნიკე შენგელიას მოკლე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- თორნიკე, "პამესა"-"ფორტიტუდოს" მატჩის ერთ-ერთ ფოტოზე შემონდ უილიამსთან ერთად ხარ გამოსახული. საინტერესოა, რა გითხრა იმ ეპიზოდში შემონდმა...**

- ეს ის მომენტია, როცა მწვრთნელმა მოედანზე შემიშვა. შემონდი მომიახლოვდა და მკითხა – იცი, რა უნდა გააკეთოო? თავი დავუქნიე და ვუთხარი – ვიცი-მეთქი. ძალიან კარგი, მაშინ ეცადე თავისუფლად ითამაშოო, - მირჩია უილიამსმა. იგი კარგი პიროვნებაა და ყოველმხრივ მხარში მიდგას.

**- თამაშის წინ მწვრთნელმა დებიუტისთვის როგორ შეგამზადა?**

- ნევენ სპაჰიამ "ფორტიტუდოსთან" მატჩის დღეს მითხრა – თამაშისთვის მზად იყავი და დააკვირდი მეტოქის ყველა კალათბურთელს, მათ შორის იმას, ვისი დაჭერაც მოგიწევსო. შეხვედრის წინ მწვრთნელმა განაცხადში კი შემიყვანა, მაგრამ მოედანზე გასვლის იმედი ნამდვილად არ მქონდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მატჩის პირველ პერიოდში შევედი, თან "პამესას" პირველი შეცვლა გავაკეთე... ძალიან გახარებული ვიყავი.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

- მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად აეწყო და ჩემგან რასაც ითხოვდნენ, კარგად შევასრულე. ვერ ვიტყვი, ვღელავდი-მეთქი, მაგრამ ემოციები საკმარისად მქონდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ გამოცდილი მეტოქეების წინააღმდეგ თამაში გამიჭირდა. თამაშის შეფასება კი სპეციალისტების საქმეა.

**- მაშინ ის გვითხარი, როგორ შეგაფასა მწვრთნელმა ნევენ სპაჰიამ?**

- მან მატჩის დასრულებისთანავე ხელი ჩამომართვა და ორი სიტყვა მითხრა – Good job, რაც დაახლოებით ასე ითარგმნება – კარგად იმუშავე. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გამახალისა.

**- თანაგუნდელებმა როგორ მიგიღეს?**

- გამოცდილი პამესელები მხარში მიდგანან. "ფორტიტუდოსთან" მატჩისასაც მამხნევებდნენ.

**- "პამესაში" შენს მორიგ გამოჩენას როდის უნდა ველოდეთ?**

- ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და მზად ვარ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# დღე სენსაციებისა

მეექვსე ტური: ქალები: სალომე მელია - სოფიკო გურამიშვილი -0:1; მერი არაბიძე - ნონა გაფრინდაშვილი - 0:1; ნაზი პაიკიძე - მაია ლომინეიშვილი - 0,5:0,5; მირანდა მიქაძე - სოფიო გვეტაძე -1:0; მარიამ დანელია - ნინო ხურციძე -1:0; ქეთი წაწალაშვილი - სოფიკო ხუხაშვილი - 1:0. აღსანიშნავია,რომ გურამიშვილის გარდა მტოქეს ყველა გამარჯვებულმა თეთრებით მოიგო. დამარცხებულები კი ფავორიტი იყვნენ...

ვაჟები: ლევან ფანცულაია - ლევან ბრეგაძე - 0:1; მიხეილ მჭედლიშვილი - ინგა ქარხალაშვილი - 0,5:0,5; კონსტანტინე შანავა - დავით მალალაშვილი - 0,5:0,5; დავით არუთინიანი - დავით ბენიძე - 0,5:0,5; გიორგი მარგველაშვილი - შოთა აზალაძე - 1:0; მერაბ გაგუნაშვილი - თორნიკე სანიკიძე - 1:0; გაიოზ ნიგალიძე - გიორგი ბალათუროვი - 0,5:0,5.



მარიამ დანელია

მოულოდნელ შედეგებს კი ველოდით და ვიხილეთ, თუ მეექვსე ტური ამდენ სენსაციურ შედეგს მოიტანდა, ვერ წარმოვიდგენდით. არანაკლები სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ვაჟებში, სადაც **ლევან ბრეგაძემ** შავებით მოუგო ერთპიროვნულ ლიდერ **ლევან ფანცულაიას**. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში რომ პირველი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში **ნონა გაფრინდაშვილმა,** გუშინდელი დღის განსაკუთრებულობა თვალში საცემი გახდება. მაინც, რის ხარჯზე შეძლეს ახალგაზრდებმა წარმატების მიღწევა? უმთავრესი, რა თქმა უნდა, მონდომება და შეუპოვრობა, მაქსიმალიზმი და უშიშრობაა, რომელიც სპორტული უტიფრობით არის გამაგრებული; არ შეიძლება იმის დაუნახაობაც, რომ ოსტატობასაც ხვეწს მომავალი თაობა. თაობათა დაპირისპირებასაც ვუწოდებდი გუშინდელ ტურს, რაც უმცროსთა აშკარა უპირატესობით დასრულდა - მხოლოდ **მაია ლომინეიშვილი** არ დაეჩაგვრინა შავებით **ნაზი პაიკიძეს** - ქულა გაიყვეს; პაიკიძე და ლომინეიშვილი 3,5-3,5 ქულით ლიდერობდნენ. ლომინეიშვილი მეშვიდე ტურში თეთრებით მშვენივრად ათამაშებულ **ქეთი წაწალაშვილს** ხვდება.

ვაჟებს რაც შეეხება, ყველაზე დიდი მოულოდნელობის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ..

პირველად გაიმარჯვეს ტურნირზე **მერაბ გაგუნაშვილმა** და **გიორგი მარგველაშვილმა**. მერაბს დიდი ბრძოლა გადახდა **თორნიკე სანიკიძესთან**. იოლად არ რგებია ერთი ქულა მარგველაშვილსაც, რომელმაც ერთ-ერთი ლიდერი, **შოთა აზალაძე** დაამარცხა თეთრებით. სხვა შეხვედრებში ყაიმები კი დაფიქსირდა, მაგრამ ამჯერად ნამდვილი ბრძოლები ვიხილეთ და სასაყვედურო არავისთან გვაქვს. ამ ყაიმებში აშკარად იმსახურებს გამორჩევას **მიხეილ მჭედლიშვილის** და **ინგა ქარხალაშვილის** პარტია, სადაც ქარხალაშვილმა არაფერი დაუთმო მრისხანე მეტოქეს და ნახევარი ქულა აართვა. ინგა ამტკიცებს, რომ ვაჟებში თამაშის ღირსია და არ არის გამორიცხული, გამარჯვებებსაც გაუგოს გემო მომავალ შეხვედრებში...

**სატურნირო მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ. ქალები:** 1-2. ნაზი პაიკიძე, მაია ლომინეიშვილი - 4-4; 3. ქეთი წაწალაშვილი - 3,5; 4-8. სოფიკო გურამიშვილი, სოფიო გვეტაძე, მირანდა მიქაძე, ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი -3-3; 9-11. სალომე მელია, ნონა გაფრინდაშვილი, მარიამ დანელია - 2,5-2,5; 12.მერი არაბიძე -2.

ვაჟები: 1-2. ლევან ფანცულაია, ლევან ბრეგაძე - 4-4; 3-5. მიხეილ მჭედლიშვილი, გიორგი მარგველაშვილი, მერაბ გაგუნაშვილი - 3,5-3,5; 6-10. დავით არუთინიანი, გიორგი ბალათუროვი, შოთა აზალაძე, გაიოზ ნიგალიძე, თორნიკე სანიკიძე - 3-3; 11. დავით ბენიძე - 2,5; 12. კონსტანტინე შანავა - 2.

დღეს ქალები ისვენებენ. მეშვიდე ტურში ვაჟებში ერთმანეთს ხვდებიან: ბენიძე - ფანცულაია; ბრეგაძე - მჭედლიშვილი; ქარხალაშვილი - შანავა; აზალაძე - არუთინიანი; სანიკიძე - მარგველაშვილი; ბალათუროვი - გაგუნაშვილი; მალალაშვილი - ნიგალიძე.

**ზვიად შათირიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდკაცა რაგბი

ინტერვიუ კახა ალანიასთან

# მიზანი მოწინავე რვა გუნდს შორის მოხვედრაა



**ახლახან, შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური სტადიის კენჭისყრამ, საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებს მეტოქეებად B ჯგუფში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფიჯის ნაკრებთან ერთად საფრანგეთისა და აშშ-ს ეროვნული გუნდები არგუნა. ქართველი შვიდკაცელები 5-7 მარტს დუბაიში გასამართი მსოფლიოს უდიდესი ფორუმისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ. მზადების პერიპეტიებისა და მომავალი მეტოქეების შესახებ საქართველოს შვიდკაცა ნაკრების მწვრთნელს კახა ალანიას ვესაუბრეთ.**

- საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი მეტოქეები არ არსებობენ და ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან უშეღავათო ბრძოლა იქნება. წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ნაყოფიერად გავივლით მზადებას და რაც ყველაზე მთავარია, როგორი შემადგენლობით გაემგზავრება დუბაიში ნაკრები. იდეალურ ვარიანტში ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება, ცხადია, ფიჯის ნაკრების შემდეგ რეალურად იქნება შესაძლებელი.

**- საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა მსოფლიოს სერიის მიმდინარე გათამაშების ორ ეტაპზე მიიღო მონაწილეობა. დუბაისა და ჯორჯიში ჩვენს გუნდს ორივე მეტოქესთან, საფრანგეთთან და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთანაც მოუწია თამაშმა. როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ამ გუნდებმა?**

- ორივე ძალიან კარგი გუნდია. საფრანგეთის ნაკრები, ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრად ძლიერ გუნდს ჩამოიყვანს, ვიდრე მსოფლიოს სერიის ეტაპებზე ჰყავდა. ამ ქვეყანას გააჩნია საკმარისი რესურსი, რომ ნაკრებში 5-7 ძლიერი მოთამაშე დაიმატოს. თუმცა უპირატესობას მაინც აშშ-ის ნაკრებს მივანიჭებდი. ამერიკელთა გუნდი უფრო კარგად ორგანიზებულია, ფიზიკურად ბრწყინვალედ არიან მომზადებულნი და სპრინტერებივით დარბიან. თანაც რამდენიმე სეზონია, სულ ერთი და იმავე გუნდით თამაშობენ და ურთიერთგაგების პრობლემაც არ აქვთ. შესაბამისად, მრავალფეროვანი კომბინაციებიც თითქმის იდეალურად აქვთ დამუშავებული.

არაფერს ვამბობ ფიჯიზე. ეს ქვეყანა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და ამ შეჯიბრებაშიც ფავორიტები არიან.

**- რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს ამ გუნდებთან?**

- გააჩნია დუბაიში რა შემადგენლობით გავემგზავრებით. თუ ტიმ ლეინმა ნება დართო ეროვნული ნაკრების მოთამაშეებს ირაკლი მაჩხანელს, მერაბ კვირიკაშვილს, შალვა სუთიაშვილს, რეზო გიგაურს და გიორგი ჩხაიძეს შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზონ, მაშინ ამ გუნდებთან შანსები 50/50.

**- როგორ ფიქრობთ, რა შედეგი იქნება დამაკმაყოფილებელი საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- კარგი იქნება სქართველოს ნაკრები ათეულში თუ შევა. წარმატება კი, საუკეთესო რვა გუნდში შეღწევა იქნება. ამისათვის საჭიროა ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილი დავიკავოთ და თანაც, ორ საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის უნდა მოვხვდეთ. საუკეთესო რვაში გასვლის შემთხვევაში, მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ავტომატურად მივიღებთ, შესარჩევი ტურნირის გავლის გარეშე.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაკრებმა მზადება უკვე დაიწყო. რამდენი მორაგბეა ამჟამად დუბაიში გამგზავრების კანდიდატი და ვინ არიან ისინი?**

- მზადება დავიწყეთ, მაგრამ სავარჯიშო მოედნის პრობლემა გვაქვს. მინდვრისსაფარიანი ყველა მოედანი ატალახებულია და ვარჯიში შეუძლებელია. ახლა ვცდილობთ ხელოვნურსაფარიანი მოედანი ვიქირაოთ. რაც შეეხება მორაგბეებს, მათი რიცხვი ამჯერად ოცამდე აღწევს. ამათგან რვა ლეგიონერია, სხვა დანარჩენი ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს.

ლეგიონერები ირაკლი მაჩხანელი (აჟენი), გიორგი ჩხაიძე (მეტრო რასინგი), ბიძინა სამხარაძე (ფარული), სიმონ მაისურაძე (კლერმონი), ირაკლი გუნდიშვილი (პერიგო), შალვა სუთიაშვილი (მასი), რეზო გიგაური (მასი) და მერაბ კვირიკაშვილი (მასი) ითამაშებენ თუ არა დუბაიში ტიმ ლეინი გადაწყვეტს. ეროვნულ ნაკრებს 14 მარტს თბილისში საკმაოდ რთული მატჩი ელის რუმინეთის ნაკრებთან ერთა თასზე და ამიტომ გამორიცხული არაა, ამათგან შვიდკაცა ნაკრებში ყველა ვერ ვიხილოთ.

რაც შეეხება დანარჩენ თორმეტს, ისინი ეროვნული ნაკრების ფიტნეს მწვრთნელის, ჯონი ნამუს პროგრამით ვარჯიშობდნენ კლუბებში და მათი ფიზიკური კონდიციებით ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ. ესენი არიან: ალექსანდრა თოდუა, ლაშა ხმალაძე, ვიტო კოლელიშვილი (ყველა ლელო), გიორგი კაჭარავა, ირაკლი გეგენავა, ალექსანდრე ნიჟარაძე (ყველა ყოჩები), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ვახო კავთიძე (უნივერსიტეტი), ლექსო გუგავა, ვახო ახვლედიანი, დავით ჩიტიძე, დავით ჟამუტაშვილი (ლოკომოტივი).

მსოფლიოს ჩემპიონატი.
დუბაი, 5-7 მარტი.

A ჯგუფი: **ზელანდია, ტონგა, გაერთიანებული საემიროები, იტალია.**
B ჯგუფი: **ფიჯი, აშშ, საფრანგეთი, საქართველო.**
C ჯგუფი: **ს.აფრიკა, შოტლანდია, კანადა, იაპონია.**
D ჯგუფი: **სამოა, ავსტრალია, პორტუგალია, ირლანდია.**
E ჯგუფი: **ინგლისი, კენია, ტუნისი, ჰონგ კონგი.**
F ჯგუფი: **არგენტინა, უელსი, ზიმბაბვე, ურუგვაი.**

**მსოფლიოს ჩემპიონები:**
ინგლისი- 1993 წელი
ფიჯი-1997-2005 წლები
ზელანდია - 2001 წელი.

ბესიკ ჯანგავაძე

რეგიონი



# ამათი საშველი არაა

## რა უნდა გააკეთოს კიდევ გორმა, რომ სპორტული მიღწევები დაუფასდეს?

გორის №44 სასპორტო სკოლა, ქართულ სპორტში ჩახედულ მოღვაწეთა უდიდესი უმრავლესობისთვის კარგადაა ცნობილი, რადგანაც აღზრდილების შედეგებით იგი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. არაერთია მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიადის პრიზიორი, თუ ჩემპიონი. სკოლის წარმატებული მუშაობის დასტურად **გია ვაზაგაშვილის, ვოვა მოდოსიანის, ოთარ თუშიშვილის** ან **გია გოგშელიძის** ტიტულების ჩამოთვლა იკმარებდა. საერთოდ ამ სკოლაში ათამდე სპორტის სახეობის სექცია (ჭადრაკი, მძლეოსნობა, კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ფრენბურთი და. სხვა) ფუნქციონირებს და რამდენიმე ასეული მოსწავლე ვარჯიშობს. გარდა შედეგებით ცნობადობისა, შიდა ქართლური სპორტის უმნიშვნელოვანეს კერას კიდევ ერთი ალასანიშნავი პრობლემითაც ხშირად მიუქცევია სპორტული საზოგადოების ყურადღება.

სპორტული სკოლის შენობას, მისი დაარსებიდან (1978 წ) მოყოლებული, არასოდეს ე. წ. კოსმეტიკური რემონტიც კი არ ჩატარებია. არადა, რამდენიმე სპეციალისტი სკოლაში დაარსებიდან დღემდე რომ საქმიანობს, აღნიშნავს, რომ შენობა ექსპლუატაციაში შესვლის დღესვე არ იყო ბოლომდე მოწესრიგებული. დროის სვლასთან ერთად, ცხადია, თუ არ გაუარესდებოდა, თავისთავად აქ არაფერი გამოსწორდებოდა...

გასული წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს საომარი დაპირისპირებისას ქართველი რეზერვისტების გარკვეული ნაწილი გორში იყო მობილიზებული. რამდენიმე ათეული 9 აგვისტოს ღამის გასათევად სასპორტო სკოლის შენობაშიც განათავსეს. იმ საღამოს შენობაში აფეთქება მოხდა, რასაც სამწუხაროდ მსხვერპლიც მოჰყვა (დაიღუპა ორი რეზერვისტი). გარდა ამისა, შენობის შიდა ნაწილში კედლები ჩამოინგრა და გარე ფასადი, რომელიც თითქმის მთლიანად მინისა იყო და ამავდროულად ძიუდოს დარბაზის ერთ-ერთი კედლის ფუნქციასაც ასრულებდა, სრულად დაიმსხვრა. ამის შემდგომ, როცა რუსული ჯარი ქალაქს რამდენიმე ხნით აკონტროლებდა, რა თქმა უნდა, სპორტსკოლის შენობაშიც ვერავის აუკრძალავდით შესვლას და ისედაც დაზარალებულმა სკოლამ უფრო იზარალა.

ქუჩაში მიმოფანტულ საჭიდაო ხალიჩებს რუსების გასვლის მერე სათითაოდ აგროვებდნენ თავისუფალი ჭიდაობის და ძიუდოს დარბაზის მწვრთნელები თუ შეგირდები. მათი მოძიება ქალაქგარეთაც მოუხდათ **ნუგზარ სხირელს** და **ქართლოს პავლიაშვილს** და უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს ნაწილს ისევ მოუყარეს თავი, თუმცა რამდენიმე ათეული მაინც მოისაკლისეს.

მიუხედავად დანაკარგისა, მუშაობის შეჩერებას სექციათა უმეტესობა არ აპირებდა და ის ნაწილი, რომელთაც აფეთქების კვალმა ნაკლებად აზარალა, არც გაჩერებულა. მაგრამ იმავე, თუნდაც ძიუდოს დარბაზის დანგრევის გამო აქ მოღვაწე ჯგუფები იძულებული გახდნენ, ვარჯიში შეეწყვიტათ. იმ ნაწილი, რომელიც ძიუდოსა და სამბოში სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთა წევრები არიან გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში ჯგუფებს შეუერთნენ, დანარჩენები მძლეოსნური ვარჯიშებით არიან დაკავებულნი და ფორმის შენარჩუნებას ამგვარად ცდილობენ. დაგვეთანხმებით, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

გამოსავალი ერთადერთია - №44 სასპორტო სკოლას საფუძვლიანი რემონტი ესაჭიროება, საკითხი კი ვერა და ვერ გადაიჭრა.

რამდენიმე წლის წინათ გამარჯვებათა მთელი სერიის შემდეგ ჩინოსნები „იძულებული" გახდნენ, სპორტსკოლაში თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში, ფალავნებისთვის მისალოცად მისულიყვნენ. ლამის აუტანელ პირობებში მოვარჯიშე სპორტსმენთა ხილვისას, დარბაზის რემონტის პირობაც დადეს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ **ნუგზარ სხირელს** შესთავაზეს, რომ სარემონტოდ გაჯს გამოუყოფდნენ, ხოლო მუშახელსა და დანარჩენ საქმეზე თავად ეზრუნათ (!). კალათბურთის დარბაზში იატაკის მდგომარეობაზე საუბრისას კი, როდესაც ერთ-ერთი ჩინოსანისთვის უთქვამთ, „იატაკი ისეთ მდგომარეობაშია, მოთამაშე პერიმეტრზე ვერ გავაო", იმ პასუხისმგებელ მუშაკს მამაშვილური რჩევა მიუცია: ისე ითამაშონ პერიმეტრზე ნუ გავლენო.

იმის გამო, რომ დარბაზებში წყალი ჩამოსდიოდათ, საკუთარი სახსრებით მოახერხეს თავისუფალი სტილისა და ძიუდოს სექციებმის ხელმძღვანელებმა შენობის იმ ნაწილების გადახურვა, რომელთა ქვემოთაცაა განთავსებული მათი დარბაზები (?!).

პრობლემებით შეწუხებულ, სპორტის სხვადასხვა სახეობაში დასაქმებულ სპეციალისტებს მსგავსი ისტორიები მათ მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის დასტურად ბევრჯერ უამბიათ ჩვენთვის.

გასული წლის მიწურულს სასპორტო სკოლის დირექტორ **იაგო ჯალაბაძისგან** შევიტყვეთ, რომ თითქმის გადაწყვეტილი იყო, იანვრიდან შენობის რემონტის ჩატარება. ეს ინფორმაცია მაშინ ადგილობრივ ხელისუფლებაშიც დაადასტურეს, თუმცა, როგორც ახლა გორის რაიონის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროს **ზურაბ ჩხეიძემ** გვაცნობა, ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა და ამჯერად უკვე თითქმის გადაწყვეტილი ისაა, რომ ესოდენ აუცილებელი საქმე ისევ გადაიდება.

ჩანს, საშველი ისევ არაა.

საქართველოში ალბათ ძნელად ნახავთ მსგავსი მიღწევებით გამორჩეულ და თან ასე უყურადღებოდ (თითქოს ვილაცის ჯინზე) მიტოვებულ სასპორტო სკოლას.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

სპორტის ზამთრის სახეობები

# ლიონური სასწაულის მოლოდინში



ელენე გედევანიშვილი

დღეს, გვიან საღამოს ჰელსინკის „ჰარტვალ არენას" ყინულზე 19 წლის **ელენე გედევანიშვილი** დადგება. 41 მონაწილე ქალ მოციგურავეს შორის საქართველოს წარმომადგენელი რიგით 35-ე გავა ყინულზე. ელენე ახლახან შესრულდა 19 წლისა, ასე რომ, უკვე სერიოზული წარმატებების დროც მოსულა...

ელენე სპეციალისტთა ვიწრო წრის გარდა, ხალხმა სწორედ ევროპის ჩემპიონატიდან გაიცნო - 2006 წლის დასაწყისში, ფრანგულ ლიონში 16 წლის გოგონამ მე-5 ადგილი დაიკავა და მხოლოდ ამ საქმის გრანდებს, **ირინა სლუცკაიას, ელენა სოკოლოვას, კაროლონა კოსტნერს** და **სარა მაიერს** ჩამორჩა. სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, ჩვენებურს პროგრესი არ ჰქონია - ევროპის ჩემპიონატის მე-5 და მე-10 ადგილები ტურინის ოლიმპიადაზე ჯერაც მის უმაღლეს მიღწევებად რჩება. დღეს ელენე მოკლე პროგრამას ჯონ კანდერის მუსიკაზე შეასრულებს კინოფილმიდან „კაბარე".

სხვათა შორის, მოკლე პროგრამა შარშანაც იგივე ჰქონდა ჩვენებურს.

ელენეს თითქმის ყველა უძლიერესი კონკურენტი ბოლო ჯგუფში გამოვა, მას შემდეგ, რაც ქართველი დაასრულებს მოკლე პროგრამას. ესენია: ბრიტანელი **ჯენა მაკკორკელი,** ფინელები **კირა კორპი** და **სუზანა პოიკიო**, იტალიელები **სტეფანია ბერტონი** და ევროპის ორგზის ჩემპიონი კაროლონა კოსტნერი. ელენემდე იასპარეზებს მასპინძელი **ლაურა ლეპისტო.**

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი **ბექა შანყულაშვილს** ჰქონდა, რომელმაც 38-ე ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის კიდევ ერთი ქართველი მონაწილეობდა, 22 წლის **გიორგი კენჭაძე** ბულგარეთის სახელით გამოვიდა, მან 30-ე ადგილი დაიკავა და თავისუფალ პროგრამაში ვერ მოხვდა. კიდევ ერთმა ქართველმა კი ევროპის ჩემპიონატზე მე-5 ადგილი დაიკავა - წყვილებში რუსეთის სახელით **ნოდარ მაისურაძემ ლუბოვ ილუშეჩკინასთან** ერთად იასპარეზა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ამჯერად, უშედეგოდ

საქართველოს ნაკრების სამმა წევრმა ოთხშაბათს ავსტრიულ კირხბერგში გიგანტ სლალომში იასპარეზა. ეს ტურნირი FIS-ის ეგიდით გაიმართა და მასში ასზე მეტი სამთო-მეთხილამურემ მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ჩვენებმა ვერ იყოჩაღეს. 17 წლის **ალექსანდრე ბენიანიძემ** 57-ე ადგილი დაიკავა და ეს ქართველ მეთხილამურეთა საუკეთესო შედეგია. ნაკრების ლიდერ **იასონ აბრამაშვილს** პირველი დაშვება გაუცუდდა, ხოლო **კოტე ვახტანგიშვილს** - მეორე. **ვახტანგ თედიაშვილმა** და 15 წლის **ჯაბა გელაშვილმა** FIS-ის ტურნირში, ობერსაქსენში (შვეიცარია) იასპარეზეს. ვერც მათ ივარგეს - თედიაშვილმა 113-ე ადგილი დაიკავა, ხოლო გელაშვილმა - 115-ე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**შარლოტი-მემფისი 101:86**

21:15, 26:26, 23:23, 31:22

შ: რ. ბელი (25), ოკაფორი (20+15 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ფელტონი (19+6 პასი+5 ჩაჭრა), ჯ. უოლასი (13+7 მოხსნა+9 პასი+4 ჩაჭრა), დიაო (8+8 მოხსნა+7 პასი).

მ: გეი (26), მაიო (13+3 ჩაჭრა), მ. გასოლი (11), ლოური (10+3 ჩაჭრა).

**დეტროიტი-ტორონტო 95:76**

17:22, 29:21, 30:19, 19:14

დ: პრინსი (25), სტაკი (17+7 პასი), მაქსიელი (16+11 მოხსნა), აივერსონი (11+6 პასი+3 ჩაჭრა), მაკდაესი (10+8 მოხსნა).

ტ: ბოში (19), ბარნიანი (16), ჯ. ო'ნილი (11), ე. პარკერი (10+8 პასი).

**მაიამი-ბოსტონი 83:98**

10:29, 24:28, 30:21, 19:20

მ: უეიდი (25), დ. კუკი (20+3 ჩაჭრა), ბიზლი (17+11 მოხსნა).

ბ: რ. ალენი (27), პაუსი (25), გარნეტი (16+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), პირსი (14+8 მოხსნა), რონდო (7+10 პასი).

**ნიუ იორკი-ფინიქსი 114:109**

26:30, 28:26, 30:23, 30:30

ნ-ი: დ. ლი (25+16 მოხსნა), რობინსონი (20+4 ჩაჭრა), დუჰონი (19+7 პასი), ელ ჰარინგტონი (17+8 მოხსნა), ტ. ტომასი (10), გალინარი (10).

ფ: ჯ. რიჩარდსონი (27+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), შ. ო'ნილი (21+12 მოხსნა+3 დაფარება), სტაუდმაიერი (20), ჰილი (14), ნეში (9+19 პასი).

**მილუოკი-დალასი 133:99**

22:30, 42:28, 37:27, 32:14

მ: ვილანუევა (32+10 მოხსნა), რედი (27+7 მოხსნა), სეშენსი (21+7 პასი), რ. ჯეფერსონი (15+7 მოხსნა+8 პასი).

დ: ნოვიცკი (30), ჯ. ჰოვარდი (19), კიდი (18).

**ნიუ ორლეანი-ნიუ ჯერსი 102:92**

18:28, 27:18, 30:16, 27:30

 კ-ო: პოლი (29+9 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (20+10 მოხსნა), რ. ბატლერი (14), ჯ. რაიტი (11), პოუსი (10+7 მოხსნა).

ნ-ჯ: ვ. კარტერი (20+7 მოხსნა), ბ. სიმონსი (16), დულინგი (12+6 პასი), ჯ. ჰეისი (10), რ. ანდერსონი (4+10 მოხსნა).

**ჰიუსტონი-იუტა 108:99**

29:19, 26:23, 25:31, 28:26

ჰ: ელსტონი (23+8 პასი), ვაფერი (21), სკოლა (19+9 მოხსნა), იაო მინი (19+12 მოხსნა), ლენდრი (10+7 მოხსნა).

ი: დ. უილიამსი (32+11 პასი), რ. ბრიუერი (23), მილსეპი (20+12 მოხსნა).

**პორტლენდი-კლივლენდი 98:104**

25:28, 20:25, 24:21, 29:30

პ: როი (23), ოლდრიჯი (21), ოდენი (10+8 მოხსნა), ბეილისი (10), პრჟიბილა (6+15 მოხსნა).

კ: ლ. ჯეიმსი (34+7 მოხსნა+14 პასი), მ. უილიამსი (33), ვარეჯაო (12+8 მოხსნა), შჩერბიაკი (8+10 მოხსნა).

**საკრამენტო-ვაშინგტონი 107:110**

21:29, 23:25, 26:35, 37:21

ს: უდრიხი (24), სალმონსი (24), მარტინი (22), გარსია (14), ტომპსონი (10).

ვ: ჯეიმისონი (33+9 მოხსნა), კ. ბატლერი (32+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბლეტჩი (20), მაკგუაირი (8+12 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ოკლაჰომა 121:122**

34:37, 34:35, 27:17, 26:33

გ-ს: ს. ჯექსონი (29+7 პასი), მაგეტი (26), აზუბუიკე (21), კროუფორდი (13+7 მოხსნა+6 პასი).

ო: უესტბრუკი (30+7 პასი), დურანტი (27+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯ. გრინი (26), კოლისონი (11+7 მოხსნა).

**კლიპერსი-ლეიკერსი 97:108**

27:25, 28:33, 18:30, 24:20

კ: დ. ჯორდანი (23+12 მოხსნა+4 დაფარება), ტორნტონი (20+3 ჩაჭრა), ე. გორდონი (16+6 პასი), მ. კოლინზი (14), ნოვაკი (14).

ლ: ბინუმი (42+15 მოხსნა+3 დაფარება), ოდომი (19+9 მოხსნა+3 დაფარება), ბრაიანტი (18+10 მოხსნა+12 პასი), უოლტონი (11), პ. გასოლი (10).

კრივი

# პატონი ახალ მეტოქეს ეძებს




2009 წლის მთავარ ბრძოლად გამოცხადებული დაპირისპირება არ შედგება. მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეებს - **მენი პაკიაოსა და რიკი ჰატონს** შორის შეხვედრა 2 მაისს, ლას ვეგასში უნდა გამართულიყო, მაგრამ მხარეებმა ფინანსურ საკითხებზე შეთანხმება ვერ მოახერხეს. არადა, უფრო ადრე, ფილიპინელი პაკიაოს პრომოუტერი **ბობ არუმი** აცხადებდა, რომ ბრძოლის გამართვაზე კონტრაქტი შეთანხმებული იყო.

გუშინ, პაკიაოს ადვოკატმა **ფრანკლინ გაკალმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბრძოლა ჩაიშალა. იურისტის თქმით, მისმა კლიენტმა კონტრაქტზე ხელის მოწერა არ ისურვა, რადგან შეთავაზებული ჰონორარის ოდენობა არ მოეწონა.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანელი ჰატონის გუნდი ჰონორარის თანაბრად გაყოფას ითხოვდა, იმ დროს, როცა პაკიაო მხოლოდ საერთო ფონდის 60 პროცენტის მიღებაზე იყო თანახმა, ბოლო ინფორმაციით კი 55 პროცენტზე ჩამოვიდა. ამერიკული პრესა წერს, რომ ჰატონმა ფილიპინელს 58 პროცენტი დაუთმო და საბოლოოდ, თუ რატომ არ გაფორმდა კონტრაქტი, ყველასთვის გაუგებარი დარჩა.

ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ, რიკი ჰატონმა თავის პრომოუტერებს ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან** მატჩ-რევანშის ორგანიზება დაავალა. როგორც იცით, მეივეზერმა შარშან ივნისში დაასრულა კარიერა, მაგრამ მოგვიანებით რინგზე დაბრუნებას დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ფინანსურად მომგებიან წინადადებას შესთავაზებდნენ.

ჰოკეი



# ოლ სტარში ცვლილებებია

"ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილე დასავლეთი კონფერენციის ნაკრების რიგებში ორი ცვლილება მოხდა. გუნდს "დეტროიტ რედ უინგზის" ორი ჰოკეისტი გამოაკლდა. "ფინიქსთან" მატჩში ბარძაყის ტრავმა მიიღო სტენლის თასის მფლობელის ფორვარდმა **პაველ დაციუკმა** და ამ მიზეზით 25 იანვარს, მონრეალის არენაზე სათამაშოდ ვერ გავა.

დაციუკის ნაცვლად დასავლეთის ნაკრების ღირსებას "სან ხოსე შარქსის" ცენტრფორვარდი **პატრიკ მარლო** დაიცავს. რეგულარულ ჩემპიონატში რუსი თავდამსხმელის ანგარიშზე 56 ქულაა (19 შაიბა+37 შედეგიანი პასი) და ის მეოთხე ადგილზეა სეზონის საუკეთესო ბომბარდირებს შორის. რაც შეეხება მარლოს, ამ მომენტისთვის მან 50 ქულა (25+25) დააგროვა.

ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს "ოლ სტარზე" "დეტროიტის" წამყვანი მცველი **ნიკლას ლიდსტრიომი**. აღსანიშნავია, რომ შვედ ვეტერანს ბოლო ათი წლის განმავლობაში არ გამოუტოვებია "ყველა ვარსკვლავის მატჩი". ლიდსტრიომის ნაცვლად დასავლეთის ნაკრებში ადგილი "დალას სტარზის" მცველმა **სტეფან რობიდასმა** დაიკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ჰორსენსი-კიოლდინგი | 2:1 |
| ალიკანტე-სტიაუა | 0:2 |
| გრასჰოპერსი-სოშო | 0:1 |
| კოშიცე-მოსკოვი | 0:1 |
| მაინცი-ბაიერნი | 0:5 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| რექსჰემი-კემბრიჯი | 2:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ლაციო-ტორინო | 3:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ბილბაო-სპორტინგი | 0:0 |
| მალიორკა-ბეტისი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| რეიმსი-სტრასბური | 4:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| დენ ჰააგი-ტვენტე | გადაიდო |
| **შოტლანდიის თასი** | |
| კილმარნოკი-ეირი | 3:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| აეკ-კერკირა | 1:0 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| არგენტინა-ავსტრალია | 36:16 |
| რუსეთი-მაკედონია | 30:36 |
| სერბეთი-ს. არაბეთი | 38:29 |
| ქუვეითი-კუბა | 23:26 |
| სლოვაკეთი-რუმინეთი | 28:23 |
| გერმანია-პოლონეთი | 30:23 |
| ეგვიპტე-ბრაზილია | 25:22 |
| ესპანეთი-ს. კორეა | 23:24 |
| საფრანგეთი-უნგრეთი | 27:22 |
| ტუნისი-ალჟირი | 36:25 |
| დანია-ნორვეგია | 32:28 |
| ხორვატია-შვედეთი | 30:26 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ტრირი-გეტინგენი | 71:76 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-მურსია | 96:57 |
| გრანადა-რეალი | 76:82 |
| მენორკა-ბილბაო | 64:68 |
| სარაგოსა-გრან კანარია | 81:94 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 7:1 |
| **გერმანია** | |
| შტრაუბინგი-ფრანკფურტი | 4:1 |
| **ნორვეგია** | |
| კომეტი-სტავანგერი | 4:8 |
| ვოლერენგა-სტიორნენი | 6:2 |
| სპარტა-ფურუსეტი | 9:2 |
| სტორჰამარი-ლილეჰამერი | 2:1 |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ტაპარა | 0:1 |
| კალპა-ესეტი | 3:4 |
| კერპეტი-ტპს | 5:2 |
| კიეკო-ჰიფკ | 2:4 |
| ლუკო-იოკერიტი | 2:3 |
| ჰპკ-პელიკანსი | 4:4 |
| იუვიასკიულა-სეიპა | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-სლავია | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-მოდო | 5:0 |
| სიოდერტალე-როგლე | 3:3 |
| ტიმრა-ბრიუნესი | 4:1 |
| ფრიოლუნდა-იურგორდენი | 1:2 |

TV პროგრამა

**23 იანვარი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**08:25** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბილბაო-სპორტინგი.
**10:10** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**11:10** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-არსენალი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**13:30** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბილბაო-სპორტინგი.
**15:20** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
**17:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:30** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**20:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:40** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბილბაო-სპორტინგი.
**22:25** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**22:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:15** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
**01:05** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**02:05** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო.
**03:55** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბილბაო-სპორტინგი.
**05:45** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:15** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. უნიკახა-მაკაბი.
**10:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
**11:50** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ატლანტა.
**13:40** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**14:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ნუმანსია.
**15:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**17:00** ფეხბურთი. თანამეგობრობის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** ფეხბურთი. თანამეგობრობის თასი. 1/2 ფინალი (LIVE).
**22:00** სპორტკლუბი.
**23:00** პროფესიული კრივი. 2008 წლის საუკეთესო ბრძოლები.
**00:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2008-09. რეალი-იუვენტუსი.
**02:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**02:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ნუმანსია.
**03:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**05:00** ავტოსპორტი. A1 გრანპრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია (LIVE).
**07:00** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ესპანიოლი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**12:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
**17:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
**18:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. კაცები. კიტცბუელი. ავსტრია.
**19:30** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი.
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ანტჰოლცი. იტალია.
**22:15** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
**00:55** ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
**01:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**02:00** რალი. IRC-ის სერია. III დღე. მონტე კარლო (LIVE).
**04:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. ქალები. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
**14:30** ავტოსპორტი. აზიის გრანპრის 2-ის სერია. I რბოლა. ბაჰრეინი.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. ჩინეთი.
**16:30** ახალი ამბები.
**17:00** არმრესტლინგი.
**17:30** ავტოსპორტი. აზიის გრანპრის 2-ის სერია. I რბოლა. ბაჰრეინი.
**18:45** ბენდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-რუსეთი. შვედეთი.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** მოტოფრისტაილი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:15** ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.
**21:30** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:30** რალი. IRC-ის სერია. III დღე. მონტე კარლო (LIVE).
**00:15** ავტოსპორტი. აზიის გრანპრის 2-ის სერია. I რბოლა. ბაჰრეინი.
**01:15** ბოულინგი. მსოფლიოს თასი. კაცები. ფინალი. მექსიკა.
**02:00** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**02:30** ახალი ამბები.
**02:45** ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ტამპა ბეი-ბაფალო 5:3**

2:0, 3:3, 0:0

გოლები: 1:0 ემინგერი-4 (ჰალპერნი-5), 2:0 დაუნი-2 (კ. მერფი-3, პეტინგერი-4), 2:1 დ. როი-17 (პომინვილი-24, ლიდმანი-12), 3:1 კრაიჩეკი-1 (მეზაროში-13, პროსპალი-19), 3:2 კოტალიკი-10 (რივეე-7, გოსტადი-7), 4:2 ჰალპერნი-3 (რეკი-20, ვიშარტი-1), 4:3 დ. როი-18 (ვანეკი-15, პომინვილი-25), 5:3 მერფი-1 (რეკი-21).

**ტორონტო-ბოსტონი 3:4 (ბ)**

1:1, 2:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 ჯ. ბლეიკი-14 (სტემპნიაკი-16, მური-15), 1:1 უილერი-14 (ა. უორდი-5, კრეისი-34), 2:1 სტემპნიაკი-8 (ჯ. ბლეიკი-17, მური-16), 3:1 მეი-1 (ჯ. მიტჩელი-10, მეიერსი-5), 3:2 ვიდემანი-9 (კრეისი-35, რაიდერი-16), 3:3 ხარა-11 (სავარი-40, აქსელსონი-16).

ბულიტები გაიტანეს: სტემპნიაკი (ტორონტო), უილერი (ბოსტონი), ჯეისონ ბლეიკი (ტორონტო), სენტ პიერი (ბოსტონი), რაიდერი (ბოსტონი).

**კოლორადო-ლოს ანჯელესი 5:6**

1:1, 2:5, 2:0

გოლები: 0:1 კალდერი-6 (დოუტი-12, კოპიტარი-24), 1:1 სვატოსი-9 (ვოლსკი-17, ლაილსი-18), 1:2 ფროლოვი-19 (ქუინსი-21, სტოლი-14), 1:3 ჯ. ჯონსონი-1 (ო'სალივანი-15, ჰანძუში-12), 1:4 სტოლი-10 (დ. ბრაუნი-16, ო'სალივანი-16), 2:4 ჰენსიკი-4 (ტაკერი-5, კ. სტიუარტი-5), 2:5 ფროლოვი-20 (ჰანძუში-13, ქუინსი-22), 2:6 დ. ბრაუნი-17 (კოპიტარი-25), 3:6 კ. სტიუარტი-6 (ჰენსიკი-11, სალეი-11), 4:6 უოლსი-1, 5:6 მაკლეოდი-11 (ტაკერი-6, სალეი-12).

**ფილადელფია-ატლანტა 5:3**

2:0, 1:0, 2:3

გოლები: 1:0 ჰარტნელი-17 (ჯ. კარტერი-20), 2:0 პოუ-2 (აპშოლი-11, ქირუ-3), 3:0 რ. ჯონსი-1 (ჯ. კარტერი-21, ლუპული-13), 3:1 პერინი-5, 3:2 კოვალჩუკი-20 (კ. არმსტრონგი-8, პევერლი-13), 3:3 ტორნბერნი-6, 4:3 ნუბლი-17 (მ. რიჩარდსი-30, საიმონ განიე-25), 5:3 ნუბლი-18 (საიმონ განიე-26).

**ჩიკაგო-სენტ ლუისი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ეოივიტკა-1 (ოში-7, კოლაიაკოვო-12), 0:2 ტკაჩუკი-15 (ბოიესი-17, ჯეკმენი-12).

**ნიუ ჯერსი-მონრეალი 5:2**

1:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 მარტინი-4 (ელიაში-34, მადენი-12), 2:0 ზაიაცი-15 (პარიზე-27, ოდუია-14), 2:1 გორჯესი-2 (ს. კოივუ-16, დ'აგოსტინი-3), 3:1 ოდუია-4 (მარტინი-10), 4:1 პარიზე-28, 4:2 დ'აგოსტინი-8 (მარკოვი-30), 5:2 ელიაში-20 (მადენი-13, კ. უაიტი-10).

**ფლორიდა-დალასი 1:4**

1:0, 0:2, 0:2

გოლები: 1:0 სკრასტინში-3 (კრეპსი-8, ე. სტოუარტი-3), 1:1 მოდანო-14 (ბ. რიჩარდსი-27, ლ. ერიქსონი-11), 1:2 რიბეირო-9 (ნილი-6, ნისკანენი-12), 1:3 რიბეირო-10 (ოტი-8, ლეჰტინენი-8), 1:4 რიბეირო-11 (რობიდასი-17).

**აილენდერსი-ანაჰაიმი 2:1**

2:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ოკპოსო-7 (შტრაიტი-27, ნილსენი-9), 2:0 მაკლინი-1 (ნილსენი-10, ჰილენი-1), 2:1 რაიანი-15 (პერი-28, ს. ნიდერმაიერი-24).

**კალგარი-კოლამბუსი 5:4 (ბ)**

1:2, 2:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 უმბერგერი-14 (მალჰოტრა-11), 1:1 იგინლა-19 (ა. ოკუანი-14), 1:2 უმბერგერი-15 (რასელი-10, მოდინი-14), 2:2 კამალერი-21 (ა. ოკუანი-15, ჯორდანო-15), 2:3 ვორაჩეკი-7 (ჯ. უილიამსი-13, მოდინი-14), 3:3 მოსი-15 (ბოიდი-5, სერიჩი-9), 3:4 ნეში-19 (მალჰოტრა-12, ჰეიდა-8), 4:4 კამალერი-22 (იგინლა-34).

ბულიტები გაიტანეს: ბერტუცი (კალგარი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ვენუსმა დაამთავრა



ავსტრალიის ღია პირველობის გუშინდელი დღის მთავარი მოვლენა გახდა სენსაცია, რომელიც დები უილიამსებიდან ერთ-ერთს - **ვენუსს** უკავშირდება. ესპანელ **კარლა სუარეს-ნავაროსთან** მატჩის დასაწყისი ამერიკელს ცუდს არაფერს უქადდა. სუარესი, რომელმაც აქამდე შარშანდელი როლან გაროსის მეოთხედფინალში გასვლით დაგვამახსოვრა თავი, ვერაფერს უხერხებდა უფროსი უილიამსის მოწოდებას და ვერც თავის გეიმებში ბრწყინავდა.

მაგრამ მეორე პარტიაში ესპანელმა თამაშს მოუმატა, ვენუსი კი დროებით მოეშვა და მეტოქეს ბრეიკის გაკეთების შანსი მისცა. ამერიკელმა მალე გააბათილა ჩამორჩენა, თუმცა კარლას დანებება არც უცდია და სეტის ბოლოს მეტოქის გეიმის აღების შემდეგ, პარტიებში ანგარიში გაათანაბრა.

უილიამსი დროზე გამოერკვა და მესამე სეტში ჯერ 4:1, შემდეგ 5:2 დაწინაურდა. მაყურებლებმა ნელ-ნელა ტრიბუნების დაცლა დაიწყეს. მაგრამ აქედან მოყოლებული, კორტზე სასწაულები ხდებოდა - ნავარო ბრწყინვალედ იცავდა თავს და კონტრშეტევებზე აგებდა თამაშს. ვენუსმა კი შეცდომებს მოუხშირა და ესპანელი გეიმს გეიმზე იღებდა. ხოლო, როცა მეათე გეიმში სუარესმა მატჩ-პოინტი გადაარჩინა, შეხვედრის სადავეები საბოლოოდ მის ხელში გადავიდა, უილიამსის თამაში კი საბოლოოდ მოიშალა. კარლამ ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და ავსტრალიის ღიაზე ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი გახდა.

აქამდე, ვენუსის ყველაზე უარესი შედეგი ავსტრალიის ღია პირველობაზე 2006 წელს, პირველ წრეში **ცვეტანა პირონკოვასთან** ნაგება (6:2, 0:6, 7:9) იყო. მართალია, "რეკორდი" ვერ გააუმჯობესა, მაგრამ ამ ტურნირზე თავისი მეათე, საიუბილეო მონაწილეობა მაინც სავალალო შედეგით დასრულდა.

კარლა სუარეს-ნავაროს კი მეოთხედფინალისკენ გზა გაეხსნა, რადგან წინ იოლი ბადე ელის. მომდევნო წრეში მისი მეტოქე თანამემამულე **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი** იქნება, მერვედფინალში კი ამ წყვილში გამარჯვებულს კიდევ ერთი ესპანელის - **ანაბელ მედინა გარიგესსა** და იტალიელ **ფლავია პენეტას** შორის მოგებული შეხვდება. ამ მატჩებში კარლას კარგი შანსი აქვს, ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს, ნაკლები გამოცდილებაა.

ქალთა სხვა მატჩები კანონზომიერი შედეგით დასრულდა. ოდნავ გაუჭირდა მომდევნო წრეში გასვლა ვენუსის დას - **სერენას**, რომელიც არგენტინელ **ხისელა დულკოსთან** მეორე სეტს 3:5-ს აგებდა, მაგრამ ზედიზედ ოთხი გეიმის მოგების შემდეგ, ამერიკელმა 1/16 ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მამაკაცთა ბადეში ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. **რაფაელ ნადალმა** დამაჯერებელი ანგარიშით მოიგო, თუმცა არ უჩვენებია ის ფანტასტიკური თამაში, რითაც პირველ წრეში დაგვამახსოვრა თავი. ნადალს მოუწევს თამაშის მომატება, რადგან მესამე ეტაპზე ცნობილი გერმანელი **ტომი ჰაასი** ელის.

ხუთი სეტი გაგრძელდა ხორვატული დერბი **მარიო ანჩიჩსა** და **ივო კარლოვიჩს** შორის. საინტერესოა, რომ შეხვედრა იმ კორტზე გაიმართა, სადაც ვიდეოგამეორებების გამოყენების საშუალება არ არსებობდა, ივო კი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. შემდეგ წრეში გასულ ანჩიჩს კი იქ ფრანგი **ჟილ სიმონი** ელის.

ძალიან დაძაბულად წარიმართა შარშანდელი ფინალისტის **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და ხორვატი **ივან ლუბიჩიჩის** შეხვედრა. გამარჯვებულის გამოსავლენად ოთხი სეტის ჩატარება გახდა საჭირო, აქედან სამჯერ ტაი-ბრეიკი დაინიშნა. პარტიებს შორის 1:1-ზე გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე სეტის ტაი-ბრეიკი, სადაც ხორვატმა სამი სეტ-პოინტი გაანიავა და პრაქტიკულად, მოგებული პარტია ფრანგს დაუთმო. მეოთხე სეტში ბრძოლა აღარ შედგა, რადგან მორალურად განადგურებულმა ლუბიჩიჩმა ორი გეიმი წააგო თავის მოწოდებაზე.

### II წრე

#### კაცები

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:2, 6:3, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:1, 6:2, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 24)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:3, 6:4, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 13)**-გილერმო კანიასი (არგ) 7:5, 6:3, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 12)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4, 3:6, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 17)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:2, 7:5, 6:0; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 25) 5:7, 7:5, 4:6, 6:4, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 6)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:7 (5), 6:4, 6:1, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:4, 6:2, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 31)**-ანდრეას ბეკი (გერ) 5:7, 7:6 (7), 6:4, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 22)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 6:2, 6:7 (3), 7:5; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 14)**-არნო კლემანი (საფ) 6:1, 6:1, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-სებასტიან დეშონაკი (საფ) 6:3, 6:2, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს, 18)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:4, 6:4, 5:7, 3:6, 6:4; **დუდი სელა (ისრ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუს) 6:3, 6:3, 6:2; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 6:7 (4), 7:6 (8), 7:6 (7), 6:2.

### II წრე

#### ქალები

**კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 6) 2:6, 6:3, 7:5; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:2, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 21)**-ჟული კუანი (საფ) 6:1, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 12)**-ჯესიკა მური (ავსტრა) 6:4, 6:1; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-პატი შნიდერი (შვეიც, 14) 6:3, 6:1; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 18)**-იუნ-მან ჩანი (ტაივ) 6:0, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:3, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:4, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 8)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:2, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 31)**-სევერინ ბრემონი (საფ) 7:6 (1), 1:6, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 22)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 7:6, 5:7, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 7:5, 7:5; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 13)**-ტატიანა გარბინი (იტა) 4:1 გარბინის უარი; **ამელი მორესმო (საფ, 20)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 4:6, 6:3, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-სესილ კარატანჩევა (ბულ) 6:4, 6:0; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 7:5.

ველოსპორტი

# ლენსი ჯერ პასიურობს



ავსტრალიაში "დიდი სლემის" საჩოგბურთო ტურნირის გარდა, პროტურის სერიის პირველი რბოლა - Tour Down Under მიმდინარეობს. ეს შეჯიბრება, პირველ რიგში, იმით იპყრობს ყურადღებას, რომ მასში მონაწილეობას იღებს პროფესიულ სპორტში დაბრუნებული ლეგენდარული ამერიკელი **ლენს არმსტრონგი**.

გუშინ, Tour Down Under-ზე მესამე ეტაპი გაიმართა და ის კინაღამ სავალალოდ დასრულდა ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონისთვის. დისტანციის მე-11 კილომეტრზე ექვსი ველომრბოლი ავარიაში მოყვა. მათ შორის იყო ლენს არმსტრონგი და ამ ველოტურის მოქმედი ჩემპიონი, გერმანელი **ანდრე გრაიპელი**. ავარიის მიზეზად ძლიერი ქარი დასახელდა.

*"ქარის მიმართულება მუდმივად იცვლებოდა და ძალიან რთული იყო მასთან გამკლავება*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ინციდენტს ამერიკელმა ველომრბოლმა, რომელმაც სტარტზე 15 მონაწილეს ერთად პელოტონისგან გაქცევა სცადა. - *თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ბოლომდე არ ვიხარჯები, ამიტომაც ჯერჯერობით სტატისტის როლით ვკმაყოფილდები"*.

არმსტრონგმა მესამე ეტაპი 32-ე ადგილზე დაასრულა. მან ზუსტად იგივე დრო აჩვენა, რაც ეტაპის გამარჯვებულმა, ავსტრალიელმა **გრემ ბრაუნმა**.

საერთო ჩათვლის ლიდერია კიდევ ერთი ავსტრალიელი, "ქუიქ სტეპის" წევრი **ალან დევისი**. ლენსი მას 29 წამით ჩამორჩება და 39-ე ადგილს იკავებს. Tour Down Under 25 იანვარს დასრულდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

სათხილამურო სპორტი

# DEEP PURPLE მოთხილამურეებისთვის



ლეგენდარული ინგლისური როკ-ჯგუფი Deep Purple 20 თებერვალს, სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნაზე იმღერებს. წელს, პლანეტის პირველობას ჩეხეთის ქალაქი ლიბერეცი მასპინძლობს.

*"Deep Purple ერთხელ უკვე გამოვიდა ლიბერეცში და აქაურ Tipsport Arena-ზე დასწრების რეკორდიც დაამყარა*, - ამბობს მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე, ოლიმპიური ჩემპიონი **კატერინა ნოიმანოვა**. - *ჩემპიონატის გახსნის ცერემონიას "თეთრი ღამე" დავარქვით და ის თავისი კონცეფციითა და მასშტაბებით ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას მოგაგონებთ. ლეგენდარული Deep Purple-ის გარდა, კონცერტზე სხვა ცნობილი მსახიობები და ჯგუფები გამოვლენ. უფრო მეტიც, ჩემპიონატის მსვლელობისას ლიბერეცში ყოველდღე თითო კონცერტი გაიმართება"*.

ლიბერეცში სათხილამურო სპორტის სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატი 20 თებერვლიდან 1 მარტამდე გაიმართება.

ფორმულა 1

# ალონსომ სამი კილოგრამი დაიკლო

ამ ზამთარს, "რენოს" ესპანელმა პილოტმა **ფერნანდო ალონსომ** სამი კილოგრამი დაიკლო მხოლოდ იმისთვის, რომ გუნდის ახალ ბოლიდზე - R29-ზე წონის უკეთესი გადანაწილებისთვის მიეღწია. ესპანელი პილოტის განცხადებით, მას ამისთვის არც დიეტა და არც კვების სპეციალური რეჟიმი დასჭირვებია. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, უბრალოდ, ფიზიკურად ინტენსიურად ვარჯიშობდა. ამის შედეგად, ალონსო ახლა არა 70.5, არამედ 67 კილოგრამს იწონის. ცნობისთვის, 2008 წლის სეზონის წინ, **რობერტ კუბიცამ** ერთბაშად რვა კილოგრამი დაიკლო, ოღონდ ამისთვის მკაცრი დიეტის დაცვამ მოუწია.

ესპანურ გაზეთ Marca-სთვის მიცემულ ინტერვიუში ალონსომ განაცხადა, რომ ველოსპორტით იყო დაკავებული და დიდ დროს ატარებდა თავის მეგობართან - ტურ დე ფრანსის შარშანდელ ჩემპიონ **კარლოს სასტერსთან**.

*"ჩვენ ველომრბოლებთან ვმუშაობდით და ახლა ფერნანდო ძალიან ძლიერია. ასეთ ფიზიკურ ფორმაში ის არასოდეს ყოფილა*, - აცხადებს "რენოს" პილოტის ფიზიოთერაპევტი **ფაბრიციო ბორა**. - *მაგრამ მისთვის წონის დაკლება აღარ შეიძლება, რადგან ძალიან მიუახლოვდა თავის მინიმუმს, რომელიც 66 კილოგრამს შეადგენს. თუ ნანდო კიდევ დაიკლებს, დასუსტდება და იმ ეფექტს ველარ მივიღებთ, რომელიც ამ ზამთარს ჩავიფიქრეთ"*.




გამოვიდა ახალი ნომერი